საქართველოს უნივერსიტეტი
და
ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი

შემოსაზღვრული ოპერატორები ჰარდის მარტინგალურ სივრცეებზე

გიორგი თუთბერიძე

giorgi.tutberidze1991@gmail.com

სადოქტორო ნაშრომი

საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტი

მეცნიერების და ტექნოლოგიების სკოლა

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერების და ტექნოლოგიების სკოლის მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ტეფნაძე

თანახელმძღვანელები: ლარს-ერიკ პერსონი და დაგ ლუკასენი

თბილისი

2021

გიორგი თუთბერიძე

სარჩევი

გიორგი თუთბერიძე

საკვანძო სიტყვები: ვილენკინის ჯგუფი, ვილენკინის სისტემა, ლებეგის სივრცე, სუსტი-L_p სივრცე, უწყვეტობის მოდული, ვილენკინ-ფურიეს კოეფიციენტები, ვილენკინ-ფურიეს მწკრივების კერძო ჯამები, ფეიერის საშუალო, T საშუალო, ნორლუნდის საშუალო, რისის და ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოები, მარტინგალები, მარტინგალური ჰარდის სივრცე, მაქსიმალური ოპერატორი, ჰარდის ტიპის უტოლობები, მიახლოება.

აბსტრაქტი

პრობლემატიკა, რომლის დამუშავებასაც ისახავს მიზნად მოცემული დისერტაცია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მათემატიკურ ანალიზში. კლასიკური ორთონორმირებული სისტემების მიმართ ინტეგრებადი ფუნქციის ფურიეს მწკრივის სხვა და სხვა საშუალოებით შეჯამებადობის საკითხს დიდი ისტორია გააჩნია. ამ მიმართულებით მიღებული შედეგები არსებითად განსაზღვრავდნენ და ახლაც განსაზღვრავენ ფუნქციათა თეორიაში და ჰარმონიულ ანალიზში მთელი რიგი მიმართულებების პრობლემატიკას. დამტკიცებულია არაერთი შესანიშნავი შედეგი კვლევის ისეთ ახალ მიმართულებებში, როგორებიცაა ვეივლეტ ანალიზი, გაბორის თეორია, დროით-სიხშირული ანალიზი, ფურიეს სწრაფი გარდაქმნი, აბსტრაქტული ჰარმონიული ანალიზი და ა.შ. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ის, რომ ეს სამეცნიერო წინსვლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ თეორიების განსავითარებლად, არამედ მათი გამოყენების მხრივ მათემატიკაში, პროგრამირებასა და სხვადასხვა სფეროებში. (მაგალითად, სიგნალის გადაცემის თეორია, მულტიპლექსირება, ფილტრაცია, სურათის გაუმჯობესება, კოდირების თეორია, ციფრული სიგნალის დამუშავება და ნიმუშების ამოცნობა და ა.შ.).

ფურიეს მწკრივების კლასიკური თეორიიის გამოყენებით ფუნქციის იშლება უწყვეტ სინუსოიდურ ტალღებად. კლასიკური თეორიისგან განსხვავებით, ვილენკინის (უოლშის) ფუნქციები წარმოადგენენს "მართკუთხა ტალღებს". ასეთი ტალღები უკვე ხშირად გამოიყენება ფიზიკაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, სიგნალთა გადაცემის თეორიაში, ფილტრაციის, გამოსახულების გაუმჯობესების და ციფრული სიგნალების დამუშავებისთვის. ამ მიმართულებების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გახდა ახალი ორთონორმირებული სისტემების განხილვა, რომელთა შორის ერთ-ერთი აქტუალურია უოლშის სისტემა. ეს ფუნქციები ღებულობენ მხოლოდ ორ მნიშვნელობას, რაც აადვილებს თეორიული შედეგების კომპიუტერულ ალგორითმიზაციას და მათ პრაქტიკაში გამოყენებებს.

ვილენკინ-ფურიეს მწკრივების თეორია წარმოადგენს აბსტრაქტული ჰარმონიული ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. ამ თეორიის განვითარებაზე ძლიერი გავლენა მოახდინა ტრიგონომეტრიული მწკრივების კლასიკურმა თეორიამ, სადაც შეისწავლება ორთონორმირებული სისტემები, რომელთა თვისებები ძირითადად განპირობებულია ტოპოლოგიური ჯგუფის სტრუქტურით. უოლშის სისტემა არის მნიშვნელოვანი მოდელი, რომელზეც შეიძლება აბსტრაქტული ანალიზის მრავალი ფუნდამენტალური დებულების ილუსტრირება.

ჩემი დისერტაციის მიზანია განიხილოს, გამოიყენოს და განავითაროს ამ საინტერესო თეორიის უახლესი შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე ჰარმონიულ ანალიზთან. კერძოდ, ჩვენ გამოვიკვლევთ ვილენკინ-ფურიეს მწკრივების H_p ნორმებისთვის ზოგიერთ ახალ ჰარდის ტიპის უტოლობებს. უფრო მეტიც, უწყვეტობის მოდულებისთვის დადგენილი იქნება ისეთი აუცილებელ და საკმარის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფეირის საშუალოების ქვემიმდევრობების ნორმით კრებადობას. გარდა ამისა, ჩვენ განვიხილავთ რისისა და ნორლუნდის საშუალოებს. ჩვენ ასევე განვიხილავთ T საშუალებებს, რომლებიც ნორლუნდის შეჯამებადობის "შებრუნებული"არიან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი კოეფიციენტები არიან მონოტონური. ასევე დავამტკიცებთ, რომ ეს შედეგები განუზოგადებელია. ამ შედეგების გამოყენებით ასევე მივიღებთ ზოგიერთ კარგად ცნობილ და ახალ შედეგებს.

სადოქტორო ნაშრომი შეიცავს ოთხ თავს: შესავალი, კერძო ჯამები და ფეიერის საშუალოები H_p

სივრცეში, ვილენკინ-ფურიეს მწკრივების T საშუალოები H_p სივრცეში, რისის და ნორლუნდის ლოგარითმული საშალოები H_p სივრცეში. ჩვენ ახლა დაწვრილებით ავღწერთ თითოეული თავის ძირითად შინაარსს.

პირველი თავი შეიცავს ძირითად ფაქტებს ვილენკინის ჯგუფების და ფუნქციების შესახებ, ასევე კერძო ჯამების ფეიერეის საშუალოების, რისის და ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოების, ნორლუნდის და T საშუალოების განმართებებს და საბაზისო თვისებებს, ამ თავში ასევე განხლილულია, ლებეგის და სუსტი ლებეგის სივრცეები და მარტინგალური ჰარდის სივრცეები.

მეორე თავი ეძღვნება ვილენკინის სისტემის მიმართ კერძო ჯამების და ფეიერის საშუალოების H_p ნორმების ახალი ჰარდის ტიპის უტოლობების შესწავლას. შემდეგ დამტკიცებული იქნება ფეიერის საშუალოების ქვემიმდევრობების H_p სივრცეში კრებადობის საკითხები. ამის შემდეგ, ეს შედეგები გამოყენებული იქნება, რათა უწყვეტობის მოდულებისთვის ვიპოვოთ აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომლთათვისაც სამართლიანია ფეიერის საშუალოების ნორმით კრებადობა. ასევე, ამ თავში დამტკიცებული იქნება ამ ძირითადი შედეგების განუზოგადებლობა.

მესამე თავში განხილული იქნება ვილენკინის სისტემების მიმართ T საშუალოების მაქსიმალური ოპერატორების შემოსაზღვრულობა. ასევე დამტკიცებული იქნება ამ შედეგების განუზოგადებლობა. ამის შემდეგ, განხილული იქნება ამ საშუალოების H_p ნორმების ახალი ჰარდის ტიპის უტოლობები. მას შემდეგ რაც ფეიერის და რისის საშუალოები არის T საშუალოების კარგად ცნობილი მაგალითები, კერძო შემთხვევებში მიიღება ამ საშუალოებისთვის უკვე ცნობილი და ახალი შედეგები.

მეოთხე თავში განხილული იქნება რისისა და ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოები ვილენკინის სისტემებისთვის. კერძოდ, დავამტკიცებთ ვილენკინის სისტემებისთვის რისის საშუალოების H_p ნორმების ახალი ჰარდის ტიპის უტოლობები. უფრო მეტიც, დავამტკიცებთ ამ შედეგების სიზუსტეს მხოლოდ უოლშ-ფურიეს სისტემისთვის. შემდეგ, შევისწავლით ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოების მაქსიმალური ოპერატორების შემოსაზღვრულობას. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში შევისწავლით ამ საშუალოების და მათი ქვემიმდევრობების თითქმის ყველგან კრებადობის საკითხებს ინტეგრებად ფუნქციათა ლებეგის სივრცეში.

Abstract

The classical Fourier Analysis has been developed in an almost unbelieved way from the first fundamental discoveries by name Fourier. Especially a number of wonderful results have been proved and new directions of such research has been developed e.g. concerning Wavelets Theory, Gabor theory, Time-Frequency Analysis, Fast Fourier Transform, Abstract Harmonic Analysis, etc. One important reason for this is that this development is not only important for improving the "State of the art but also for its importance in other areas of mathematics and also for several applications (e.g. theory of signal transmission, multiplexing, filtering, image enhancement, coding theory, digital signal processing and pattern recogni-tion).

The classical theory of Fourier series deals with decomposition of a function into sinusoidal waves. Unlike these continuous waves the Vilenkin (Walsh) functions are rectangular waves. The development of the theory of Vilenkin-Fourier series has been strongly influenced by the classical theory of trigonometric series. Because of this it is inevitable to compare results of Vilenkin series to those on trigonometric series. There are many similarities between these theories, but there exist differences also. Much of these can be explained by modern abstract harmonic analysis, which studies orthonormal systems from the point of view of the structure of a topological group.

The aim of my thesis is to discuss, develop and apply the newest developments of this fascinating theory connected to modern harmonic analysis. In particular, we investigate some new Hardy type inequalities for H_p norms of partial sums of Vilenkin-Fourier series. Moreover, we derive necessary and sufficient conditions for the modulus of continuity so that norm convergence of subsequences of Fejér means is valid. Furthermore, we consider Riesz and Nörlund logarithmic means. It is also proved that these results are the best possible in a special sense. As applications both some well-known and new results are pointed out. In addition, we investigate some T means, which are "inverse"summability methods of Nörlund, but only in the case when their coefficients are monotone.

The thesis contains four chapters: Preliminaries, Partial sums and Fejér means on H_p spaces, T means of Vilenkin-Fourier series on martingale Hardy spaces, Reisz and Nörlund logarithmoic means means on H_p spaces. We now continue by describing the main content of each of the chapters. We now continue by describing the main content of each of the chapters.

In Chapter 1 we first present some definitions, notations and basic facts about Vilenkin groups and systems, which are crucial for our further investigations. After that we also define partial sums and Fejér means, Riesz and Nörlund logarithmic means, Nörlund and T means with respect to Vilenkin systems and investigate their basic properties. Moreover, we define Lebesgue and weak-Lebesgue spaces and martingale Hardy spaces.

Chapter 2 is devoted to investigate some new Hardy type inequalities for H_p norms of partial sums and Fejér means with respect to Vilenkin systems. Next, we prove convergence of subsequences of Fejér means in H_p norm. After that we apply these results to find necessary and sufficient conditions for the modulus of continuity for which norm convergence of Fejér means hold.

We also prove sharpness of all our main results in this Chapter.

In Chapter 3 we consider boundedness of maximal operators of T means with respect to Vilenkin systems. We also prove that results are sharp in the special sense. After that we prove some new Hardy type inequalities for H_p norms of these summabilility methods. Since Fejér means, Riesz means are well-know examples of T means some well-known and new results are pointed out in these special cases.

In Chapter 4 we consider Riesz and Nörlund logarithmic means with respect to Vilenkin systems. In particular, we prove some new Hardy type inequalities for H_p norms of Riesz means with respect to Vilenkin systems. Moreover, we also prove sharpness of this result for only Walsh-Fourier series. Next, we investigate boundedness of maximal operators of Nörlund logarithmic means. In the special cases, we also investigate a.e. convergence of subsequences these means in the Lebesgue space of integrable functions.

წინასიტყვაობა

სადოქტორო ნაშრომს აქვს მონოგრაფიის სახე და ეყრდნობა შემდეგ პუბლიკაციებს:

[1] G. Tutberidze, A note on the strong convergence of partial sums with respect to Vilenkin system, J. Contemp. Math. Anal., 54, 6, (2019), 319–324.

[2] G. Tutberidze, Maximal operators of T means with respect to the Vilenkin system, Nonlinear Studies, 27, 4, (2020), 1–11.

[3] L. E. Persson, G. Tephnadze, G. Tutberidze, On the boundedness of subsequ ences of Vilenkin-Fejér means on the martingale Hardy spaces, Operators and Matrices, 14, 1 (2020), 283–294.

[4] G. Tephnadze, G. Tutberidze, A note on the maximal operators of the Nörlund logaritmic means of Vilenkin-Fourier series, Trans. of A. Razmadze Math. Inst., 174, 1 (2020), 107–112.

[5] D. Lukkassen, L.E. Persson, G. Tephnadze, G. Tutberidze, Some inequalities related to strong convergence of Riesz logarithmic means of Vilenkin-Fourier series, J. Inequal. Appl., 2020, DOI: https://doi.org/10.1186/s13660-020-02342-8.

[6] G. Tutberidze, Modulus of continuity and boundedness of subsequences of Vilenkin- Fejér means in the martingale Hardy spaces, Georgian Math. J., (to appear).

[7] L. E. Persson, G. Tephnadze, G. Tutberidze, P. Wall, Strong summability result of Vilenkin-Fejér means on bounded Vilenkin groups, Ukr. Math. J., (to appear).

დამატებით გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე სტატია, რომლებიც არ არის გამოყენებული ამ სადოქტორო ნაშრომში:

1) G. Tutberidze and V. Tsagaraeishvili, Multipliers of Absolute Convergence, Mat. Zametki, 105, 3, (2019), 433–443.

2) G. Tutberidze and V. Tsagaraeishvili, Absolute convergence factors of Lipshitz class functions for general Fourier series, Georgian Math. J., (to appear).

3) G. Tutberidze and V. Tsagaraeishvili, Multipliers of a.e convergence of general Fourier series, Ukr. Math. J., (to appear).

4) G. Tutberidze, Sharp (H_p, L_p) type inequalities of maximal operators of T means with respect to Vilenkin systems, Mediterranean Journal of Mathematics , (in press).

შენიშვნა: სადოქტორო ნაშრომში პირველადაა დამტკიცებული რამდენიმე ისეთი ახალი შედეგი, რომელთა დამტკიცებაც არ მოიძებნება ზემოთ მოყვანილ სტატიებში.

მინდა მადლობა გადავუხდო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელებს, პროფესორებს- გიორგი ტეფნაძეს, ლარს-ერიკ პერსონს და დაგ ლუკასენს ჩემდამი გაწეული ყურადღების, მათი მუდმივი მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.

მადლობა ჩემს ქართველ, შვედ და ნორვეგიელ კოლეგებს საქართველოს უნივერსიტეტიდან და ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტიდან, რადგან მათ გამოხატეს ინტერესი ჩემი კვლევების მიმართ და ასევე მადლობას ვუხდი მათ ნაყოფიერი დისკუსიებისთვის. უფრო მეტიც, მე ძალიან ვაფასებ თბილ და მეგობრულ ატმოსფეროს ამ უნივერსიტეტების მათემატიკის დეპარტამენტებში, რაც დამეხმარა კვლევების უფრო ეფექტურად და ნაყოფიერად ჩატარებაში.

ასევე მადლობას ვუხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ვახტანგ ცაგარეიშვილს უანგარო მხარდაჭერისთვის.

მინდა აღვნიშნო, რომ სამეცნიერო თანამშრომლობა და შეთანხმება საერთო სადოქტორო პროგრამის შესახებ საქართველოს უნივერსიტეტსა და ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტს შორის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. განსაკუთრებით, დიდ მადლობას ვუხდი პროფესორ როლანდ დუდუჩავას საქართველოს უნივერსიტეტში, ამ მნიშვნელოვანი შეთანხმების რეალიზებისთვის.

მადლობას ვუხდი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდს ფინანსური მხარდაჭერისთვის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ პროექტის წარმატებით დასრულებისთვის.

და ბოლოს, მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახს სიყვარულის, ურთიერთგაგების, მოთმინებისა და მუდმივი თანადგომისთვის.

გიორგი თუთბერიძე

1 შესავალი

1.1 ვილენკინის ჯგუფები და ფუნქციები

$\mathbb{N}_{+}$-ით აღვნიშნოთ მთელი დადებითი რიცხვების სიმრავლე, $\mathbb{N} := \mathbb{N}_{+} \cup \{0\}$-ით მთელი არაუარყოფითი რიცხვების სიმრავლე. $m := (m_0, m_1, \ldots)$-ით აღვნიშნოთ დადებით რიცხვთა მიმდევრობა რომელიც არა ნაკლებია ვიდრე 2. $Z_{m_k} := \{0, 1, \ldots, m_k - 1\}$-ით აღვნიშნოთ მთელ რიცხვთა ადიციური ჯგუფი მოდულით m_k.

G_m-ით ავღნიშნოთ ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს Z_{m_k} ჯგუფების პირდაპირი ნამრავლს. ტოპოლოგია G_m ჯგუფზე არის თითოეულ Z_{m_k}-ზე არსებული დისკრეტული ტოპოლოგიების თვლადი პირდაპირი ნამრავლი, ხოლო μ ზომა G_m-ზე არის Z_{m_k}-ებზე არსებული

$$\mu_k\left(j\right) := 1/m_k \qquad \left(j \in Z_{m_k}\right)$$

ზომების პირდაპირი ნამრავლი და ის ემთხვევა ჰაარის ზომას G_m-ზე, სადაც $\mu\left(G_m\right) = 1$.

თუ $\sup\limits_{n\in\mathbb{N}} m_n < \infty$, მაშინ G_m-ს ვუწოდებთ შემოსაზღვრულ ვილენკინის ჯგუფს, ხოლო თუ წარმომქმნელი მიმდევრობა m არ არის შემოსაზღვრული, მაშინ G_m-ზე ვიტყვით, რომ ის არის შემოუსაზღვრელი ვილენკინის ჯგუფი.

ამ სადოქტორო ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ შემოსაზღვრულ ვილენკინის ჯგუფებს, ე.ი.განვიხილავთ იმ შემთხვევას, როცა $\sup\limits_{n\in\mathbb{N}} m_n < \infty$.

G_m ჯგუფის ელემენტებს წარმოდგენს შემდეგი სახის მიმდევრობები

$$x := (x_0, x_1, \ldots, x_j, \ldots) \qquad \left(x_j \in Z_{m_j}\right).$$

ვილენკინის ჯგუფზე მეტრიკა განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\rho\left(x, y\right) := |x - y| := \sum_{k=0}^{\infty} \frac{|x_k - y_k|}{M_{k+1}}, \qquad \left(x \in G_m\right).$$

G_m ჯგუფის, როგორც ტოპოლოგიური სივრცის ბაზისს წარმოადგენს შემდეგი ღია სიმრავლეები

$$\begin{aligned} I_0\left(x\right) &:= G_m, \\ I_n(x) &:= \{y \in G_m \mid y_0 = x_0, \ldots, y_{n-1} = x_{n-1}\} \qquad \left(x \in G_m, \ \ n \in \mathbb{N}\right). \end{aligned}$$

ვთქვათ

$$e_n := (0, \ldots, 0, x_n = 1, 0, \ldots) \in G_m \qquad \left(n \in \mathbb{N}\right).$$

ნებისმიერი $n \in \mathbb{N}$-სთვის, თუ განვსაზღვრავთ $I_n := I_n\left(0\right)$ და $\overline{I_n} := G_m \backslash I_n$-სთვის, მაშინ

$$\overline{I_N} = \bigcup_{s=0}^{N-1} I_s \backslash I_{s+1} = \left(\bigcup_{k=0}^{N-2} \bigcup_{l=k+1}^{N-1} I_N^{k,l}\right) \bigcup \left(\bigcup_{k=1}^{N-1} I_N^{k,N}\right), \tag{1.1.1}$$

სადაც

$$I_N^{k,l} := \begin{cases} I_N(0,\ldots,0,x_k \neq 0, 0,...,0, x_l \neq 0, x_{l+1},\ldots,x_{N-1},\ldots), \\ \qquad k<l<N, \\ I_N(0,\ldots,0,x_k \neq 0, x_{k+1}=0,\ldots,x_{N-1}=0,x_N,\ldots), \\ \qquad l=N. \end{cases}$$

ლებეგის $L_p(G_m)$ სივრცის $(0<p<\infty)$ ნორმა (კვაზი-ნორმა, როცა $0<p<1$) არის განსაზღვრული შემდეგნაირად

$$\|f\|_p := \left(\int_{G_m} |f|^p \, d\mu\right)^{1/p}.$$

სუსტი $-L_p(G_m)$ სივრცე შედგება ყველა ზომადი f ფუნქციებისგან, რომელთათვისაც

$$\|f\|_{weak-L_p} := \sup_{\lambda>0} \lambda\{\mu(f>\lambda)\}^{1/p} < +\infty.$$

$C(G_m)$ უწყვეტ ფუნქციათა სივრცის ნორმა განიმარტება შემდეგნაირად

$$\|f\|_C := \sup_{x\in G_m} |f(x)| < c < \infty.$$

P_n-ით აღვნიშნოთ ყველა ვილენკინის პოლინომების სიმრავლე, რომელთა რიგი არ აღემატება $n\in\mathbb{N}$-ს.

$f\in L_p(G_m)$ $(1\le p\le\infty)$-ის საუკეთესო მიახლოების რაოდენობრივი მაჩვენებელი განიმარტება შემდეგნაირად:

$$E_n(f,L_p) := \inf_{\psi\in P_n} \|f-\psi\|_p,$$

ხოლო იმ ელემენტს, რომლისთვისაც ეს ინფიმუმი მიიღწევა ეწორდება საუკეთესო მიახლოების ელემენტი.

$f\in L_p(G_m)$ და $f\in C(G_m)$ სივრცეებში ფუნქციის უწყვეტობის მოდული განიმარტებიან შემდეგნაირად:

$$\omega_p\left(\frac{1}{M_n},f\right) := \sup_{h\in I_n} \|f(\cdot-h)-f(\cdot)\|_p$$

და

$$\omega_C\left(\frac{1}{M_n},f\right) := \sup_{h\in I_n} \|f(\cdot-h)-f(\cdot)\|_C.$$

m-მიმდევრობისთვის განვსაზღვროთ ეგრეთ წოდებული განზოგადებული ხარისხები:

$$M_0 := 1, \quad M_{k+1} := m_k M_k \quad (k\in\mathbb{N}),$$

მაშინ, ნებისმიერი $n\in\mathbb{N}$ ნატურალური რიცხვი შეიძლება ცალსახად წარმოდგეს, როგორც

$$n = \sum_{j=0}^{\infty} n_j M_j,$$

სადაც $n_j\in Z_{m_j}$ $(j\in\mathbb{N}_+)$ და მხოლოდ n_j-ის სასრული რაოდენობა განსხვავდება ნულისაგან.

შემდეგ, ჩვენ განვმარტავთ ორთონორმირებულ სისტემას G_m-ზე რომელსაც ვუწოდებთ ვილენ-

კინის სისტემას.

პირველ რიგში განვმარტოთ კომპლექსური ცვლადის $r_k(x) : G_m \to \mathbb{C}$, განზოგადებული რადემახერის ფუნქციები შემდეგი გზით:

$$r_k(x) := \exp(2\pi i x_k/m_k), \quad \left(i^2 = -1, \ \ x \in G_m, \ \ k \in \mathbb{N}\right).$$

ახლა, ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ ვილენკინის სისტემა $\psi := (\psi_n : n \in \mathbb{N})$ G_m-ზე შემდეგნაირად:

$$\psi_n(x) := \prod_{k=0}^{\infty} r_k^{n_k}(x), \quad (n \in \mathbb{N}).$$

ვილენკინის სისტემა არის ორთონორმირებული და სრული $L_2(G_m)$.

ცნობილია, რომ ყოველი $n \in \mathbb{N}$-თვის

$$\begin{aligned} |\psi_n(x)| &= 1, \\ \psi_n(x+y) &= \psi_n(x)\ \psi_n(y), \\ \psi_n(-x) &= \psi_{n^*}(x) = \overline{\psi}_n(x), \\ \psi_n(x-y) &= \psi_n(x)\ \overline{\psi}_n(y), \\ \psi_{n \hat{+} k}(x) &= \psi_s \psi_n(x), \quad (s, n \in \mathbb{N}, \quad x, y \in G_m). \end{aligned} \tag{1.1.2}$$

კერძო შემთხვევაში, როცა $m \equiv 2$ ამ სისტემას ვუწოდებთ უოლშ-პალეის სისტემას.

1.2 კერძო ჯამები და ფეიერის საშუალოები ვილენკინის სისტემებისთვის

პირველ რიგში, შემოგვთავაზებთ ფურიეს ანალიზის კლასიკური განმარტებების რამდენიმე ანალოგს. თუ $f \in L_1(G_m)$ მაშინ ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ ვილენკინის სისტემების მიმართ ფურიეს კოეფიციენტები, ვილენკინ-ფურიეს მწკრივის კერძო ჯამები, ფეიერის საშუალოები, დირიხლესა და ფეიერის გულები შესაბამისად:

$$\begin{aligned} \widehat{f}(n) &:= \int_{G_m} f \overline{\psi}_n d\mu, \qquad (n \in \mathbb{N}), \\ S_n f &:= \sum_{k=0}^{n-1} \widehat{f}(k)\, \psi_k, \qquad (n \in \mathbb{N}_+), \\ \sigma_n f &:= \frac{1}{n} \sum_{k=0}^{n-1} S_k f, \qquad (n \in \mathbb{N}_+), \\ D_n &:= \sum_{k=0}^{n-1} \psi_k, \qquad (n \in \mathbb{N}_+), \\ K_n &:= \frac{1}{n} \sum_{k=0}^{n-1} D_k, \qquad (n \in \mathbb{N}_+). \end{aligned}$$

ადვილი სანახავია, რომ

$$\begin{aligned} S_n f(x) &= \int_{G_m} f(t) \sum_{k=0}^{n-1} \psi_k (x-t)\, d\mu(t) \\ &= \int_{G_m} f(t)\, D_n(x-t)\, d\mu(t) \\ &= (f * D_n)(x). \end{aligned}$$

ცნობილია, რომ (დეტალებისთვის იხ. [4], [61] და [111]) ნებისმიერი $n \in \mathbb{N}$-თვის და $1 \leq s_n \leq m_n - 1$-თვის სამართლიანია შემდეგი ტოლობები:

$$D_{j+M_n} = D_{M_n} + \psi_{M_n} D_j = D_{M_n} + r_n D_j, \qquad j \leq (m_n - 1) M_n, \tag{1.2.1}$$

$$\begin{aligned} D_{M_n - j}(x) &= D_{M_n}(x) - \overline{\psi}_{M_n - 1}(-x) D_j(-x) \\ &= D_{M_n}(x) - \psi_{M_n - 1}(x) \overline{D}_j(x), \qquad j < M_n. \end{aligned} \tag{1.2.2}$$

$$D_{M_n}(x) = \begin{cases} M_n & x \in I_n \\ 0 & x \notin I_n \end{cases} \tag{1.2.3}$$

$$D_{s_n M_n} = D_{M_n} \sum_{k=0}^{s_n - 1} \psi_{k M_n} = D_{M_n} \sum_{k=0}^{s_n - 1} r_n^k \tag{1.2.4}$$

და

$$D_n = \psi_n \left(\sum_{j=0}^{\infty} D_{M_j} \sum_{k=m_j - n_j}^{m_j - 1} r_j^k \right). \tag{1.2.5}$$

(1.2.3)-ის გამოყენებით გვექნება

$$\|D_{M_n}\|_1 = 1 < \infty. \tag{1.2.6}$$

ცხადია, რომ

$$\begin{aligned} \sigma_n f(x) &= \frac{1}{n} \sum_{k=0}^{n-1} (D_k * f)(x) \\ &= \int_{G_m} f(t)\, K_n(x-t)\, d\mu(t) \\ &= (f * K_n)(x). \end{aligned}$$

სადაც K_n-ები არიან ფეიერის გულები.

ცნობილია, რომ (დეტალებისთვის იხ. [37]) ყოველი $n > t, \quad t, n \in \mathbb{N}$-თვის:

$$K_{M_n}(x) = \begin{cases} \frac{M_t}{1-r_t(x)}, & x \in I_t \backslash I_{t+1}, \qquad x - x_t e_t \in I_n, \\ \frac{M_n+1}{2}, & x \in I_n, \\ 0, & \text{სხვაგან}. \end{cases} \tag{1.2.7}$$

უფრო მეტიც,

$$s_n M_n K_{s_n M_n} = \sum_{l=0}^{s_n-1} \left(\sum_{i=0}^{l-1} r_n^i \right) M_n D_{M_n} + \left(\sum_{l=0}^{s_n-1} r_n^l \right) M_n K_{M_n}. \tag{1.2.8}$$

ფეიერის გულების შემდეგი ტოლობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი შემდგომი კვლევებისათვის (დეტალებისთვის იხ. ბლახოტა და ტეფნაძე [16]). კერძოდ, თუ

$$n = \sum_{i=1}^{r} s_{n_i} M_{n_i},$$

სადაც $n_1 > n_2 > \cdots > n_r \geq 0$ და $1 \leq s_{n_i} < m_{n_i}$ ყოველი $1 \leq i \leq r$-თვის და

$$n^{(k)} = n - \sum_{i=1}^{k} s_{n_i} M_{n_i},$$

სადაც $0 < k \leq r$, მაშინ

$$nK_n = \sum_{k=1}^{r} \left(\prod_{j=1}^{k-1} r_{n_j}^{s_{n_j}} \right) s_{n_k} M_{n_k} K_{s_{n_k} M_{n_k}} + \sum_{k=1}^{r-1} \left(\prod_{j=1}^{k-1} r_{n_j}^{s_{n_j}} \right) n^{(k)} D_{s_{n_k} M_{n_k}}. \tag{1.2.9}$$

ცნობილია, რომ

$$\|K_n\|_1 < c < \infty. \tag{1.2.10}$$

განვმარტოთ კერძო ჯამების და ფეიერის საშუალოების მაქსიმალური ოპერატორები შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} S^* f &:= \sup_{n \in \mathbb{N}} |S_n f|, \\ \sigma^* f &:= \sup_{n \in \mathbb{N}} |\sigma_n f|. \end{aligned}$$

განვმარტოთ კერძო ჯამების და ფეიერის საშუალოების შემდეგი შეზღუდული მაქსიმალური ოპერატორები:

$$\begin{aligned} \widetilde{S}^*_{\#} f &:= \sup_{n \in \mathbb{N}} |S_{M_n} f|, \\ \widetilde{\sigma}^*_{\#} f &:= \sup_{n \in \mathbb{N}} |\sigma_{M_n} f|. \end{aligned}$$

1.3 $\rho(n)$ და ლებეგის მუდმივი ვილენკინის სისტემებთვის

განვსაზღვროთ

$$\langle n\rangle := \min\{j \in \mathbb{N} : n_j \neq 0\} \text{ და } |n| := \max\{j \in \mathbb{N} : n_j \neq 0\},$$

სადაც $M_{|n|} \leq n \leq M_{|n|+1}$. ავღნიშნოთ

$$\rho(n) := |n| - \langle n\rangle, \qquad \text{ყოველი} \qquad n \in \mathbb{N}.$$

ნატურალური რიცხვებისთვის

$$n = \sum_{j=1}^{\infty} n_j M_j \qquad \text{და} \qquad k = \sum_{j=1}^{\infty} k_j M_j$$

განვმარტოთ

$$n \widehat{+} k := \sum_{i=0}^{\infty} (n_i \oplus k_i) M_{i+1}$$

და

$$n \widehat{-} k := \sum_{i=0}^{\infty} (n_i \ominus k_i) M_{i+1},$$

სადაც

$$a_i \oplus b_i := (a_i + b_i) \mathrm{mod} m_i, \qquad a_i, b_i \in Z_{m_i}$$

და $\ominus$ არის $\oplus$-ის შებრუნებული ოპერატორი.

$n = \sum\limits_{j=1}^{\infty} n_j M_j$ ნატურალური რიცხვებისთვის ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ $v(n)$ და $v^*(n)$ ფუნქციები შემდეგნაირად:

$$v(n) := \sum_{j=1}^{\infty} |\delta_{j+1} - \delta_j| + \delta_0, \qquad v^*(n) := \sum_{j=1}^{\infty} \delta_j^*,$$

სადაც

$$\delta_j = sign(n_j) = sign(\ominus n_j) \text{ და } \delta_j^* = |\ominus n_j - 1| \, \delta_j.$$

n-ური ლებეგის კონსტანტა განიმარტება შემდეგი გზით:

$$L_n := \|D_n\|_1 .$$

ტრიგონომეტრიული სისტემისათვის მნიშვნელოვანია, რომ აღინიშნოს ფეიერისა და სეგოს [134] შედეგები, სადაც შეფასებულია ლებეგის კონსტანტები. ლებეგის კონსტანტის თვისებები უოლში-პალის სისტემისთვის მიიღო ფინმა [32]. მისი ორმხრივი შეფასებები ასევე დამტკიცებულია [111]-ში. ლუკომსკიმ [75]-ში დაამტკიცა ქვედა შეფასება $1/4$ მუდმივით. მალიხინმა, ტელიაკოვსკიმ და ხოლშჩევნიკოვამ [76]-ში (იხ. ასევე ასტაშკინი და სემენოვი [2]) გააუმჯობესეს ზემოთ მოცემული შეფასება და დაამტკიცეს განუზოგადებელი ზედა შეფასება კონსტანტა 1-თვის. ვილენკინის სისტემის მიმართ ლებეგის კონსტანტის ორმხრივი შეფასებები სხვადასხვა განსხვავებული მუდმივებისთვის მოყვანილია [75]-ში,

რომელიც დამტკიცებულია ლუკომსკის მიერ. [21]-ში აღწერილია ახალი და მოკლე დამტკიცებები, რომელიც აუმჯობესებს ზედა შეფასებას და უზრუნველყოფს მსგავსი ქვედა შეფასების სამართლიანობას. კერძოდ, ნებისმიერი $n = \sum_{j=1}^{\infty} n_i M_i$-თვის და m_n-თვის გვაქვს შემდეგი ორმხრივი შეფასება:

$$\frac{1}{4\lambda} v(n) + \frac{1}{\lambda^2} v^*(n) \leq L_n \leq v(n) + v^*(n), \tag{1.3.1}$$

სადაც $\lambda := \sup_{n\in\mathbb{N}} m_n$.

უფრო მეტიც, (დეტალებისთვის იხ. მემიჩი, შიმონი და ტეფნაძე [78])

$$\frac{1}{nM_n} \sum_{k=1}^{M_n-1} v(k) \geq \frac{2}{\lambda^2}, \tag{1.3.2}$$

(1.3.1) უტოლობიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი $n \in \mathbb{N}$-თვის, არსებობს აბსოლიტური მუდმივა c ისეთი, რომ

$$\|D_n\|_1 \leq c \log n. \tag{1.3.3}$$

მაგალითისთვის, თუ ავიღებთ $q_{n_k} = M_{2n_k} + M_{2n_k-2} + M_2 + M_0$, მაშინ ჩვენ გვექნება შემდეგი ორმხრივი შეფასება

$$\frac{n_k}{2\lambda} \leq \left\| D_{q_{n_k}} \right\|_1 \leq \lambda n_k, \qquad \lambda := \sup_{n\in\mathbb{N}} m_n. \tag{1.3.4}$$

1.4 ნორლუნდის, T საშუალოებისა და მათი მაქსიმალური ოპერატორების განმარტებები და მაგალითები

დავუშვათ $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ არის არაუარყოფით რიცხვთა მიმდევრობა. f ფუნქციის ფურიეს მწკრივების n-ური ნორლუნდის საშუალო განიმარტება შემდეგნაირად:

$$t_n f := \frac{1}{Q_n} \sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_k f, \tag{1.4.1}$$

სადაც

$$Q_n := \sum_{k=0}^{n-1} q_k.$$

ცხადია, რომ

$$t_n f(x) = \int_G f(t) A_n(x-t)\, d\mu(t)$$

სადაც

$$A_n := \frac{1}{Q_n} \sum_{k=1}^{n} q_{n-k} D_k$$

ფუნქციებს უწოდებენ ნორლუნდის გულს.

ცნობილია (დეტალებისთვის იხ. მორი [80] და ტეფნაძე [148]) ნორლუნდის საშუალოების რეგულარულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა. კერძოდ, დავუშვათ $\{q_k : k \geq 0\}$ არის არაუარყოფით

რიცხვთა მიმდევრობა. ვთქვათ $q_0 > 0$ და

$$\lim_{n\to\infty} Q_n = \infty,$$

მაშინ (1.4.1) შეჯამებადობა, რომელიც წარმოიქმნილია $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით, რეგულარულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$\lim_{n\to\infty} \frac{q_{n-1}}{Q_n} = 0. \tag{1.4.2}$$

გარდა ამისა, თუ $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ მიმდევრობა არის არაზრდადი, მაშინ შეჯამებადობის მეთოდი, რომელიც წარმოქმნილია $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$-ით, ყოველთვის არის რეგულარული მაგრამ თუ $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ მიმდევ-რობა არის არაკლებადი, მაშინ შეჯამებადობის მეთოდი, რომელიც წარმოიქმნილია $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$-ით, ყოველთვის არაა რეგულარული.

ვთქვათ $\{q_k : k \geq 0\}$ არის არაუარყოფით რიცხვთა მიმდევრობა. f ფუნქციის n-ური T საშუალო განიმარტება შემდეგნაირად

$$T_n f := \frac{1}{Q_n} \sum_{k=0}^{n-1} q_k S_k f, \tag{1.4.3}$$

სადც $Q_n := \sum\limits_{k=0}^{n-1} q_k$.
ცხადია, რომ

$$T_n f(x) = \int\limits_{G_m} f(t) F_n(x-t)\, d\mu(t),$$

სადაც $F_n := \frac{1}{Q_n} \sum\limits_{k=1}^{n} q_k D_k$-ს უწოდებენ T საშუალოების გულს.

ვიგულისხმოთ, რომ $\{q_k : k \geq 0\}$ არის არაუარყოფითი რიცხვების მიმდევრობა და $q_0 > 0$. მაშინ (1.4.3) შეჯამებადობის მეთოდი, რომელიც წარმოქმნილია $\{q_k : k \geq 0\}$-ით, რეგულარულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$\lim_{n\to\infty} Q_n = \infty.$$

ვთქვათ t_n იყოს ნორლუნდის საშუალოები, რომლებიც წარმოქმნილია $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ მონოტონური და შემოსაზღვრული მიმდევრობით, ისეთი რომ

$$q := \lim_{n\to\infty} q_n > c > 0.$$

მაშინ, თუ მიმდევრობა $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ არის არაკლებადი მივიღებთ

$$nq_0 \leq Q_n \leq nq.$$

იმ შემთხვევაში როცა $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ მიმდევრობა არის არაზრდადი, მაშინ

$$nq \leq Q_n \leq nq_0. \tag{1.4.4}$$

ორივე შემთხვევაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

$$\frac{q_{n-1}}{Q_n}=O\left(\frac{1}{n}\right),\quad \text{როცა}\quad n\to\infty. \tag{1.4.5}$$

ერთ–ერთი ყველაზე ცნობილი შეჯამებადობის მეთოდი, რომელიც არის ნორლუნდისა და T საშუალებების მაგალითი, არის ფეიერის საშუალოები, რომელებიც მიიღება როდესაც $\{q_k=1:k\in\mathbb{N}\}$

$$\sigma_n f:=\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n}S_k f.$$

ვილენკინ-ფურიეს მწკრივების (C,α)-საშუალოები (ჩეზაროს საშუალოები) განიმარტება შემდეგნაირად:

$$\sigma_n^{\alpha} f:=\frac{1}{A_n^{\alpha}}\sum_{k=1}^{n}A_{n-k}^{\alpha-1}S_k f,$$

სადაც

$$A_0^{\alpha}:=0,\qquad A_n^{\alpha}:=\frac{(\alpha+1)\dots(\alpha+n)}{n!}.$$

ცნობილია, რომ (იხ. ზიგმუნდი [186])

$$A_n^{\alpha}=\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha-1}, \tag{1.4.6}$$

$$A_n^{\alpha}-A_{n-1}^{\alpha}=A_n^{\alpha-1},\quad A_n^{\alpha}\backsim n^{\alpha}. \tag{1.4.7}$$

ჩვენ ასევე განვიხილავთ "შებრუნებელ"(C,α)-საშუალოებს, რომელიც არის T-საშუალოების კერძო მაგალითი:

$$U_n^{\alpha} f:=\frac{1}{A_n^{\alpha}}\sum_{k=0}^{n-1}A_k^{\alpha-1}S_k f,\qquad 0<\alpha<1.$$

ვთქვათ V_n^{α} აღნიშნავს T საშუალოს, სადაც $\left\{q_0=0,\ q_k=k^{\alpha-1}:k\in\mathbb{N}_+\right\}$, მაშინ

$$V_n^{\alpha} f:=\frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n-1}k^{\alpha-1}S_k f,\qquad 0<\alpha<1.$$

n-ური ნორლუნდის ლოგარითმული საშუალო L_n და რისის ლოგარითმული საშუალო R_n განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} L_n f &:= \frac{1}{l_n}\sum_{k=1}^{n-1}\frac{S_k f}{n-k},\\ R_n f &:= \frac{1}{l_n}\sum_{k=1}^{n-1}\frac{S_k f}{k}, \end{aligned}$$

სადაც

$$l_n:=\sum_{k=1}^{n-1}\frac{1}{k}.$$

ნორლუნდის და რისისა ლოგარითმული საშუალოების გულები განიმარტება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} P_n f &:= \frac{1}{l_n}\sum_{k=1}^{n-1}\frac{D_k}{n-k}, \\ Y_n f &:= \frac{1}{l_n}\sum_{k=1}^{n-1}\frac{D_k}{k}. \end{aligned}$$

აქამდე ჩვენ განვიხილეთ ნორლუნდის და T საშუალოები იმ შემთხვევაში, როდესაც მიმდევრობა $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ არის შემოსაზღვრული, მაგრამ ახლა განვიხილოთ ნორლუნდისა და T საშუალოებს, რომლებიც წარმოქმნილია შემოუსაზღვრელი $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ მიმდევრობით.

ვთქვათ $\alpha \in \mathbb{R}_+, \quad \beta \in \mathbb{N}_+$ და

$$\log^{(\beta)} x := \overbrace{\log ... \log}^{\beta\text{-ჯერ}} x.$$

თუ $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ მიმდევრობას განვსაზღვრავთ შემდეგნაირად

$$\left\{q_0 = 0 \ \text{ და } \ q_k = \log^{(\beta)} k^{\alpha} : k \in \mathbb{N}_+\right\},$$

მაშინ მივიღებთ ნორლუნდის საშუალებების კლასს არაკლებადი კოეფიციენტებით:

$$\kappa_n^{\alpha,\beta} f := \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n}\log^{(\beta)}(n-k)^{\alpha} S_k f.$$

პირველ რიგში შევნიშნოთ, რომ $\kappa_n^{\alpha,\beta}$ კორექტულადაა განსაზღვრული ყოველი $n \in \mathbb{N}_+$-სთვის, თუ მათ გადავწერთ როგორც:

$$\kappa_n^{\alpha,\beta} f = \sum_{k=1}^{n}\frac{\log^{(\beta)}(n-k)^{\alpha}}{Q_n} S_k f.$$

ცხადია, რომ

$$\frac{n}{2}\log^{(\beta)}\frac{n^{\alpha}}{2^{\alpha}} \le Q_n \le n\log^{(\beta)} n^{\alpha}.$$

აქედან გამომდინარეობს, რომ

$$\begin{aligned} \frac{q_{n-1}}{Q_n} &\le \frac{c\log^{(\beta)}(n-1)^{\alpha}}{n\log^{(\beta)} n^{\alpha}} \\ &= O\left(\frac{1}{n}\right) \to 0, \ \text{ როცა } \ n \to \infty. \end{aligned} \tag{1.4.8}$$

თუ $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ მიმდევრობას განვსაზღვრავთ შემდეგნაირად

$$\left\{q_0 = 0, \ q_k = \log^{(\beta)} k^{\alpha} : k \in \mathbb{N}_+\right\},$$

მაშინ მივიღებთ T საშუალოების კლასს არაკლებადი კოეფიციენტებით:

$$B_n^{\alpha,\beta} f := \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n-1}\log^{(\beta)} k^{\alpha} S_k f.$$

შევნიშნოთ, რომ $B_n^{\alpha,\beta}$ კორექტულადაა განსაზღვრული ყოველი $n \in \mathbb{N}$-სთვის

$$B_n^{\alpha,\beta} f = \sum_{k=1}^{n-1} \frac{\log^{(\beta)} k^{\alpha}}{Q_n} S_k f.$$

ცხადია, რომ $\frac{n}{2} \log^{(\beta)} \frac{n^{\alpha}}{2^{\alpha}} \leq Q_n \leq n \log^{(\beta)} n^{\alpha} \to 0,$ როცა $n \to \infty.$

განვსაზღვროთ ნორლუნდისა და T საშუალოების მაქსიმალური ოპერატორები შემდეგნაირად:

$$t^* f := \sup_{n\in\mathbb{N}} |t_n f|,$$
$$T^* f := \sup_{n\in\mathbb{N}} |T_n f|$$

ნორლუნდის და T საშუალოების მაქსიმალური ოპერატორების ცნობილ მაგალითებს წარმოადგენენ ჩეზაროს საშუალოების, ნორლუნდის და რისის ლოგარითმული საშუალოების მაქსიმალური ოპერატორები, რომლებიც განისაზღვრებიან შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} \sigma^{\alpha,*} f &:= \sup_{n\in\mathbb{N}} |\sigma_n^{\alpha} f|, \\ L^* f &:= \sup_{n\in\mathbb{N}} |L_n f|, \\ R^* f &:= \sup_{n\in\mathbb{N}} |R_n f|. \end{aligned}$$

ჩვენ ასევე განვსაზღვრავთ რამდენიმე ახალ მაქსიმალურ ოპერატორს:

$$\begin{aligned} \kappa^{\alpha,\beta,*} f &:= \sup_{n\in\mathbb{N}} \left|\kappa_n^{\alpha,\beta} f\right|, \\ \beta^{\alpha,*} f &:= \sup_{n\in\mathbb{N}} |\beta_n^{\alpha} f|. \end{aligned}$$

1.5 სუსტი ტიპის და ძლიერი ტიპის უტოლობები და თ.ყ. კრებადობა

ორი $f, g \in L_1(G_m)$ ფუნქციის კონვოლუცია (ნახვევი) განიმარტება შემდეგნაირად:

$$(f * g)(x) := \int_{G_m} f(x-t) g(t)\, dt \quad (x \in G_m).$$

ადვილი სანახავია, რომ

$$(f * g)(x) = \int_{G_m} f(t) g(x-t)\, dt \quad (x \in G_m).$$

ცნობილია, რომ თუ $f \in L_p(G_m)$, $g \in L_1(G_m)$ და $1 \leq p < \infty$, მაშინ $f * g \in L_p(G_m)$ და

$$\|f * g\|_p \leq \|f\|_p \|g\|_1. \tag{1.5.1}$$

ფურიეს კლასიკურ ანალიზში $x \in (-\infty, \infty)$ წერტილს ეწოდება f ინტეგრებადი ფუნქციის ლებეგის წერტილი თუ

$$\lim_{h\to 0} \frac{1}{h} \int_x^{x+h} |f(t) - f(x)|\, d\mu(t) = 0.$$

$x \in G_m$ წერტილს ეწოდება $f \in L_1(G_m)$-ის ლებეგის წერტილი, თუ

$$\lim_{n\to\infty} M_n \int_{I_n(x)} f(t)\,dt = f(x) \qquad \text{თ.ყ. } x \in G_m.$$

ცნობილია, რომ თუ $f \in L_1(G_m)$ მაშინ თ.ყ. წერტილი არის ლებეგის წერტილი და

$$\lim_{n\to\infty} S_{M_n} f(x) = f(x), \quad \text{ყველა ლებეგის წერტილში } G_m\text{-ზე}, \tag{1.5.2}$$

სადაც S_{M_n} არის ვილენკინის სისტემის M_n-ური კერძო ჯამი.

ახლა განვსაზღვროთ შემდეგი ოპერატორი

$$W_A f(x) := \sum_{s=0}^{A-1} M_s \sum_{r_s=1}^{m_s-1} \int_{I_A(x-r_s e_s)} |f(t) - f(x)|\, d\mu(t)$$

ვიტყვით, რომ $x \in G_m$ წერტილი არის $f \in L_1(G_m)$ ფუნქციის ვილენკინ-ლებეგის წერტილი, თუ

$$\lim_{A\to\infty} W_A f(x) = 0.$$

ხშირ შემთხვევაში $\{T_n : n \in \mathbb{N}\}$ ოპერატორების თ.ყ. კრებადობა მარტივად შეიძლება დადგინდეს $L_1(G_m)$ სივრცის ზოგიერთ ყველგან მკვრივ სიმრავლეზე, რაც ამარტივებს ამ ოპერატორების თ.ყ. კრებადობის საკითხების შესწავლას ნებისმიერი $f \in L_1(G_m)$-თვის. კერძოდ, შემდეგი ლემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ტიპის საკითხების შესასწავლად (დეტალებისთვის იხ. წიგნები [61], [111] და [186]).

ლემა 1.1. *დავუშვათ $f \in L_1$ და $T_n : L_1 \to L_1$-ები არიან სუბ-წრფივი ოპერატორები და*

$$T^* := \sup_{n\in\mathbb{N}} |T_n|.$$

თუ

$$T_n f \to f \quad \text{ თ.ყ. ყოველი } \; f \in S$$

სადაც S სიმრავლე არის ყველგან მკვრივი L_1 სივრცეში და მაქსიმალური ოპერატორი T^* შემოსაზღვრულია L_1 სივრციდან სუსტ-L_1 სივრცეში

$$\sup_{\lambda>0} \lambda\mu\left\{x \in G_m : \; |T^* f(x)| > \lambda\right\} \le \|f\|_1,$$

მაშინ

$$T_n f \to f, \quad \text{ თ.ყ. ყოველი } \; f \in L_1(G_m).$$

შენიშვნა 1.2. *ვინაიდან, ვილენკინის ψ_m ფუნქცია არის მუდმივი $I_n(x)$-ზე ყოველი $x \in G_m$-სთვის და $0 \le m < M_n$-სთვის ცხადია, რომ ვილენკინის თითოეული ფუნქცია არის კომპლექსური ცვლადის*

საფეხურა ფუნქცია. ანუ, ის არის სასრული წრფივი მახასიათებელი ფუნქციების

$$\chi(E)=\begin{cases}1, & x\in E,\\ 0, & x\notin E\end{cases}$$

წრფივი კომბინაცია. მეორეს მხრივ შევნიშნოთ, რომ ნებისმიერი $x,t\in G_m$-თვის და $n\in\mathbb{N}$-თვის, (1.2.4)-დან მიიღება

$$\chi\left(I_n(t)\right)(x)=\frac{1}{M_n}\sum_{j=0}^{M_n-1}\psi_j\left(x-t\right),\quad x\in I_n(t),$$

ამრიგად, თითოეული საფეხურა ფუნქცია არის ვილენკინის ფუნქციების წრფივი კომბინაცია. შესაბამისად, აქედან კი ვიღებთ, რომ საფეხურა ფუნქციების ერთობლიობა ემთხვევა ვილენკინის $\mathcal{P}$ პოლინომების ერთობლიობას. ამიტომ, ნებისმიერი $f\in L_1$-სთვის არსებობს ვილენკინის პოლინომები $P_1,P_2...$, ისეთი, რომ $P_n\to f$ თ.ყ. როცა $n\to\infty$. რაც ნიშნავს, რომ ვილენკინის პოლინომები მკვრივია L_1 სივრცეში.

1.6 უოლშის ფუნქციები ორობით ჯგუფზე და $[0,1)$-ზე

Q_2^*-ით ავღნიშნოთ $p2^{-n}$ სახის რაციონალურ რიცხვთა სიმრავლე, სადაც $0\le p\le 2^n-1$, $p\in\mathbb{N}$-თვის და $n\in\mathbb{N}$-თვის.

ნებისმიერი $x\in[0,1]$ შეგვიძლია ჩავწეროთ შემდეგი სახით

$$x=\sum_{k=0}^{\infty}x_k2^{-(k+1)},\tag{1.6.1}$$

სადაც თითოეული $x_k=0$ ან 1. თითოეული $x\in[0,1]\setminus Q_2^*$-თვის არსებობს ასეთი ფორმის მხოლოდ ერთი წარმოდგენა. ჩვენ მას ვუწოდებთ x-ის ორობით გაშლას. როცა $x\in Q_2^*$ არსებობს მისი ორნაირი (1.6.1) ტიპის წარმოდგენა. ერთი, რომელიც მთავრდება 0–ით და მეორე, რომელიც მთავრდება 1–ით. შევთანხმდეთ რომ $x\in Q_2^*$-თვის ავიღოთ ის ორობითი წარმოდგენა, რომელიც მთავრდება 0-ით.

თუ $m_k=2$ ყოველი $k\in\mathbb{N}$-სთვის ჩვენ გვაქვს ორობითი ჯგუფი

$$G_2=\prod_{j=0}^{\infty}Z_2,$$

რომელსაც უწოდებენ უოლშის ჯგუფს.

ამ შემთხვევაში რადემახერის ფუნქცია განიმარტება შემდეგი გზით:

$$r_k(x):=(-1)^{x_k},\ \ x\in G_2,\ \ k\in\mathbb{N}.\tag{1.6.2}$$

ახლა, ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ უოლშის სისტემა $w:=(\psi_n:n\in\mathbb{N})$ G_2-ზე შემდეგნაირად:

$$w_n(x):=\prod_{k=0}^{\infty}r_k^{n_k}\left(x\right),\ \ (n\in\mathbb{N}).\tag{1.6.3}$$

ვთქვათ

$$G_0^* := \{x \in G_2 : x = y^* \text{ ზოგიერთი } y \in G_0\}.$$

სადაც $G_0 := \{x \in G : x_n \to 0, \text{როცა } n \to \infty\}$ შეუღლებული ელემენტი x^* G-ში ისეთი რომ $|x| = |x^*|$. თითოეული $x := (x_0, x_1, \dots, x_{k-1}, 0, 1, 1, \dots)$ $x_k = 1$ ზოგიერთი $k \in \mathbb{N}$ განვმარტოთ

$$x^* := (x_0, x_1, \dots, x_k, 0, 0, \dots).$$

ასევე განვსაზღვროთ $0^* := (1, 1, \dots)$. ცხადია, რომ $|x| = |x^*|$ ნებისმიერი $x \in G_0 \setminus \{0\}$. ადვილი სანახავია, რომ თუ $|x| = |y|$ მაშინ $x = y$ ან $x \in G_0$ და $x = y^*$.

განვმარტოთ ფინის ასახვა $\varrho : [0, 1] \to G_2$ შემდეგნაირად

$$\varrho(x) := (x_0, x_1, \dots) \tag{1.6.4}$$

სადაც x-ს აქვს (1.6.1) ორობითი წარმოდგენა.

როგორც ცნობილია (დეტალებისთვის იხ. [111]), რომ მახასიათებელ ფუნქციათა სისტემა $\hat{G_2}$ კანონიკური იზომორფიზმით გადადის უოლშის w სისტემაში. მართლაც თუ $x \in [0, 1)$ აქვს ორობითი (1.6.1) გაშლა, მაშინ რადემახერის ფუნქციების განმარტება შეიძლება ჩავწეროთ, როგრც

$$\upsilon_n(x) = (-1)^{x_n} \qquad (n \in \mathbb{N})$$

ამის შედარებით (1.6.2)-თან, დავინახავთ, რომ $\upsilon_n = \tau_n \circ \varrho$ $[0, 1)$ და $\tau_n(x) = \upsilon_n(|x|)$ $x \in G_2 \setminus G_0^*$-თვის და ყოველი $n \in \mathbb{N}$-სთვის.

ახლა ავაგოთ რადემახერის ფუნქციების გრაფიკები $[0, 1)$-ზე:



ნახ:2.1 რადემახერის ფუნქცია υ_0



ნახ:2.2 რადემახერის ფუნქცია υ_1



ნახ:2.3 რადემახერის ფუნქცია υ_2



ნახ:2.4 რადემახერის ფუნქცია $\upsilon_1 6$

$[0,1)$-ზე განვმარტოთ უოლშის ფუნქციები, როგორც

$$\phi_n := \prod_{k=0}^{\infty} \upsilon_k^{n_k} = \upsilon_{|n|}(x)(-1)^{\sum\limits_{k=0}^{|n|-1} n_k x_k} \qquad (n \in \mathbb{N}), \tag{1.6.5}$$

თუ გავითვალისწინებთ G_2-ზე უოლშის ფუნქციების (1.6.5) განმარტებას, (1.6.3)-დან ყოველი $n \in \mathbb{N}$-

სთვის მივიღებთ

$$\phi_n = w_n \circ \varrho$$

და

$$w_n(x) = \phi_n(|x|) \qquad (x \in G_2 \setminus G_0^*).$$

ახლა ავაგოთ უოლშის ფუნქციების გრაფიკები $[0, 1)$-ზე:



ნახ:2.5 უოლშის ფუნქცია ϕ_2



ნახ:2.6 უოლშის ფუნქცია ϕ_7



ნახ:2.7 უოლშის ფუნქცია ϕ_{13}



ნახ:2.8 უოლშის ფუნქცია ϕ_{53}

ფინის ასახვა შეიძლება გამოყენებულ იქნას $[0,1)$-ზე ახალი შეკრებისა და მანძილის განსამარტად, რომლებიც მჭიდრო კავშირშია G_2–ზე არსებულ შეკრებასა და მანძილთან. მართლაც, ორი $x, y \in [0,1)$ რიცხვისთვის განვმარტოთ ორობითი მანძილი შემდეგნაირად

$$x \dot{+} y = |\varrho(x) + \varrho(y)|.$$

x და y-ის ორობითი დაშლის გამოყენებით ამ ორ წერტილს შორის მანძილი გამოითვლება როგორც

$$x \dot{+} y = \sum_{k=0}^{\infty} |x_k - y_k| \, 2^{-k-1}.$$

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ $\dot{+}$ არის კომუტაციური ბინარული ოპერაცია $[0,1)$-ზე, რომელიც აკმაყოფილებს $x \dot{+} x = 0$-ს.

$[0,1)$-ზე, რომელზეც შეკრება განმარტებულია $\dot{+}$-ით, G_2-დან ინდუცირებულ ტოპოლოგიას ეწოდება ორობითი ტოპოლოგია. შევნიშნოთ რომ $[0,1)$ არ არის ჯგუფი $\dot{+}$ ოპერაციის მიმართ.

ორობითი ჯამის გათვალისწინებით უოლშის ფუნქციები $[0,1)$-ზე თითქმის ყველგან იქცევიან ისე, როგორც მახასიათებელი ფუნქციები. კერძოდ,

$$\phi_n(x \dot{+} y) = \phi_n(x)\phi_n(y) \qquad (n \in \mathbb{N}, \ \ x, y \in [0,1), x \dot{+} y \notin Q_2^*). \tag{1.6.6}$$

ორობითი ინტერვალს $[0,1)$-ში ჩვენ ვუწოდებთ შემდეგი სახის ინტერვალებს

$$I(p,n) := \big[p2^{-n}, (p+1)2^{-n},\big) \qquad (0 \le p < 2^n, n, p, \in \mathbb{N}). \tag{1.6.7}$$

ცხადია, ორობითი ტოპოლოგია წარმოიქმნება ორობითი ინტერვალების ერთობლიობით. უფრო მეტიც, ყოველი ორობითი ინტერვალი არის ღია და ჩაკეტილი ორობით ტოპოლოგიაში. აქედან გამომდინარეობს, რომ უოლშის თითოეული ფუნქცია უწყვეტია ორობით ტოპოლოგიაში. ამრიგად, ორობითი ტოპოლოგია არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივ ტოპოლოგიისგან.

თითოეული $x \in [0,1)$-სთვის და $n \in \mathbb{N}$-სთვის $I_n(x)$-ით აღვნიშნოთ ორობითი ინტერვალი რომლის სიგრძე არის 2^{-n}. ამრიგად

$$I_n(x) := I(p,n)$$

სადაც $0 \leq p < 2^n$ ცალსახადაა განსაზღვრული $x \in I(p,n)$-ით. ეს არის იგივე აღნიშვნა, რომელიც გამოიყენება ჯგუფში ორობითი ინტერვალებისთვის, მაგრამ არ წარმოქმნის პრობლემებს, რადგან კონტექსტში გაირკვევა ორობითი ინტერვალი ჯგუფშია თუ ერთეულის ინტერვალის შიგნით.

$I:[0,1)\to\mathbb{R}$ ფუნქცია, რომელიც უწყვეტია ორობითი ტოპოლოგიიდან ჩვეულებრივ ტოპოლოგიაში უწოდებენ $W-$ *უწყვეტს*-ს. შემდეგი უტოლობის გამოყენებით

$$|x-y|\leq x\dotplus y \quad (x,y\in[0,1)),$$

ცხადია, რომ $[0,1)$-ზე ყოველი კლასიკური აზრით უწყვეტი ფუნქცია არის $W-$ *უწყვეტიც*. სინამდვილეში, ყოველი ფუნქცია C_w-ში არის თანაბრად $W-$ *უწყვეტი* ერთეულ ინტერვალზე. მეორეს მხრივ, ყველა $W-$ *უწყვეტი* ფუნქცია არ ეკუთვნის C_w-ს.

ვთქვათ L^0 წარმოდგენს თ.ყ. სასრული ლებეგის აზრით ზომად ფუნქციების ერთობლიობას $[0,1)$-დან $[-\infty,\infty]$-ში. ვთქვათ $0<p<\infty$-თვის L^p წარმოდგენს $f\in L^0$-ის ერთობლიობას ისეთს, რომ

$$\|f\|_p:=\left(\int_0^1|f|^p\right)^{1/p}$$

არის სასრული.

L^∞ წარმოდგენს $f\in L^0$ ფუნქციების ისეთ ერთობლიობას, რომელთათვისაც

$$\|f\|_\infty:=\inf\{y\in\mathbb{R}:|f(x)|\leq y \quad \text{თ.ყ.} \quad x\in[0,1)\}.$$

ცნობილია, რომ L^p არის ბანახის სივრცე თითოეული $1\leq p\leq\infty$-სთვის.

თუ $f\in L_1(E)$, სადაც $E=G_2$ ან $[0,1)$, მაშინ ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ ფურიეს კოეფიციენტები, ფურიეს მწკრივის კერძო ჯამები, ფეიერის საშუალოები, დირიხლესა და ფეიერის გულები w უოლშის სისტემებისათვის შემდეგნაირად:

$$\begin{aligned}
\widehat{f}^{\alpha}(k) &:= \int_E f\overline{\alpha}_k d\mu, \qquad (\alpha_k=w_k \text{ ან } \phi_k), \qquad (k\in\mathbb{N}),\\
S_n^{\alpha}f &:= \sum_{k=0}^{n-1}\widehat{f}(k)\,\alpha_k, \qquad (\alpha_k=w_k \text{ ან } \phi_k), \qquad (n\in\mathbb{N}_+,\ S_0^{\alpha}f:=0),\\
D_n^{\alpha} &:= \sum_{k=0}^{n-1}\alpha_k, \qquad (\alpha=w \text{ ან } \phi), \qquad (n\in\mathbb{N}_+),
\end{aligned}$$

$[0,1)$ სიმრავლეზე მოცემული უოლშის სისტემისთვის მოვიყვანოთ დირიხლეს გულის ცნობილი ტოლობები (დეტალებისთვის იხ. [61] და [111]):

$$D_{2^n}^{w}(x)=\begin{cases}2^n, & \text{თუ } x\in I_n\\ 0, & \text{თუ } x\notin I_n\end{cases} \tag{1.6.8}$$

და

$$D_n^w = w_n \sum_{k=0}^{\infty} n_k r_k D_{2^k}^w = w_n \sum_{k=0}^{\infty} n_k \left(D_{2^{k+1}}^w - D_{2^k}^w \right), \quad \text{სადაც} \quad n = \sum_{i=0}^{\infty} n_i 2^i, \tag{1.6.9}$$

$[0,1)$ ინტერვალზე ავაგოთ დირიხლეს გულის გრაფიკები:



Fig:2.9 დირიხლეს გული D_5^{ϕ}



Fig:2.10 დირიხლეს გული D_8^{ϕ}



Fig:2.12 დირიხლეს გული D_{16}^{ϕ}



Fig:2.11 დირიხლეს გული D_{17}^{ϕ}



Fig:2.13 დირიხლეს გული D_{21}^{ϕ}

ლებეგის მუდმივების თვისებები უოლშ-პალის სისტემისათვის მიიღო ფაინმა [32]-ში. [111]-ში, დამტკიცებულია შემდეგი ორმხრივი შეფასება

$$\frac{V(n)}{8} \leq L_n \leq V(n)$$

სადაც $n = \sum_{j=1}^{\infty} n_j 2^j$ და $V(n)$ განიმარტება შემდეგნაირად:

$$V(n) := \sum_{j=1}^{\infty} |n_{j+1} - n_j| + n_0.$$

თუ $f \in L_1(E)$, სადაც $E = G_2$ ან $[0,1)$, მაშინ ფეიერის საშუალო და ფეიერის გული უოლშის ψ (უოლშის სისტემა w) სისტემის მიმრთ შემდეგნაირადაა განმარტებული:

$$\sigma_n^{\alpha} f \quad : \quad = \frac{1}{n}\sum_{k=0}^{n-1} S_k^{\alpha} f, \qquad (\alpha = w \text{ ან } \phi), \qquad (n \in \mathbb{N}_+),$$

$$K_n^{\alpha} \quad : \quad = \frac{1}{n}\sum_{k=0}^{n-1} D_k^{\alpha}, \qquad (\alpha = w \text{ ან } \phi), \qquad (n \in \mathbb{N}_+).$$

n-ური L_n^α ნორლუნდის ლოგარითმული საშუალო და რისის R_n^α ლოგარითმული საშუალო უოლშის ψ (უოლშის სისტემა w) სისტემის მიმართ განიმარტება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} L_n^\alpha f &:= \frac{1}{l_n}\sum_{k=1}^{n-1}\frac{S_k f}{n-k}, \qquad (\alpha = w \text{ ან } \phi), \qquad (n \in \mathbb{N}_+), \\ R_n^\alpha f &:= \frac{1}{l_n}\sum_{k=1}^{n-1}\frac{S_k f}{k}, \qquad (\alpha = w \text{ ან } \phi), \qquad (n \in \mathbb{N}_+), \end{aligned}$$

სადაც

$$l_n := \sum_{k=1}^{n-1}\frac{1}{k}.$$

ნორლუნდის ლოგარითმული P_n^α საშუალოს და რისის ლოგარითმული Y_n^α საშუალოების გულები განისაზღვრება შესაბამისად:

$$\begin{aligned} P_n^\alpha f &:= \frac{1}{l_n}\sum_{k=1}^{n-1}\frac{D_k^\alpha f}{n-k}, \qquad (\alpha = w \text{ ან } \phi), \qquad (n \in \mathbb{N}_+), \\ Y_n^\alpha f &:= \frac{1}{l_n}\sum_{k=1}^{n-1}\frac{D_k^\alpha f}{k} \qquad (\alpha = w \text{ ან } \phi), \qquad (n \in \mathbb{N}_+). \end{aligned}$$

1.7 ჰარდის მარტინგალური სივრცეების თეორია როცა $0 < p \leq 1$

σ-ალგებრა რომელიც წარმოქმნილია

$$\{I_n(x) : x \in G_m\}$$

ინტერვალით აღვნიშნოთ F_n $(n \in \mathbb{N})$-ით.

ვიტყვით, რომ $f^{(n)}$ ინტეგრებადი ფუნქციების $f = \left(f^{(n)} : n \in \mathbb{N}\right)$ მიმდევრობა არის მარტინგალი σ-ალგებრა F_n $(n \in \mathbb{N})$-ის მიმართ, თუ (იხ. ვეისი [171])

1) $f^{(n)}$ არის F_n ზომადი ყოველი $n \in \mathbb{N}$-*სთვის,*

2) $S_{M_n} f_m = f^{(n)}$ ყოველი $n \leq m$-*სთვის.*

ვიტყვით, რომ მარტინგალი $f = \left(f^{(n)}, n \in \mathbb{N}\right)$ არის L_p-შემოსაზღვრული $(0 < p \leq \infty)$ თუ $f^{(n)} \in L_p$ და

$$\|f\|_p := \sup_{n\in\mathbb{N}} \left\|f^{(n)}\right\|_p < \infty.$$

თუ $f \in L_1(G_m)$, მაშინ ადვილი სანახავია, რომ $F = (S_{M_n} f : n \in \mathbb{N})$ მიმდევრობა არის მარტინგალი. ასეთი ტიპის მარტინგალს უწოდებენ რეგულარულს. თუ $1 \leq p \leq \infty$ და $f \in L_p(G_m)$ მაშინ $f = \left(f^{(n)}, n \in \mathbb{N}\right)$ არის L_p-შემოსაზღვრული და

$$\lim_{n\to\infty} \|S_{M_n} f - f\|_p = 0$$

შესაბამისად $\|F\|_p = \|f\|_p$ (იხ. [91]). ასევე ცნობილია, რომ თუ $1 < p \leq \infty$ (იხ [91]) ნებისმიერი

L_p-შემოსაზღვრული $f = \left(f^{(n)}, n \in \mathbb{N}\right)$ მარტინგალისთვის მაშინ არსებობს $f \in L_p\left(G_m\right)$ ფუნქცია, რომლისთვისაც $f^{(n)} = S_{M_n} f$. თუ $p = 1$, მაშინ არსებობს ასეთივე $f \in L_1\left(G_m\right)$ ფუნქცია მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ $f^{(n)}$ მარტინგალი არის თანაბრად ინტეგრებადი (იხ. [91]), კერძოდ, თუ

$$\lim_{y \to \infty} \sup_{n \in \mathbb{N}} \int_{\{|f_n| > y\}} |f_n(x)|\, d\mu(x) = 0.$$

ამრიგად, ასახვა $f \to f := (E_n f : n \in \mathbb{N})$ არის იზომეტრიული L_p სივრციდან L_p-შემოსაზღვრულ მარტინგალების სივრცეში როცა $1 < p \leq \infty$. შესაბამისად შეიძლება, რომ ეს ორი სივრცე ერთმანეთთან გავაიგივოთ. ანალოგიურად, $L_1\left(G_m\right)$ სივრცე შეიძლება გავაიგივოთ თანაბრად ინტეგრებად მარტინგალურ სივრცეებთან.

ანალოგიურად, მარტინგალი $f = \left(f^{(n)}, n \in \mathbb{N}\right)$ არის *სუსტი* $- L_p$-შემოსაზღვრული $(0 < p \leq \infty)$ თუ $f^{(n)} \in \text{weak} - L_p$ და

$$\|f\|_{weak-L_p} := \sup_{n \in \mathbb{N}} \left\|f^{(n)}\right\|_{weak-L_p} < \infty.$$

მარტინგალის მაქსიმალური ფუნქცია f^* განიმარტება შემდეგნაირად

$$f^* := \sup_{n \in \mathbb{N}} \left|f^{(n)}\right|.$$

იმ შემთხვევაში, როცა $f \in L_1(G_m)$, მაქსიმალური ფუნქცია მოიცემა შემდეგი გზით:

$$f^*(x) := \sup_{n \in \mathbb{N}} \frac{1}{|I_n(x)|} \left| \int_{I_n(x)} f(u)\, d\mu(u) \right|.$$

$0 < p < \infty$-სთვის ჰარდის მარტინგალური სივრცე H_p მოიცავს ყველა მარტინგალს რომლისთვისაც

$$\|f\|_{H_p} := \|f^*\|_p < \infty.$$

$f = \left(f^{(n)} : n \in \mathbb{N}\right)$ მარტინგალის ვილენკინ-ფურიეს კოეფიციენტი განიმარტება ოდნავ განსხვავებული ფორმით:

$$\widehat{f}(i) := \lim_{k \to \infty} \int_{G_m} f^{(k)} \overline{\psi}_i d\mu.$$

კლასიკური ჰარდი სივრცის და ნამდვილი ჰარდის სივრცის განმარტებები და ამ სივრცეების ატომების დაშლის თეორემები შეგვიძლია ვნახოთ ფეფერმანსა და სტეინში [30] (ასევე იხ. ლეიტერი [73], ტორჩინსკი [158], ვილსონი [178]).

შემოსაზღვრული ზომადი ფუნქცია a არის p-ატომი, თუ არსებობს I ინტერვალი, ისეთი რომ

$$\int_I a d\mu = 0, \quad \|a\|_\infty \leq \mu(I)^{-1/p}, \quad \text{supp}(a) \subset I.$$

p-ატომის კონკრეტული კონსტრუქციები შეგვიძლია ვნახოთ [23] და [24] შრომებში.

შევნიშნოთ, რომ ჰარდის მარტინგალურ $H_p\left(G_m\right)$ სივრცეებთვისაც სამართლიანია ატომების დაშლის თეორემები, როცა $0 < p \leq 1$.

შემდეგი ლემა დამტკიცებულია ვეისის მიერ [171, 173]-ში.

ლემა 1.3. *$f=\left(f^{(n)}:n\in\mathbb{N}\right)$ მარტინგალი არის $H_p\,(0<p\leq 1)$-ში მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს p-ატომის $(a_k,k\in\mathbb{N})$ მიმდევრობა და ნამდვილი რიცხვების $(\mu_k:k\in\mathbb{N})$ მიმდევრობა ისეთი, რომ ყოველი $n\in\mathbb{N}$-სთვის*

$$\sum_{k=0}^{\infty}\mu_k S_{M_n}a_k=f^{(n)},\quad \text{თ.ყ.},\tag{1.7.1}$$

სადაც

$$\sum_{k=0}^{\infty}\left|\mu_k\right|^p<\infty.$$

უფრო მეტიც,

$$\|f\|_{H_p}\backsim\inf\left(\sum_{k=0}^{\infty}\left|\mu_k\right|^p\right)^{1/p},$$

სადაც ინფიმუმი აიღება $f=\left(f^{(n)}:n\in\mathbb{N}\right)$-ის ყველა წარმოდგენას შორის, რომელსაც აქვს (1.7.1) სახე.

ასევე H_p მარტინგალების კონსტრუქცია შეგვიძლია ვნახოთ შემდეგ შრომებში: [5], [106], [135], [156], [154], [155], [149], [136], [152], [157] და [109].

ატომებად დაშლის თეორემის გამოყენებით მარტივად მტკიცდება, რომ სამართლიანია შემდეგი ლემები (იხ. ვეისი [173].):

ლემა 1.4. *დავუშვათ, რომ T ოპერატორი არის სუბ-წრფივი და $0<p_0\leq 1$-სთვის სრულდება*

$$\int\limits_{\overline{I}}\left|Ta\right|^{p_0}d\mu\leq c_p<\infty,$$

ყოველი p_0-ატომისთვის a, სადაც I აღნიშნავს ატომის სუპორტს. თუ T ოპერატორი არის შემოსაზღვრული L_{p_1}-დან L_{p_1}-ში, $(1<p_1\leq\infty)$ მაშინ

$$\|Tf\|_{p_0}\leq c_{p_0}\|f\|_{H_{p_0}}.\tag{1.7.2}$$

უფრო მეტიც, თუ $p_0<1$, მაშინ ყოველი $f\in L_1$-თვის გვაქვს სუსტი $(1,1)$ ტიპის უტოლობა

$$\lambda\mu\left\{x\in G_m:\ \left|Tf\left(x\right)\right|>\lambda\right\}\leq\|f\|_1.$$

ასევე მტკიცდება შემდეგი ლემის სამართლიანობა:

ლემა 1.5. *დავუშვათ, რომ T ოპერატორი არის სუბ-წრფივი და $0<p_0\leq 1$-სთვის სრულდება*

$$\sup_{\lambda>0}\lambda^{p_0}\mu\left\{x\in\overline{I}:\left|Tf\right|>\lambda\right\}\leq c_{p_0}<+\infty$$

ყოველი p_0-ატომისთვის a, სადაც I ნიშნავს ატომის სუპორტს. თუ T ოპერატორი არის შემოსაზღვრული L_{p_1}-დან L_{p_1}-ში $(1<p_1\leq\infty)$, მაშინ

$$\|Tf\|_{weak-L_{p_0}}\leq c_{p_0}\|f\|_{H_{p_0}}.$$

უფრო მეტიც, თუ $p_0 < 1$, მაშინ

$$\lambda\mu\left\{x \in G_m : \ |Tf(x)| > \lambda\right\} \leq \|f\|_1 ,$$

ყოველი $f \in L_1$-თვის.

ჰარდის მარტინგალურ H_p $(p > 0)$ სივრცეში უწყვეტობის მოდული განიმარტება შემდეგნაირად:

$$\omega_{H_p}\left(\frac{1}{M_n}, f\right) := \|f - S_{M_n}f\|_{H_p} .$$

ჩვენ უნდა გვესმოდეს, თუ რას ვგულისხმობთ $f - S_{M_n}f$ გამოსახულების ქვეშ, სადაც f არის მარტინგალი და $S_{M_n}f$ არის ფუნქცია:

შენიშვნა 1.6. *ვთქვათ $0 < p \leq 1$. მას შემდეგ, რაც*

$$S_{M_n}f = f^{(n)}, f = \left(f^{(n)} : n \in \mathbb{N}\right) \in H_p$$

და

$$\begin{aligned}\left(S_{M_k}f^{(n)} : k \in \mathbb{N}\right) &= \left(S_{M_k}S_{M_n}f, k \in \mathbb{N}\right)\\ &= \left(S_{M_0}f, \ldots, S_{M_{n-1}}f, S_{M_n}f, S_{M_n}f, \ldots\right)\\ &= \left(f^{(0)}, \ldots, f^{(n-1)}, f^{(n)}, f^{(n)}, \ldots\right)\end{aligned}$$

მივიღებთ, რომ

$$f - S_{M_n}f = \left(f^{(k)} - S_{M_k}f : k \in \mathbb{N}\right)$$

არის მარტინგალი, რომლისთვისაც

$$(f - S_{M_n}f)^{(k)} = \begin{cases} 0, & k = 0, \ldots, n, \\ f^{(k)} - f^{(n)}, & k \geq n+1, \end{cases} \tag{1.7.3}$$

ვატარიმ [166] აჩვენა, რომ არსებობს ძლიერი კავშირი

$$\omega_p\left(\frac{1}{M_n}, f\right)\text{-ს}, \quad E_{M_n}\left(L_p, f\right)\text{-სა} \quad \text{და} \quad \|f - S_{M_n}f\|_p\text{-ს შორის, სადაც } \ p \geq 1, \ \ n \in \mathbb{N}.$$

კერძოდ,

$$\frac{1}{2}\omega_p\left(\frac{1}{M_n}, f\right) \leq \|f - S_{M_n}f\|_p \leq \omega_p\left(\frac{1}{M_n}, f\right) \tag{1.7.4}$$

და

$$\frac{1}{2}\|f - S_{M_n}f\|_p \leq E_{M_n}\left(L_p, f\right) \leq \|f - S_{M_n}f\|_p .$$

შემდეგი ლემა იძლევა იმის პასუხს, თუ რა ხდება, როცა $p > 1$. ამ ლემის დამტკიცება შეგვიძლია ვნახოთ [91]-ში (იხ. ასევე [172]).

ლემა 1.7. *ვთქვათ* $p>1$. *მაშინ*

$$H_p \sim L_p.$$

ამ შენიშვნის და (1.7.4)-ის გამოყენებით მივიღებთ

შენიშვნა 1.8. *ვთქვათ* $p>1$. *მაშინ*

$$\omega_{H_p}\left(\frac{1}{M_n}, f\right) \sim \omega_p\left(\frac{1}{M_n}, f\right).$$

შემდეგი ლემა 1.9-ის დამტკიცება შეგვიძლია ვნახოთ [173]-ში (იხ. აგრეთვე წიგნი [111]).

ლემა 1.9. *თუ* $f \in L_1$, *მაშინ* $F := (S_{M_n}f : n \in \mathbb{N})$ *მიმდევრობა არის მარტინგალი და*

$$\|F\|_{H_p} \sim \left\|\sup_{n\in\mathbb{N}} |S_{M_n}f|\right\|_p.$$

უფრო მეტიც, თუ $F := (S_{M_n}f : n \in \mathbb{N})$ *არის მარტინგალი რომელიც წარმოქმნილია* $f \in L_1$*-ით, მაშინ*

$$\widehat{F}(k) = \int_{G_m} f(x)\,\psi_k(x)\,d\mu(x) = \widehat{f}(k), \qquad k \in \mathbb{N}.$$

2 კერძო ჯამები და ფეიერის საშუალოები ვილენკინ-ფურიეს მწკრივებისთვის ჰარდის მარტინგალურ სივრცეებში

2.1 კერძო ჯამების და ფეიერის საშუალოების ზოგიერთი კლასიკური შედეგი ვილენკინ-ფურიეს მწკრივებისთვის

რიმან-ლებეგის ლემის (იხ. წიგნი [111]) თანახმად $\widehat{f}(k) \to 0$, როცა $k \to \infty$, თითოეული $f \in L_1$-სთვის.

ცნობილია, რომ (იხ. [4] და [111]) თუ $f \in L_1$ და ვილენკინის მწკრივი $T(x) = \sum\limits_{j=0}^{\infty} c_j \psi_j(x)$ ნორმით კრებადია f-კენ L_1 ნორმით, მაშინ $c_j = \int_{G_m} f \overline{\psi}_j d\mu := \widehat{f}(j)$. ე.ი. ამ შემთხვევაში მწკრივი, რომელიც f-ის აპროქსიმაცია აკეთებს აუცილებლად ვილენკინ-ფურიეს მწკრივია. ანალოგიური შედეგი სამართლიანია მაშინაც, თუ ვილენკინის მწკრივი თანაბრად კრებადია G_m-ზე ინტეგრებადი f ფუნქციისკენ.

ლებეგის მუდმივის გამოყენებით მარტივად მივიღებთ, რომ $S_{n_k} f$ ნორმით კრებადია f-კენ L_1-ში, ნებისმიერი ინტეგრებადი f ფუნქციისთვის, მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ $\sup_k L_{n_k} \leq c < \infty$. არსებობს სხვადასხვა შედეგი როცა $p > 1$.

ასევე ცნობილია, რომ (იხ. წიგნი [111])

$$\|S_n f\|_p \leq c_p \|f\|_p, \ \text{ როცა } \ p > 1,$$

მაგრამ შეიძლება დამტკიცდეს უფრო ძლიერი შედეგიც (იხ. წიგნი [111]):

$$\|S^* f\|_p \leq c_p \|f\|_p, \ \text{ როცა } \ f \in L_p, \ \ p > 1.$$

აქედან დავასკვნით, რომ თუ $f \in L_p, \ p > 1$, მაშინ

$$S_{M_n} f(x) \to f(x), \ \ \text{თ.ყ.}$$

ანალოგიურ თეორემებს ადგილი არაა აქვს, როცა $p = 1$-თვის, მაგრამ ამ ვატარიმ [167] (იხ. ასევე გოსელინი [60] და იანგიმ [181]) აჩვენა, რომ არსებობს აბსოლიტური მუდმივი c ისეთი , რომ $n = 1, 2, \ldots$,-სთვის

$$\lambda \mu (|S_n f| > \lambda) \quad \leq \quad c \|f\|_1, \quad f \in L_1(G_m), \ \ \lambda > 0.$$

უფრო მეტიც, როგორც ცნობილია (დეტალებისთვის იხ. [111]) ნებისმიერი ინტეგრებადი ფუნქციისთვის თ.ყ. წერტილი არის ლებეგის წერტილი და $S_{M_n} f(x) \to f(x)$ ნებისმიერი ლებეგის წერტილისთვის.

ვილენკინის (უოლშის) და ტრიგონომეტრიული სისტემების კერძო ჯამების L_1 ნორმით, თანაბრად და წერტილოვნად კრებადობა და ზოგიერთი აპროქსიმაციული თვისებები შესწავლილია ანტონოვის [1], ავდისპაჰიჩის და მემიჩის [3], ბარამიძის [6], გოგინავას [51, 52], შნეიდერის [112], შოლინის [129], ონევირის და ვატერმენის [94,95] მიერ. ფაინმა [32] მიიღო საკმარისობის პირობები ვილენკი-

ფურიეს მწკრივის ჯერძო ჯამების თანაბარი კრებადობისთვის, რომელიც დინი-ლიპშიცის პირობების სრულიად ანალოგურია. გულისევმა [62] შეაფასა უოლშ-ფურიეს მწკრივების თანაბარი კრებადობის სიჩქარე ლებეგის კონსტანტების და უწყვეტობის მოდულების გამოყენებით. კერძო ჯამების ქვემიმდევრობების თანაბარი კრებადობა ასევე შესწავლილია გოგინავასა და ტყებუჩავას [56], ფრიდლის [33] და გატის [41] მიერ. ორგანზომილებიანი კერძო ჯამების აპროქსიმაციის თვისებები ვილენკინისა და ტრიგონომეტრიულ სისტემებისთვის შეგვიძლია ვნახოთ [111]-ში და [186]-ში.

ვილენკინ-ფურიეს მწკრივების კერძო ჯამების თ.ყ. კრებადობა შეგვიძლია ვნახოთ [100]-ში, ხოლო მისი განშლადობის შესახებ სხვადასხვა შედეგები მიღებულია ბიწაძის [9,12], ბუღაძის [10,11], ფეიერის [31], გოსელინის [60], კაჰანის [65], კაზელსონის [67], კარაგულიანის [68,69], ხელაძის [71,72], ლებეგის [74], სტეჩკინის [121], იუნგის [182–184] და ჟიჟიაშვილის [185] მიერ.

ფურიეს კოეფიციენტების ზოგიერთი შეფასება და აბსოლუტური კრებადობა, ასევე სრული ორთონორმალური სისტემების მიმართ ფურიეს მწკრივების განშლადობა შესწავლილია ბოჩკარიოვის [25], გოგოლაძისა და ცაგარეიშვილის [58,59,92], კაშინის და სააკიანის [70], ონიანის [96], ცაგარეიშვილისა და თუთბერიძის [159] მიერ. ფუნქციის აპროქსიმაცია ლოკალურად კომპაქტურ აბელის ჯგუფებზე შესწავლილია უგულავას [28,29] (იხ. აგრეთვე [26]) მიერ.

მას შემდეგ, რაც $H_1 \subset L_1$, რიმან-ლებეგის თეორემის თანახმად, მიიღება რომ $\widehat{f}(k) \to 0$ როცა $k \to \infty$, ყოველი $f \in H_1$-თვის. ჰარდის ტიპის კლასიკური უტოლობა ფართოდაა ცნობილი როგორც ტრიგონომეტრიული, ასევე ვილენკინის სისტემებისთვის. ეს უტოლობა ტრიგონომეტრიული სისტემისთვის დაამტკიცეს ჰარდიმ და ლიტლვუდიმ [63]-ში (ასევე იხ. წიგნი [27]), ხოლო უოლშის სისტემებისთვის დამტკიცებულია შიპის, ვეიდის, შიმონის და პალის [111] მიერ. ვილენკინ-ფურიეს კოეფიციენტების ზოგიერთი უტოლობა განხილულია შემდეგ შრომებში: [98], [120], [123,128], [140], [169,171,177].

ცნობილია, რომ (მაგ. დეტალებისთვის იხ. წიგნიები [111] და [171]) კერძო ჯამების S_{M_n} ქვემიმდევრობა შემოსაზღვრულია H_p ჰარდის მარტინგალური სივრციდან L_p ლებეგის სივრცეში ყოველი $p > 0$-სთვის. თუმცა, (იხ. ტეფნაძე [143]) არსებობს $f \in H_p$ $(0 < p < 1)$ მარტინგალი, ისეთი რომ

$$\sup_{n\in\mathbb{N}} \|S_{M_n+1}f\|_{weak-L_p} = \infty.$$

$S_{M_n+1}f$-ის განშლადობის მიზეზი არის ის, რომ $f \in H_p$-ის ფურიეს კოეფიციენტები არ არიან ერთობლივ შემოსაზღვრულნი (იხ. ტეფნაძე [142]) როცა $0 < p < 1$. მეორეს მხრივ, არსებობს c_p აბსოლუტური მუდმივი, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ p-ზე ისეთი, რომ

$$\|S_{M_n}f\|_p \le c_p \|f\|_{H_p}, \quad p > 0, \quad n \in \mathbb{N}_+. \tag{2.1.1}$$

ტეფნაძემ [143]-ში (ასევე იხ. [145] და [148]) დაამტკიცა, რომ ყოველი $0 < p < 1$-სთვის მაქსიმალური ოპერატორი

$$\widetilde{S}_p^* f := \sup_{n\in\mathbb{N}} \frac{|S_n f|}{(n+1)^{1/p-1}}$$

შემოსაზღვრულია ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში. უფრო მეტიც მიმდევრობის $(n+1)^{1/p-1}$ რიგი განუზოგადებელია.

აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველი $0 < p < 1$-სთვის და $f \in H_p$-სთვის არსებობს აბსოლუ-

ტური მუდმივი c_p, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ p-ზე, ისეთი რომ

$$\|S_n f\|_p \leq c_p \left(n+1\right)^{1/p-1} \|f\|_{H_p}, \quad n \in \mathbb{N}_+.$$

ბლახოტამ, ნოჯიმ, პერსონმა და ტეფნაძემ ([14])-ში დაამტკიცეს, რომ თუ $0 < p \leq 1$ და ზრდადი, დადებითი $\{\alpha_k : k \in \mathbb{N}\}$ რიცხვების ქვემიმდევრობა აკმაყოფილებს შემდეგ პირობას

$$\sup_{k \in \mathbb{N}} \rho\left(\alpha_k\right) = \varkappa < \infty, \tag{2.1.2}$$

მაშინ მაქსიმალური ოპერატორი $\widetilde{S}^{*,\vartriangle} f := \sup_{k \in \mathbb{N}} \left|S_{\alpha_k} f\right|$ შემოსაზღვრულია ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში. უფრო მეტიც, თუ $0 < p < 1$ და ზრდადი, დადებითი $\{\alpha_k : k \in \mathbb{N}\}$ რიცხვების ქვემიმდევრობა აკმაყოფილებს შემდეგ პირობას

$$\sup_{k \in \mathbb{N}} \rho\left(\alpha_k\right) = \infty, \tag{2.1.3}$$

მაშინ არსებობს მარტინგალი $f \in H_p, \ (0 < p < 1)$ ისეთი, რომ

$$\sup_{k \in \mathbb{N}} \left\|S_{\alpha_k} f\right\|_{weak-L_p} = \infty.$$

აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი $p > 0$-სთვის და $f \in H_p$-სთვის, მაქსიმალური ოპერატორები

$$\widetilde{S}^{*}_{\#} f := \sup_{n \in \mathbb{N}} \left|S_{M_n} f\right| \quad \text{და} \quad \sup_{n \in \mathbb{N}_+} \left|S_{M_n + M_{n-1}} f\right| \tag{2.1.4}$$

შემოსაზღვრულები არიან ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში. ასევე შევნიშნოთ, რომ თუ $p > 0$ და $f \in H_p$, მაქსიმალური ოპერატორი

$$\sup_{n \in \mathbb{N}_+} \left|S_{M_n + 1} f\right|$$

არ არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში.

როგორც ცნობილია (დეტალებისთვის იხ. [148])

$$\left\|S_{M_n} f - f\right\|_{H_p} \to 0, \quad f \in H_p \quad (p > 0). \tag{2.1.5}$$

ტეფნაძემ [143]-ში (ასევე იხ. [145] და [148]) დაამტკიცა, რომ ნებისმიერი $0 < p < 1$-თვის და $f \in H_p$-სთვის არსებობს მხოლოდ p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\|S_n f\|_{H_p} \leq c_p n^{1/p-1} \|f\|_{H_p}.$$

ტეფნაძემ [143]-ში დაამტკიცა, რომე ნებისმიერი $0 < p < 1$-სთვის, $f \in H_p$-სთვის და $M_k < n \leq$

M_{k+1}-სთვის არსებობს მხოლოდ p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\|S_nf-f\|_{H_p}\leq c_pn^{1/p-1}\omega_{H_p}\left(\frac{1}{M_k},f\right).$$

ამ შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ თუ $0<p<1$, $f\in H_p$ და

$$\omega_{H_p}\left(\frac{1}{M_n},f\right)=o\left(\frac{1}{M_n^{1/p-1}}\right),\text{ როცა } n\to\infty,$$

მაშინ

$$\|S_kf-f\|_{H_p}\to 0,\text{ როცა }\quad k\to\infty.$$

უფრო მეტიც, ყოველი $0<p<1$-თვის არსებობს მარტინგალი $f\in H_p$, რომლისთვისაც

$$\omega_{H_p}\left(\frac{1}{M_n},f\right)=O\left(\frac{1}{M_n^{1/p-1}}\right),\quad\text{როცა}\quad n\to\infty$$

და

$$\|S_kf-f\|_{weak-L_p}\nrightarrow 0,\text{ როცა } k\to\infty.$$

ტეფნაძემ [153]-ში დაამტკიცა, რომ ნებისმიერი $0<p<1$-თვის და $f\in H_p$-სთვის არსებობს მხოლოდ p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\|S_nf\|_{H_p}\leq\frac{c_pM_{|n|}^{1/p-1}}{M_{\langle n\rangle}^{1/p-1}}\|f\|_{H_p}.$$

უფრო მეტიც, ნებისმიერი $0<p<1$-სთვის და ნებისმიერი არაურყოფითი რიცხვების ზრდადი $\{n_k:\ k\in\mathbb{N}\}$ მიმდევრობისთვის რომლისთვისაც სამართლიანია (2.1.3) პირობა და $\{\Phi_n:n\in\mathbb{N}\}$ ნებისმიერი არაზრდადი მიმდევრობისთვის, რომლისთვისაც სამართლიანია შემდეგი

$$\overline{\lim_{k\to\infty}}\frac{M_{|n_k|}^{1/p-1}}{M_{\langle n_k\rangle}^{1/p-1}\Phi_{n_k}}=\infty,\tag{2.1.6}$$

არსებობს მარტინგალი $f\in H_p$ ისეთი, რომ

$$\sup_{k\in\mathbb{N}}\left\|\frac{S_{n_k}f}{\Phi_{n_k}}\right\|_{L_{p,\infty}}=\infty.$$

უფრო მეტიც, თუ $0<p<1$, $f\in H_p$ და $\{n_k:\ k\in\mathbb{N}\}$ არის არაუარყოფითი რიცხვების ზრდადი მიმდევრობა, მაშინ $\|S_{n_k}f\|_{H_p}\leq c_p\|f\|_{H_p}$ სამართლიანია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ შესრულებულია (2.1.2) პირობა.

[150]-ში (აგრეთვე იხ. [153]) დამტკიცებულია, რომ თუ $0<p<1$, $f\in H_p$ და $M_k<n\leq M_{k+1}$, მაშინ არსებობს მხოლოდ p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\|S_nf-f\|_{H_p}\leq\frac{c_pM_{|n|}^{1/p-1}}{M_{\langle n\rangle}^{1/p-1}}\omega_{H_p}\left(\frac{1}{M_k},f\right),\quad(0<p<1).$$

აქედან გამომდინარეობს, რომ თუ $\{n_k : k \in \mathbb{N}\}$ არის არაუარყოფითი რიცხვების ზრდადი მიმდევრობა ისეთი, რომ

$$\omega_{H_p}\left(\frac{1}{M_{|n_k|}}, f\right) = o\left(\frac{M_{\langle n_k\rangle}^{1/p-1}}{M_{|n_k|}^{1/p-1}}\right), \text{ როცა } k \to \infty,$$

მაშინ $\|S_{n_k}f - f\|_{H_p} \to 0$, როცა $k \to \infty$. უფრო მეტიც, თუ $\{n_k : k \in \mathbb{N}\}$ არის არაუარყოფითი რიცხვების ზრდადი მიმდევრობა ისეთი, რომ სამართლიანია (2.1.3) პირობა, მაშინ არსებობს $f \in H_p$ მარტინგალი და $\{\alpha_k : k \in \mathbb{N}\} \subset \{n_k : k \in \mathbb{N}\}$ მიმდევრობა, რომლისთვისაც

$$\omega_{H_p}\left(\frac{1}{M_{|\alpha_k|}}, f\right) = O\left(\frac{M_{\langle \alpha_k\rangle}^{1/p-1}}{M_{|\alpha_k|}^{1/p-1}}\right), \text{ როცა } k \to \infty$$

და $\limsup_{k\to\infty} \|S_{\alpha_k}f - f\|_{weak-L_p} > c > 0$, როცა $k \to \infty$.

ტეფნაძემ [143]-ში (აგრეთვე იხ. [148]) დაამტკიცა, რომ ყოველი $f \in H_1$-სთვის მაქსიმალური ოპერატორი

$$\widetilde{S}^* f := \sup_{n\in\mathbb{N}_+} \frac{|S_n f|}{\log(n+1)}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის H_1 სივრციდან ლებეგის L_1 სივრცეში. უფრო მეტიც, $\log(n+1)$ მიმდევრობის რიგი არის განუზოგადებელი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი $f \in H_1$-სთვის არსებობს აბსულუტური მუდმივი c ისეთი, რომ

$$\|S_n f\|_1 \le c\log(n+1)\|f\|_{H_1}, \quad n \in \mathbb{N}_+. \tag{2.1.7}$$

ამ შეფასებიდან დაუყოვნებლივ გამომდინარეობს, რომ თუ $f \in H_1$ და $M_k < n \le M_{k+1}$, მაშინ არსებობს აბსულუტური მუდმივი c ისეთი, რომ

$$\|S_n f - f\|_{H_1} \le c\lg n\,\omega_{H_1}\left(\frac{1}{M_k}, f\right).$$

ამ შეფასების გამოყენებით მივიღებთ, რომ თუ $f \in H_1$ და

$$\omega_{H_1}\left(\frac{1}{M_n}, f\right) = o\left(\frac{1}{n}\right), \text{ როცა } n \to \infty,$$

მაშინ $\|S_k f - f\|_{H_1} \to 0$, როცა $k \to \infty$. უფრო მეტიც, (დეტალებისთვის იხ. [143]) არსებობს მარტინგალი $f \in H_1$, რომლისთვისაც

$$\omega_{H_1}\left(\frac{1}{M_{2M_n}}, f\right) = O\left(\frac{1}{M_n}\right), \quad \text{როცა } n \to \infty$$

და $\|S_k f - f\|_1 \nrightarrow 0$, როცა $k \to \infty$.

[150]-ში (აგრეთვე იხ. [153]) დამტკიცებულია, რომ თუ $f \in H_1$ და $M_k < n \le M_{k+1}$, მაშინ არსებობს აბსოლუტური მუდმივი c ისეთი, რომ

$$\|S_n f\|_{H_1} \le c\left(v(n) + v^*(n)\right)\|f\|_{H_1}.$$

უფრო მეტიც, თუ $\{\Phi_n : n \in \mathbb{N}\}$ არის ნებისმიერი არაკლებადი და არაუარყოფითი მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს $\lim_{n\to\infty} \Phi_n = \infty$ პირობას და $\{n_k \geq 2 : k \in \mathbb{N}\}$ არის ქვემიმდევრობა ისეთი, რომ

$$\lim_{k\to\infty} \frac{v(n_k) + v^*(n_k)}{\Phi_{n_k}} = \infty,$$

მაშინ არსებობს მარტინგალი $f \in H_1$ ისეთი, რომ

$$\sup_{k\in\mathbb{N}} \left\| \frac{S_{n_k} f}{\Phi_{n_k}} \right\|_1 \to \infty, \text{ როცა } k \to \infty.$$

[150]-ში (იხ. აგრეთვე [153]) დამტკიცებულია, რომ თუ $f \in H_1$ და $M_k < n \leq M_{k+1}$, მაშინ არსებობს აბსოლუტური მუდმივი c ისეთი, რომ

$$\|S_n f - f\|_{H_1} \leq c\left(v(n) + v^*(n)\right) \omega_{H_1}\left(\frac{1}{M_k}, f\right).$$

აქედან გამომდინარეობს, რომ თუ $f \in H_1$ და $\{n_k : k \in \mathbb{N}\}$ არის არაუარყოფითი რიცხვების მიმდევრობა ისეთი, რომ

$$\omega_{H_1}\left(\frac{1}{M_{|n_k|}}, f\right) = o\left(\frac{1}{v(n_k) + v^*(n_k)}\right), \text{ როცა } k \to \infty,$$

მაშინ $\|S_{n_k} f - f\|_{H_1} \to 0,$ როცა $k \to \infty$. უფრო მეტიც, თუ $\{n_k : k \geq 1\}$ არის არაუარყოფითი რიცხვების მიმდევრობა ისეთი, რომ

$$\sup_{k\in\mathbb{N}} \left(v(n_k) + v^*(n_k)\right) = \infty,$$

მაშინ არსებობს მარტინგალი $f \in H_1$ და $\{\alpha_k : k \in \mathbb{N}\} \subset \{n_k :\in \mathbb{N}\}$ მიმდევრობა რომლისთვისაც

$$\omega_{H_1}\left(\frac{1}{M_{|\alpha_k|}}, f\right) = O\left(\frac{1}{v(\alpha_k) + v^*(\alpha_k)}\right)$$

და $\limsup_{k\to\infty} \|S_{\alpha_k} f - f\|_1 > c > 0$ როცა $k \to \infty$.

შიმონმა [117]-ში დაამტკიცა, რომ ნებისმიერი $f \in H_p$-სთვის არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\sum_{k=1}^{\infty} \frac{\|S_k f\|_p^p}{k^{2-p}} \leq c_p \|f\|_{H_p}^p, \qquad (0 < p < 1).$$

ამ შედეგის სიზუსტე გარკვეული აზრით, დაამტკიცულია ტეფნაძის [140] მიერ. კერძოდ, თუ $0 < p < 1$ და $\{\Phi_n : n \in \mathbb{N}\}$ არის ნებისმიერი არაკლებადი მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს $\overline{\lim_{n\to\infty}} \Phi_n = +\infty$ პირობას, მაშინ არსებობს მარტინგალი $f \in H_p$ ისეთი, რომ

$$\sum_{k=1}^{\infty} \frac{\|S_k f\|_{weak-L_p}^p \Phi_k}{k^{2-p}} = \infty.$$

გატმა [38]-ში ყოველი $f\in H_1$-სთვის დაამტკიცა შემდეგი ძლიერად კრებადობის თეორემა:

$$\lim_{n\to\infty}\frac{1}{\log n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|S_kf-f\|_1}{k}=0.$$

ანალოგიური შედეგი ტრიგონომეტრიული სისტემებისთვის მიიღო სმიტმა [130], უოლშ-პალის სისტემისთვის შიმონმა [116] და ვილენკინის ტიპის სისტემებისთვის ბლახოტამ [13]. უფრო მეტიც, ყოველი $f\in H_1$-სთვის, არსებობს აბსოლუტური მუდმივი c ისეთი, რომ

$$\frac{1}{\log n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|S_kf\|_1}{k}\leq c\|f\|_{H_1}\quad \text{და}\quad \lim_{n\to\infty}\frac{1}{\log n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|S_kf\|_1}{k}=\|f\|_{H_1}\quad (n=2,3...)\,.$$

ერთგანზომილებიანი შემთხვევისათვის იანომ [180] დაამკიცა, რომ

$$\|K_n\|\leq 2\quad (n\in\mathbb{N}).$$

შესაბამისად,

$$\|\sigma_nf-f\|_p\to 0,\quad \text{როცა}\quad n\to\infty,\ \ (f\in L_p,\ \ 1\leq p\leq\infty).$$

ამასთან (იხ. [64,111]) კრებადობის სიჩქარე არამუდმივი ფუნქციებისთვის ვერ იქნება $O\left(n^{-1}\right)$ $(n\to\infty)$ რიგზე დიდი. უფრო დაწვრილებით, თუ $f\in L_p$, $1\leq p\leq\infty$ და

$$\|\sigma_{M_n}f-f\|_p=o\left(\frac{1}{M_n}\right),\ \ \text{როცა}\quad n\to\infty,$$

მაშინ f არის მუდმივი ფუნქცია.

ფრიდლიმ [34]-ში L_p ფუნქნციებისთვის გამოიყენა უწყვეტობის ორობითი მოდული, რომელიც ვილენკინ-ფეიერის საშუალოების კრებადობის სიჩქარის შეფასების საშუალებას იძლევა. ასევე ცნობილია, რომ (იხ. წიგნი [4] და [111])

$$\|\sigma_nf-f\|_p$$
$$\leq c_p\omega_p\left(\frac{1}{M_N},f\right)+c_p\sum_{s=0}^{N-1}\frac{M_s}{M_n}\omega_p\left(\frac{1}{M_s},f\right),\quad (1\leq p\leq\infty,\ \ n\in\mathbb{N})\,.$$

ამ შეფასების გამოყენებით დაუყოვნებლივ მივიღებთ, რომ თუ $f\in lip\,(\alpha,p)$, ე.ი.,

$$\omega_p\left(\frac{1}{M_n},f\right)=O\left(\frac{1}{M_n^{\alpha}}\right),\quad n\to\infty,$$

მაშინ

$$\|\sigma_nf-f\|_p=\begin{cases}O\left(\frac{1}{M_N}\right), & \text{თუ } \alpha>1,\\ O\left(\frac{N}{M_N}\right), & \text{თუ } \alpha=1,\\ O\left(\frac{1}{M_N^{\alpha}}\right), & \text{თუ } \alpha<1.\end{cases}$$

მეორეს მხრივ, თუ $1\leq p\leq\infty$, $f\in L_p$ და

$$\|\sigma_{M_n}f-f\|_p=o\left(1/M_n\right),\ \text{როცა}\ n\to\infty,$$

მაშინ f არის მუდმივი ფუნქცია $f = const.$

ვეისმა [174]-ში განიხილა ვილენკინ-ფურიეს მწკრივების ფეიერის საშუალოების ნორმით კრებადობა და დაამტკიცა, რომ

$$\|\sigma_k f\|_p \leq c_p \|f\|_{H_p}, \quad p > 1/2 \quad \text{და} \quad f \in H_p. \tag{2.1.8}$$

ამ შედეგის გამოყენებით მივიღებთ, რომ

$$\frac{1}{n^{2p-1}} \sum_{k=1}^{n} \frac{\|\sigma_k f\|_p^p}{k^{2-2p}} \leq c_p \|f\|_{H_p}^p, \quad (1/2 < p < \infty).$$

(2.1.8) სამართლიანი რომ ყოფილიყო $0 < p \leq 1/2$-სთვისაც, მაშინ დაუყოვნებლივ მივიღებდით

$$\frac{1}{\log^{[1/2+p]} n} \sum_{k=1}^{n} \frac{\|\sigma_k f\|_p^p}{k^{2-2p}} \leq c_p \|f\|_{H_p}^p, \quad (0 < p \leq 1/2), \tag{2.1.9}$$

თუმცა, ტეფნაძემ [137]-ში აჩვენა, რომ $p > 1/2$ პირობა (2.1.8)-ში არის არსებითი. კერძოდ, მან დაამტკიცა, რომ არსებობს მარტინგალი $f \in H_{1/2}$ ისეთი, რომ

$$\sup_{n \in \mathbb{N}} \|\sigma_n f\|_{1/2} = +\infty.$$

ვილენკინის სისტემებისთვის ტეფნაძემ [141] დაამტკიცა, რომ (2.1.9) სამართლიანია იმის მიუხედავად, რომ (2.1.8) უტოლობა არ არის სამართლიანი $0 < p \leq 1/2$-სთვის.

ფეიერის საშუალოებისთვის ახალი ჰარდის ტიპის უტოლობა მიიღეს პერსონმა, ტეფნაძემ, თუთბერიძემ და ვალმა [102]-ში.

ერთ-განზომილებიან შემთხვევაში სუსტი ტიპის უტოლობა

$$\mu(\sigma^* f > \lambda) \leq \frac{c}{\lambda} \|f\|_1, \qquad (f \in L_1, \quad \lambda > 0)$$

ტრიგონომეტრიული მწკრივებისთვის შეგვიძლია ვნახოთ ზიგმუნდის [186] წიგნში, შიპმა [110]-ში აჩვენა უოლშის მწკრივებისთვის და პალმა და შიმონმა [99] შემოსაზღვრული ვილენკინის სისტემისთვის. აქედან დავასკვნით, რომ თუ $f \in L_1$-ს, მაშინ

$$\sigma_n f(x) \to f(x), \quad \text{თ.ყ}$$

უფრო მეტიც, გოგინავამ და გოგოლაძემ [53]-ში განმარტეს ვილენკინ-ლებეგის წერტილები და დაამტკიცეს, რომ ნებისმიერი ინტეგრებადი ფუნქციისთვის თ.ყ. წერტილი არის ვილენკინ-ლებეგის წერტილი და $\sigma_n f(x) \to f(x)$ ნებისმიერი ვილენკინ-ლებეგის წერტილისთვის.

ფუჯიმ [36] და შიმონმა [115] დაამტკიცეს, რომ σ^* არის შემოსაზღვრული H_1-დან L_1-ში. ეს შედეგი განაზოგადა ვეისმა [174] და დაამტკიცა σ^*-ის შემოსაზღვრულობა ჰარდის H_p მარტინგალური სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში როცა $p > 1/2$. შიმონმა [117] ააგო კონტრმაგალითი, რომელიც აჩვენებს რომ შემოსაზღვრულობა არაა სამართლიანი $0 < p < 1/2$-სთვის. კონტრმაგალითი $p = 1/2$-

სთვის ააგო გოგინავამ [48], (აგრეთვე იხ. [23] და [24]). ტეფნაძემ [137] დაამტკიცა, რომ არსებობს მარტინგალი $f \in H_{1/2}$ ისეთი, რომ

$$\sup_{n\in\mathbb{N}} \|\sigma_n f\|_{1/2} = +\infty.$$

უფრო მეტიც, არსებობს მარტინგალი $f \in H_p$, როცა $0 < p < 1/2$ ისეთი, რომ

$$\sup_{n\in\mathbb{N}} \|\sigma_n f\|_{weak-L_p} = +\infty.$$

აქედან გამომდინარეობს, რომ არსებობს მარტინგალი $f \in H_{1/2}$ ისეთი, რომ

$$\|\sigma^* f\|_{1/2} = +\infty.$$

უფრო მეტიც, არსებობს $f \in H_p$ მარტინგალი $0 < p < 1/2$-სთვის ისეთი, რომ

$$\|\sigma^* f\|_{weak-L_p} = +\infty.$$

ვეისმა [169] აჩვენა, რომ σ^* არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $weak - L_{1/2}$ სივრცეში, ხოლო ტეფნაძემ [139] აჩვენა, რომ მაქსიმალური ოპერატორი $\widetilde{\sigma}_p^*$

$$\widetilde{\sigma}_p^* := \sup_{n\in\mathbb{N}} \frac{|\sigma_n|}{(n+1)^{1/p-2}},$$

სადაც $0 < p < 1/2$, არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში. უფრო მეტიც, ნებისმიერი არაკლებადი $\{\Phi_n : n \in \mathbb{N}\}$ მიმდევრობისთვის, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{(n+1)^{1/p-2}}{\Phi_n} = +\infty,$$

გვაქვს

$$\sup_{k\in\mathbb{N}} \frac{\left\| \frac{\sigma_{M_{2n_k}+1} f_k}{\Phi_{M_{2n_k}+1}} \right\|_{weak-L_p}}{\|f_k\|_{H_p}} = \infty.$$

ამ შედეგებიდან დაუყოვნებლივ მივიღებთ

$$\|\sigma_n f\|_p \leq c_p (n+1)^{1/p-2} (n+1) \|f\|_{H_p},$$

მაგრამ დამტკიცებულია უფრო ძლიერი უტოლობაც (დეტალებისთვის იხ. [148]). კერძოდ, თუ $0 < p < 1/2$ და $f \in H_p$ მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\|\sigma_n f\|_{H_p} \leq c_p n^{1/p-2} \|f\|_{H_p}.$$

[138]-ში (უოლშის სისტემებისთვის იხ. [49]) დამტკიცებულია, რომ მაქსიმალური ოპერატორი

$\widetilde{\sigma}^*$, რომელიც განიმარტება შემდეგნაირად:

$$\widetilde{\sigma}^* := \sup_{n\in\mathbb{N}} \frac{|\sigma_n|}{\log^2(n+1)},$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან ლებეგის $L_{1/2}$ სივრცეში. უფრო მეტიც, ნებისმიერი არაკლებადი $\{\Phi_n : n\in\mathbb{N}\}$ მიმდევრობისთვის დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობა

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{\log^2(n+1)}{\Phi_n} = +\infty,$$

გვაქვს, რომ

$$\sup_{k\in\mathbb{N}} \frac{\left\|\frac{\sigma_{q_{n_k}} f_k}{\Phi_{q_{n_k}}}\right\|_{1/2}}{\|f_k\|_{H_{1/2}}} = \infty.$$

როგორც შედეგი ვღებულობთ, რომ

$$\|\sigma_n f\|_{1/2} \leq c \log^2(n+1) \|f\|_{H_{1/2}}.$$

მაგრამ დამტკიცებულია უფრო ძლიერი შედეგი (დეტალებისთვის იხ. [148]). კერძოდ, თუ $f\in H_{1/2}$ მაშინ არსებობს აბსოლუტური მუდმივი c ისეთი, რომ

$$\|\sigma_n f\|_{H_{1/2}} \leq c \log^2(n+1) \|f\|_{H_{1/2}}.$$

ანალოგიური შედეგები უოლშ-კაჩმარსკის სისტემისათვის დამტკიცებულია [55]-ში და [140]-ში.

ერთგანზომილებიანი ვილენკინ-ფურიეს მწკრივებისათვის ვეისმა [174] დაამტკიცა, რომ მაქსიმალური ოპერატორი

$$\sigma^{\#} f = \sup_{n\in\mathbb{N}} |\sigma_{M_n} f|$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის მარტინგალური H_p-სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში ნებისმიერი $p>0$-თვის. მან ასევე აჩვენა რომ

$$\|\sigma_{M_n} f - f\|_{H_p} \to 0, \quad f\in H_p \quad (p>0). \tag{2.1.10}$$

მეორეს მხრივ, ოპერატორი $|\sigma_{M_n} f|$ არ არის შემოსაზღვრული H_p სივრციდან H_p სივრცეში, როცა $0<p\leq 1$. ეს შედეგი, უოლშის სისტემისთვის დაამტკიცა გოგინავამ [51], ხოლო შემოსაზღვრული ვილენკინის სისტემებისთვის პერსონმა და ტეფნაძემ [107].

ფეიერის საშუალოების აპროქსიმაციული თვისებები ერთ-განზომილებიანი უოლში-ფურიეს მწკრივებისათვის განხილულია [101]-ში და [161]-ში.

ტეფნაძემ [108]-ში დაამტკიცა, რომ თუ $0<p\leq 1/2$ და $\{\alpha_k : k\in\mathbb{N}\}$ არის დადებით რიცხვთა ზრდადი ქვემიმდევრობა ისეთი, რომ

$$\sup_{k\in\mathbb{N}} \rho(\alpha_k) = \varkappa < c < \infty,$$

მაშინ მაქსიმალური ოპერატორი

$$\widetilde{\sigma}^{*,\triangle} f := \sup_{k\in\mathbb{N}} |\sigma_{\alpha_k} f|$$

შემოსაზღვრულია ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში. უფრო მეტიც, თუ $0 < p \leq 1/2$ და $\{\alpha_k : k \in \mathbb{N}\}$ არის დადებით რიცხვთა ზრდადი ქვემიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\sup_{k\in\mathbb{N}} \rho\left(\alpha_k\right) = \infty,$$

მაშინ არსებობს მარტინგალი $f \in H_p$ ისეთი, რომ

$$\sup_{k\in\mathbb{N}} \|\sigma_{\alpha_k} f\|_{weak-L_p} = \infty, \quad \left(0 < p < 1/2\right).$$

აქედან დაუყოვნებლივ გამომდინარეობს, რომ $0 < p \leq 1/2$-სთვის და $f \in H_p$-სთვის არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\|\sigma_{n_k} f\|_p \leq c_p \|f\|_{H_p}, \quad k \in \mathbb{N}$$

მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$\sup_{k\in\mathbb{N}} \rho\left(n_k\right) < c < \infty.$$

კერძო შემთხვევაში მივიღებთ, რომ როცა $p > 0$ და $f \in H_p$, მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\|\sigma_{M_n} f\|_p \leq c_p \|f\|_{H_p}, \quad \left(p > 0\right). \tag{2.1.11}$$

[142]-ში დამტკიცებულია, რომ თუ $0 < p < 1/2$, $f \in H_p$ და

$$\omega_p\left(\frac{1}{M_n}, f\right) = o\left(\frac{1}{M_n^{1/p-2}}\right) \text{როცა } \ n \to \infty,$$

მაშინ

$$\|\sigma_n f - f\|_{H_p} \to 0, \text{ როცა } n \to \infty.$$

უფრო მეტიც, არსებობს მარტინგალი $f \in H_p$ $\left(0 < p < 1/2\right)$ რომლისთვისაც

$$\omega\left(\frac{1}{M_n}, f\right)_{H_p} = O\left(\frac{1}{M_n^{1/p-2}}\right) \ \text{ როცა } \ n \to \infty$$

და

$$\|\sigma_n f - f\|_{weak-L_p} \nrightarrow 0, \ \text{ როცა } \ n \to \infty.$$

როცა $p = 1/2$ მაშინ მივიღებთ, რომ თუ $f \in H_{1/2}$ და

$$\omega_{H_{1/2}}\left(\frac{1}{M_n}, f\right) = o\left(\frac{1}{n^2}\right), \text{ როცა } \ n \to \infty, \tag{2.1.12}$$

მაშინ

$$\|\sigma_n f - f\|_{H_{1/2}} \to 0, \text{ როცა } n \to \infty.$$

უფრო მეტიც, არსებობს მარტინგალი $f \in H_{1/2}$ რომლისთვისაც

$$\omega_{H_{1/2}}\left(\frac{1}{M_n}, f\right) = O\left(\frac{1}{n^2}\right), \text{ როცა } n \to \infty$$

და

$$\|\sigma_n f - f\|_{1/2} \nrightarrow 0, \quad \text{როცა} \quad n \to \infty.$$

როგორც მიღებული შედეგების კერძო შემთხვევა ჩვენ ასევე ჩამოვაყალიბებთ მიღებულ შედეგებს უოლშის სისტემისთვის, რათა ნათლად დავინახოთ განშლადობის სისწრაფე განსხვავებული ქვემიმდევრობებისთვის. თუ $0 < p < 1/2, \ f \in H_p$, მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\|\sigma_{M_n+1} f\|_{H_p} \leq c_p M_n^{1/p-2} \|f\|_{H_p}, \quad n \in \mathbb{N} \tag{2.1.13}$$

და

$$\left\|\sigma_{M_n+M_{[n/2]}} f\right\|_{H_p} \leq c_p M_n^{1/2p-1} \|f\|_{H_p}, \quad n \in \mathbb{N}. \tag{2.1.14}$$

უფრო მეტიც, $M_n^{1/p-2}$ და $M_n^{1/2p-1}$ რიცხვები (2.1.13) და (2.1.14) უტოლობებში არის ზუსტი.

ბლახოტამ და ტეფნაძემ [16]-ში დაამტკიცეს, რომ თუ $0 < p < 1/2$ და $f \in H_p$, მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\sum_{k=1}^{\infty} \frac{\|\sigma_k f\|_p^p}{k^{2-2p}} \leq c_p \|f\|_{H_p}^p,$$

უფრო მეტიც, თუ $0 < p < 1/2$ და $\{\Phi_k \ : k \in \mathbb{N}\}$ არის ნებისმიერი არაკლებადი მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს $\Phi_n \uparrow \infty$ პირობას და

$$\overline{\lim_{k\to\infty}} \frac{k^{2-2p}}{\Phi_k} = \infty, \tag{2.1.15}$$

მაშინ არსებობს მარტინგალი $f \in H_p$ ისეთი, რომ

$$\sum_{k=1}^{\infty} \frac{\|\sigma_k f\|_{weak-L_p}^p}{\Phi_k} = \infty.$$

დასკვნის სახით მივიღებთ, რომ თუ $0 < p < 1/2$ და $f \in H_p$, მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\sum_{k=1}^{\infty} \frac{\|\sigma_k f\|_{H_p}^p}{k^{2-2p}} \leq c_p \|f\|_{H_p}^p,$$

$$\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n} \frac{\|\sigma_k f\|_{H_p}^p}{k^{1-2p}} \leq c_p \|f\|_{H_p}^p,$$

$$\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|\sigma_k f-f\|_{H_p}^p}{k^{1-2p}}=0,$$

და

$$\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|\sigma_k f\|_{H_p}^p}{k^{1-2p}}=\|f\|_{H_p}^p.$$

[16]-ში ბლახოტას და ტეფნაძის მიერ ასევე განხილული იქნა $p=1/2$ შემთხვევა. მათ დაამტკიცეს, რომ თუ $f\in H_{1/2}$ მაშინ არსებობს აბსოლუტური მუდმივი c ისეთი, რომ

$$\frac{1}{\log n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|\sigma_k f\|_{1/2}^{1/2}}{k}\leq c\,\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}.$$

დასკვნის სახით მივიღებთ, თუ $f\in H_{1/2}$, მაშინ

$$\frac{1}{\log n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|\sigma_k f\|_{H_{1/2}}^{1/2}}{k}\leq c\,\|f\|_{H_{1/2}}^{1/2},$$

$$\lim_{n\to\infty}\frac{1}{\log n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|\sigma_k f-f\|_{H_{1/2}}^{1/2}}{k}=0$$

და

$$\lim_{n\to\infty}\frac{1}{\log n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|\sigma_k f\|_{H_{1/2}}^{1/2}}{k}=\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}.$$

2.2 დირიხლეს და ფეიერის გულების შეფასებები ვილენკინის სისტემებისთვის

ტეფნაძის მიერ [142]-ში დამტკიცებული იქნა შემდეგი ლემა:

ლემა 2.1. *დავუშვათ* $x\in I_s\backslash I_{s+1},\quad s=0,...,N-1$. *მაშინ*

$$\int_{I_N}|D_n(x-t)|\,d\mu(t)\leq\frac{cM_s}{M_N},$$

სადაც c *არის აბსოლუტური მუდმივი.*

დამტკიცება. დავუშვათ $x\in I_s\backslash I_{s+1},\quad s=0,...,N-1$. (1.2.3) და (1.2.5)-დან გვექნება, რომ

$$|D_n(x)|\leq\sum_{j=0}^{s}n_jD_{M_j}(x)=\sum_{j=0}^{s}n_jM_j\leq cM_s.$$

თუ $t\in I_N$ და $x\in I_s\backslash I_{s+1},\quad s=0,...,N-1$ მაშინ მივიღებთ, რომ $x-t\in I_s\backslash I_{s+1}$. ზემოთ მოცემული შეფასების გამოყენებით მივიღებთ, რომ

$$|D_n(x-t)|\leq cM_s$$

და

$$\int_{I_N}|D_n(x-t)|\,d\mu(t)\leq\frac{cM_s}{M_N}.$$

დამტკიცება დასრულებულია.

■

შემდეგი ლემის დამტკიცება შეგვიძლია ვნახოთ [138, 139]-ში:

ლემა 2.2. *ვთქვათ* $n \in \mathbb{N}$ *და* $x \in I_N^{k,l}$, *სადაც* $k < l$. *მაშინ*

$$K_{M_n}(x) = 0, \quad \textit{თუ} \;\; n > l. \tag{2.2.1}$$

და

$$|K_{M_n}(x)| \leq cM_k. \tag{2.2.2}$$

უფრო მეტიც,

$$\int_{G_m} |K_{M_n}| \, d\mu \leq c < \infty, \tag{2.2.3}$$

სადაც c *არის აბსოლუტური მუდმივი.*

შემდეგი ლემის დამტკიცება მოცემულია აგაევის, ვილენკინის, ჯაფარლის და რუბინშტეინის წიგნში [4]:

ლემა 2.3. *დავუშვათ* $n \in \mathbb{N}$. *მაშინ*

$$n\,|K_n| \leq c \sum_{l=\langle n\rangle}^{|n|} M_l \,|K_{M_l}| \leq c \sum_{l=0}^{|n|} M_l \,|K_{M_l}| \tag{2.2.4}$$

სადაც c *არის აბსოლუტური მუდმივი.*

2.4 და 2.5 ლემები დამტკიცებულია ტეფნაძის [138, 139] (ასევე იხ. ბლახოტა, ტეფნაძე [16]) მიერ:

ლემა 2.4. *დავუშვათ* $x \in I_N^{k,l}, \; k = 0, \ldots, N-2, \; l = k+1, \ldots, N-1.$ *მაშინ*

$$\int_{I_N} |K_n(x-t)| \, d\mu(t) \leq \frac{cM_l M_k}{nM_N}.$$

ვთქვათ $x \in I_N^{k,N}, \; k = 0, \ldots, N-1.$ *მაშინ*

$$\int_{I_N} |K_n(x-t)| \, d\mu(t) \leq \frac{cM_k}{M_N},$$

სადაც c *არის აბსოლუტური მუდმივი.*

შემდეგი ლემა არის ლემა 2.4-ის მარტივი შედეგი.

ლემა 2.5. *ვთქვათ* $x \in I_N^{k,l}, \qquad k = 0, \ldots, N-1, \qquad l = k+1, \ldots, N. \qquad$ *მაშინ*

$$\int_{I_N} |K_n(x-t)| \, d\mu(t) \leq \frac{cM_l M_k}{M_N^2}, \quad n \geq M_N,$$

სადაც c *არის აბსოლუტური მუდმივი.*

ახლა ჩამოვაყალიბოთ ფეიერის გულების რამდენიმე ახალი შეფასება, რომელიც გამოყენებული იქნება უარყოფითი შედეგების დასამტკიცებლად. ლემა 2.6 დამტკიცებულია ბლახოტა, ტეფნაძის [16] მიერ.

ლემა 2.6. *დავუშვათ t, s_n, $1 \leq s_n \leq m_n - 1$ და $n \in \mathbb{N}$. მაშინ*

$$|K_{s_n M_n}(x)| \geq \frac{M_n}{2\pi s_n},\ x \in I_{n+1}(e_{n-1} + e_n). \tag{2.2.5}$$

უფრო მეტიც, თუ $x \in I_t \backslash I_{t+1}$, $x - x_t e_t \notin I_n$ და $n > t$, მაშინ

$$K_{s_n M_n}(x) = 0. \tag{2.2.6}$$

ლემა 2.7 დამტკიცებულია ტეფნაძის და პერსონის [108]-ში მიერ:

ლემა 2.7. *დავუშვათ $n \in \mathbb{N}$, $\langle n \rangle \neq |n|$ და $x \in I_{\langle n \rangle + 1}\left(e_{\langle n \rangle - 1} + e_{\langle n \rangle}\right)$. მაშინ*

$$|nK_n(x)| = \left|\left(n - M_{|n|}\right) K_{n - M_{|n|}}(x)\right| \geq \frac{M_{\langle n \rangle}^2}{2\pi\lambda},$$

სადაც $\lambda := \sup_{n \in \mathbb{N}} m_n$.

უოლშის სისტემისათვის ლემა 2.8-ის ანალოგი დამტკიცებულია [141]-ში ტეფნაძის მიერ, ხოლო შედეგი 2.9 არის მისი მარტივი კერძო შემთხვევა. კერძო შემთხვევებში მსგავსი ტიპის შეფასებები დამტკიცებულია ბლაჰოტას, გატის და გოგინავას მიერ [23]-ში და [24]-ში.

ლემა 2.8. *დავუშვათ*

$$n = \sum_{i=1}^{s} \sum_{k=l_i}^{m_i} n_k M_k,$$

სადაც

$$0 \leq l_1 \leq m_1 \leq l_2 - 2 < l_2 \leq m_2 \leq ... \leq l_s - 2 < l_s \leq m_s.$$

მაშინ

$$n\,|K_n(x)| \geq cM_{l_i}^2, \qquad x \in I_{l_i+1}\left(e_{l_i-1} + e_{l_i}\right),$$

სადაც $\lambda = \sup_{n \in \mathbb{N}} m_n$ და c არის აბსოლუტური მუდმივი.

დამტკიცება. დავუშვათ $x \in I_{l_i+1}\left(e_{l_i-1} + e_{l_i}\right)$. (1.2.3)-დან და (1.2.4)-დან (2.2.1) უტოლობით ლემა 2.2-ის გამოყენებით მივიღებთ

$$D_{M_{l_i}} = 0$$

და

$$D_{s_{n_k} M_{s_{n_k}}} = K_{s_{n_k} M_{s_{n_k}}} = 0, \ \ s_{n_k} > l_i.$$

რადგან $s_{n_1} > s_{n_2} > \cdots > s_{n_r} \geq 0$ შეგვიძლია დავწეროთ

$$\begin{aligned} n^{(k)} &= n - \sum_{i=1}^{k} s_{n_i} M_{n_i} \\ &= \sum_{i=k+1}^{s} s_{n_i} M_{n_i} \leq \sum_{i=0}^{n_{k+1}} (m_i - 1) M_i \\ &= m_{n_{k+1}} M_{n_{k+1}} - 1 \leq M_{n_k}. \end{aligned}$$

(1.2.9)-ის გამოყენებით გვექნება

$$\begin{aligned} n\,|K_n| &\geq \left| s_{l_i} M_{l_i} K_{s_{l_i} M_{l_i}} \right| \\ &- \sum_{r=1}^{i-1} \sum_{k=l_r}^{m_r} |s_k M_k K_{s_k M_k}| \\ &- \sum_{r=1}^{i-1} \sum_{k=l_r}^{m_r} |M_k D_{s_k M_k}| \\ &= I_1 - I_2 - I_3. \end{aligned}$$

ვთქვათ $x \in I_{l_i+1}\,(e_{l_i-1} + e_{l_i})$ და $1 \leq s_{l_i} \leq m_{l_i} - 1$. ლემა 2.6-ის გამოყენებით მივიღებთ

$$I_1 = \left| s_{l_i} M_{l_i} K_{s_{l_i} M_{l_i}} \right| \geq \frac{M_{l_i}^2}{2\pi} \geq \frac{2M_{l_i}^2}{9}.$$

ადვილი სანახავია, რომ

$$\begin{aligned} \sum_{s=0}^{k} n_s^2 M_s^2 &\leq \sum_{s=0}^{k} (m_s - 1)^2 M_s^2 \\ &\leq \sum_{s=0}^{k} m_s^2 M_s^2 - 2\sum_{s=0}^{k} m_s M_s^2 + \sum_{s=0}^{k} M_s^2 \\ &= \sum_{s=0}^{k} M_{s+1}^2 - 2\sum_{s=0}^{k} M_{s+1} M_s + \sum_{s=0}^{k} M_s^2 \\ &= M_{k+1}^2 + 2\sum_{s=0}^{k} M_s^2 - 2\sum_{s=0}^{k} M_{s+1} M_s - M_0^2 \\ &\leq M_{k+1}^2 - 1. \end{aligned}$$

და

$$\begin{aligned} \sum_{s=0}^{k} n_s M_s &\leq \sum_{s=0}^{k} (m_s - 1) M_s \\ &= m_k M_k - m_0 M_0 \\ &\leq M_{k+1} - 2. \end{aligned}$$

რადგან $m_{i-1} \leq l_i - 2$, თუ გამოვიყენებთ ზემოთ მოყვანილ შეფასებას, გვექნება

$$\begin{aligned} I_2 &\leq \sum_{s=0}^{l_i-2} \left| n_s M_s K_{n_s M_s}(x) \right| \\ &\leq \sum_{s=0}^{l_i-2} n_s M_s \frac{(n_s M_s + 1)}{2} \\ &\leq \frac{(m_{l_i-2} - 1) M_{l_i-2}}{2} \sum_{s=0}^{l_i-2} (n_s M_s + 1) \\ &\leq \frac{(m_{l_i-2} - 1) M_{l_i-2}}{2} M_{l_i-1} \\ &+ \frac{(m_{l_i-2} - 1) M_{l_i-2}}{2} l_i \\ &\leq \frac{M_{l_i-1}^2}{2} - \frac{M_{l_i-2} M_{l_i-1}}{2} + M_{l_i-1} l_i. \end{aligned} \tag{2.2.7}$$

I_3-სთვის გვაქვს

$$\begin{aligned} I_3 &\leq \sum_{k=0}^{l_i-2} \left| M_k D_{n_k M_k}(x) \right| \leq \sum_{k=0}^{l_i-2} n_k M_k^2 \\ &\leq M_{l_i-2} \sum_{k=0}^{l_i-2} n_k M_k \\ &\leq M_{l_i-1} M_{l_i-2} - 2 M_{l_i-2}. \end{aligned} \tag{2.2.8}$$

(2.2.7)-(2.2.8)-ის გამოყენებით მივიღებთ

$$\begin{aligned} n \left| K_n(x) \right| &\geq I_1 - I_2 - I_3 \\ &\geq \frac{M_{l_i}^2}{2\pi} + \frac{3}{2} + 2 M_{l_i-2} \\ &- \frac{M_{l_i-1} M_{l_i-2}}{2} - \frac{M_{l_i-1}^2}{2} - M_{l_i-1} l_i \\ &\geq \frac{M_{l_i}^2}{2\pi} - \frac{M_{l_i}^2}{16} - \frac{M_{l_i}^2}{8} + \frac{7}{2} - M_{l_i-1} l_i \\ &\geq \frac{2 M_{l_i}^2}{9} - \frac{3 M_{l_i}^2}{16} + \frac{7}{2} - M_{l_i-1} l_i \\ &\geq \frac{M_{l_i}^2}{144} - M_{l_i-1} l_i. \end{aligned}$$

ვივარაუდოთ, რომ $l_i \geq 4$. მაშინ

$$\begin{aligned} n \left| K_n(x) \right| &\geq \frac{M_{l_i}^2}{36} - \frac{M_{l_i}}{4} \\ &\geq \frac{M_{l_i}^2}{36} - \frac{M_{l_i}^2}{64} \\ &\geq \frac{5 M_{l_i}^2}{36 \cdot 16} \geq \frac{M_{l_i}^2}{144}. \end{aligned}$$

ლემა დამტკიცებულია.

■

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შემდეგი შედეგი არის ლემა 2.8-ის კერძო შემთხვევა:

შედეგი 2.9. *ვთქვათ* $2 < n \in \mathbb{N}_+$ *და* $q_n = M_{2n} + M_{2n-2} + ... + M_2 + M_0$. *მაშინ*

$$q_{n-1} \left| K_{q_{n-1}}(x) \right| \geq \frac{M_{2k}^2}{144}, \qquad x \in I_{2k+1}\left(e_{2k-1} + e_{l_{2k}}\right)\text{-თვის},$$

სადაც $k = 0, 1, ..., n$.

2.3 ჰარდის ტიპის უტოლობები ვილენკინ-ფურიეს მწკრივების კერძო ჯამების H_p ნორმებისათვის

ამ თავში ჩვენ შევისწავლით ვილენკინ-ფურიეს მწკრივების კერძო ჯამებისთვის ზოგიერთ ძლიერად შეჯამებადობის თეორემას. შემდეგი თეორემა დამტიცებულია თუთბერიძის [160] მიერ:

თეორემა 2.10. *ა) დავუშვათ* $f \in H_1$. *მაშინ არსებობს აბსოლუტური მუდმივი* c *ისეთი, რომ*

$$\sup_{n \in \mathbb{N}} \frac{1}{n \log n} \sum_{k=1}^{n} \left\| S_k f \right\|_1 \leq c \left\| f \right\|_{H_1}.$$

ბ) დავუშვათ $\varphi : \mathbb{N}_+ \to [1, \infty)$ *არის არაკლებადი ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას*

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{\log n}{\varphi_n} = +\infty. \tag{2.3.1}$$

მაშინ არსებობს მარტინგალი $f \in H_1$ *ისეთი, რომ*

$$\sup_{n \in \mathbb{N}} \frac{1}{n \varphi_n} \sum_{k=1}^{n} \left\| S_k f \right\|_1 = \infty.$$

დამტკიცება. თეორემის პირველი ნაწილი არის გატის [38] შესაბამისი რეზულტატის უშუალო შედეგი. გადმოცემის სისრულისთვის ჩვენ აქ ჩვენ მას დავამტკიცებთ, რისთვისაც გამოვიყენებთ (2.1.7)-ს, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

$$\frac{1}{n \log n} \sum_{k=1}^{n} \left\| S_k f \right\|_1 \leq \frac{c \left\| f \right\|_{H_1}}{n \log n} \sum_{k=1}^{n} \log k \leq c \left\| f \right\|_{H_1}.$$

ამით თეორემა 2.10-ის ა) ნაწილი დამტკიცებულია.

(2.3.1) პირობის ძალით არსებობს დადებითი რიცხვების ზრდადი მიმდევრობა $\{\alpha_k : k \in \mathbb{N}\}$ ისეთი, რომ

$$\overline{\lim_{k\to\infty}} \frac{\log M_{\alpha_k}}{\varphi_{2M_{\alpha_k}}} = +\infty$$

და

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{\varphi_{2M_{\alpha_k}}^{1/2}}{\log^{1/2} M_{\alpha_k}} < c < \infty. \tag{2.3.2}$$

დავუშვათ $f=(f^{(n)},\ \ n\in\mathbb{N})$ არის მარტინგალი, რომელიც განიმარტება შემდეგნაირად

$$f^{(n)}:=\sum_{\{k;\,2\alpha_k<n\}}\lambda_k a_k,$$

სადაც

$$a_k=r_{\alpha_k}D_{M_{\alpha_k}}=D_{2M_{\alpha_k}}-D_{M_{\alpha_k}}$$

და

$$\lambda_k=\frac{\varphi^{1/2}_{2M_{\alpha_k}}}{\log^{1/2}M_{\alpha_k}}.$$

ლემა 1.3-დან, თუ გამოვიყენებთ (2.3.2) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ $f\in H_1$. უფრო მეტიც,

$$\widehat{f}(j)=\begin{cases}\lambda_k, & j\in\{M_{\alpha_k},...,2M_{\alpha_k}-1\},\ k\in\mathbb{N}\\ 0\,, & j\notin\bigcup\limits_{k=1}^{\infty}\{M_{\alpha_k},...,2M_{\alpha_k}-1\}.\end{cases}\tag{2.3.3}$$

თუ გამოვიყენებთ

$$D_{j+M_{\alpha_k}}=D_{M_{\alpha_k}}+\psi_{_{M_{\alpha_k}}}D_j,\qquad \text{როცა}\ \ j\leq M_{\alpha_k},$$

(2.3.3)-ის გამოყენებით მივიღებთ

$$\begin{aligned}S_jf &= S_{M_{\alpha_k}}f+\sum_{v=M_{\alpha_k}}^{j-1}\widehat{f}(v)\psi_v \qquad (2.3.4)\\ &= S_{M_{\alpha_k}}f+\lambda_k\sum_{v=M_{\alpha_k}}^{j-1}\psi_v\\ &= S_{M_{\alpha_k}}f+\lambda_k\left(D_j-D_{M_{\alpha_k}}\right)\\ &= S_{M_{\alpha_k}}f+\lambda_k\psi_{M_{\alpha_k}}D_{j-M_{\alpha_k}}\\ &= I_1+I_2.\end{aligned}$$

(2.1.1)-ის გათვალისწინებით შეგვიძლია დავწეროთ

$$\|I_1\|_1\leq\left\|S_{M_{\alpha_k}}f\right\|_1\leq c\,\|f\|_{H_1}\,.\tag{2.3.5}$$

(1.3.1)-ის და (2.3.5)-ის ქვედა შეფასების კომბინაციით მივიღებთ

$$\begin{aligned}\|S_nf\|_1 &\geq \|I_2\|_1-\|I_1\|_1\\ &\geq \lambda_kL\left(n-M_{\alpha_k}\right)-c\,\|f\|_{H_1}\\ &\geq c\lambda_kv\left(n-M_{\alpha_k}\right)-c\,\|f\|_{H_1}\,.\end{aligned}$$

აქედან გამომდინარე, (1.3.2)-ის გამოყენებით შეგვიძლია დავასკვნათ

$$
\begin{aligned}
& \sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{1}{n\varphi_n}\sum_{k=1}^{n}\|S_kf\|_1 \\
\geq\ & \frac{1}{2M_{\alpha_k}\varphi_{2M_{\alpha_k}}}\sum_{\left\{M_{\alpha_k}\leq l\leq 2M_{\alpha_k}\right\}}\|S_lf\|_1 \\
\geq\ & \frac{c}{2M_{\alpha_k}\varphi_{2M_{\alpha_k}}}\sum_{\left\{M_{\alpha_k}\leq l\leq 2M_{\alpha_k}\right\}}\left(\frac{v\left(l-M_{\alpha_k}\right)\varphi_{2M_{\alpha_k}}^{1/2}}{\log^{1/2}M_{\alpha_k}}-c\left\|f\right\|_{H_1}\right) \\
\geq\ & \frac{c\varphi_{2M_{\alpha_k}}^{1/2}}{2M_{\alpha_k}\log^{1/2}M_{\alpha_k}\varphi_{2M_{\alpha_k}}}\sum_{l=1}^{M_{\alpha_k}-1}v\left(l\right)-c\left\|f\right\|_{H_1}^{1/2} \\
\geq\ & \frac{c\varphi_{2M_{\alpha_k}}^{1/2}\log M_{\alpha_k}}{\log^{1/2}M_{\alpha_k}\varphi_{2M_{\alpha_k}}} \\
\geq\ & \frac{c\log^{1/2}M_{\alpha_k}}{\varphi_{2M_{\alpha_k}}^{1/2}}\to\infty,\ \text{როცა}\ \ k\to\infty.
\end{aligned}
$$

ამით თეორემის დამტკიცება დასრულებულია

■

ვეისის [174] თეორემის გამოყენებით $p=1$ შემთხვევაში გვექნება, რომ არსებობს c აბსოლუტური მუდმივი, ისეთი რომ

$$\sup_{n\in\mathbb{N}}\|\sigma_nf\|_1<c\left\|f\right\|_{H_1}.$$

ესე იგი,

$$\sup_{n\in\mathbb{N}}\left\|\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n}S_kf\right\|_1<c\left\|f\right\|_{H_1}. \tag{2.3.6}$$

ამ შეფასების გათვალისწინებით იბადება საინტერესო შეკითხვა, იმის შესახებ, რომ თუ არსებობს აბსოლუტური მუდმივი c ისეთი, რომ ადგილი აქვს შემდეგ უტოლობას

$$\sup_{n\in\mathbb{N}}\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n}\|S_kf\|_1<c\left\|f\right\|_{H_1},$$

რომელიც იქნებოდა (2.3.6) უტოლობის განზოგადება. სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს უარყოფითი პასუხი ამ კითხვაზე:

შედეგი 2.11. *არსებობს მარტინგალი $f\in H_1$ ისეთი, რომ*

$$\sup_{n\in\mathbb{N}}\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n}\|S_kf\|_1=\infty.$$

2.4 ჰარდის ტიპის უტოლობები ვილენკინ-ფურიეს მწკრივების ფეიერის საშუალოების H_p ნორმებისათვის

შემდეგი თეორემა დამტკიცებულია პეროსნის, ტეფნაძის, თუთბერიძის და ვალის [102] მიერ:

თეორემა 2.12. *ა) ვთქვათ $f \in H_{1/2}$. მაშინ არსებობს აბსოლუტური მუდმივი c ისეთი, რომ სამართლიანია უტოლობა*

$$\sup_{n\in\mathbb{N}} \frac{1}{n\log n}\sum_{k=1}^{n} \|\sigma_k f\|_{1/2}^{1/2} \le c\,\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}.$$

ბ) ვთქვათ $\varphi : \mathbb{N}_+ \to [1,\infty)$ არის არაკლებადი ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{\log n}{\varphi_n} = +\infty. \tag{2.4.1}$$

მაშინ არსებობს ფუნქცია $f \in H_{1/2}$ ისეთი, რომ

$$\sup_{n\in\mathbb{N}} \frac{1}{n\varphi_n}\sum_{k=1}^{n} \|\sigma_k f\|_{H_{1/2}}^{1/2} = \infty.$$

შედეგი 2.13. *არსებობს მარტინგალი $f \in H_{1/2}$ ისეთი, რომ*

$$\sup_{n\in\mathbb{N}} \frac{1}{n}\sum_{k=1}^{n} \|\sigma_k f\|_{1/2}^{1/2} = \infty.$$

დამტკიცება. (2.1)-ის გამოყენებით მტკიცდება, რომ არსებობს აბსოლუტური მუდმივი c ისეთი, რომ

$$\|\sigma_k f\|_{H_{1/2}}^{1/2} \le c\log k\,\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}, \quad k = 1,2,...$$

აქედან,

$$\frac{1}{n\log n}\sum_{k=1}^{n} \|\sigma_k f\|_{H_{1/2}}^{1/2} \le \frac{c\,\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}}{n\log n}\sum_{k=1}^{n}\log k \le c\,\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}.$$

თეორემის ა) ნაწილი დამტკიცებულია.

(2.4.1) პირობის ძალით არსებობს დადებითი რიცხვების ზრდადი მიმდევრობა $\{\alpha_k : k\in\mathbb{N}\}$ ისეთი, რომ

$$\overline{\lim_{k\to\infty}} \frac{\log M_{\alpha_k}}{\varphi_{2M_{\alpha_k}}} = +\infty$$

და

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{\varphi_{2M_{\alpha_k}}^{1/2}}{\log^{1/2} M_{\alpha_k}} < c < \infty. \tag{2.4.2}$$

დავუშვათ $f = (f^{(n)}\ \ n\in\mathbb{N})$ არის მარტინგალი, რომელიც განმარტებულია შემდეგნაირად

$$f^{(n)} := \sum_{\{k;\,2\alpha_k<n\}} \lambda_k a_k,$$

სადაც

$$a_k = M_{\alpha_k} r_{\alpha_k} D_{M_{\alpha_k}} = M_{\alpha_k}(D_{2M_{\alpha_k}} - D_{M_{\alpha_k}})$$

და

$$\lambda_k = \frac{\varphi_{2M_{\alpha_k}}}{\log M_{\alpha_k}}.$$

მას შემდეგ, რაც

$$S_{2^A}a_k = \begin{cases} a_k, & \alpha_k < A, \\ 0, & \alpha_k \geq A, \end{cases} \tag{2.4.3}$$

$$\text{supp}(a_k) = I_{\alpha_k}, \ \int_{I_{\alpha_k}} a_k d\mu = 0, \ \|a_k\|_\infty \leq M_{\alpha_k}^2 = \mu(\text{supp } a_k)^{-2},$$

თუ გამოვიყენებთ 1.3 ლემას და (2.4.2)-ს დავასკვნით, რომ $f \in H_{1/2}$. უფრო მეტიც,

$$\widehat{f}(j) = \begin{cases} M_{\alpha_k}\lambda_k, & j \in \{M_{\alpha_k}, ..., 2M_{\alpha_k} - 1\}, \ k \in \mathbb{N} \\ 0\ , & j \notin \bigcup\limits_{k=1}^{\infty} \{M_{\alpha_k}, ..., 2M_{\alpha_k} - 1\}. \end{cases} \tag{2.4.4}$$

ცხადია შემდეგი ტოლობის სამართლიანობა

$$\begin{aligned} \sigma_n f &= \frac{1}{n}\sum_{j=0}^{M_{\alpha_k}-1} S_j f + \frac{1}{n}\sum_{j=M_{\alpha_k}}^{n-1} S_j f \\ &= I + II. \end{aligned} \tag{2.4.5}$$

დავუშვათ $M_{\alpha_k} \leq j < 2M_{\alpha_k}$. რადგან

$$D_{j+M_{\alpha_k}} = D_{M_{\alpha_k}} + \psi_{M_{\alpha_k}} D_j, \qquad \text{როცა} \ \ j \leq M_{\alpha_k},$$

თუ გამოვიყენებთ (2.4.4) მივიღებთ

$$\begin{aligned} S_j f &= S_{M_{\alpha_k}} f + \sum_{v=M_{\alpha_k}}^{j-1} \widehat{f}(v)\psi_v \\ &= S_{M_{\alpha_k}} f + M_{\alpha_k}\lambda_k \sum_{v=M_{\alpha_k}}^{j-1} \psi_v \\ &= S_{M_{\alpha_k}} f + M_{\alpha_k}\lambda_k \left(D_j - D_{M_{\alpha_k}}\right) \\ &= S_{M_{\alpha_k}} f + \lambda_k \psi_{M_{\alpha_k}} D_{j-M_{\alpha_k}} \end{aligned} \tag{2.4.6}$$

(2.4.6)-ის გამოყენებით შევაფასოთ II. შეგვიძლია დავასკვნათ

$$\begin{aligned} II &= \frac{n - M_{\alpha_k}}{n} S_{M_{\alpha_k}} f \\ &\quad + \frac{\lambda_k M_{\alpha_k}}{n} \sum_{j=M_{2\alpha_k}}^{n-1} \psi_{M_{\alpha_k}} D_{j-M_{\alpha_k}} \\ &= II_1 + II_2. \end{aligned}$$

II_2 შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ

$$|II_2| = \frac{\lambda_k M_{\alpha_k}}{n} \left| \psi_{M_{\alpha_k}} \sum_{j=0}^{n-M_{\alpha_k}-1} D_j \right|$$

$$
\begin{aligned}
&= \frac{\lambda_k M_{\alpha_k}}{n}\left(n-M_{\alpha_k}\right)\left|K_{n-M_{\alpha_k}}\right| \\
&\geq \lambda_k\left(n-M_{\alpha_k}\right)\left|K_{n-M_{\alpha_k}}\right|.
\end{aligned}
$$

ვთქვათ $n=\sum_{i=1}^{s}\sum_{k=l_i}^{m_i} M_k,$ სადაც

$$0 \leq l_1 \leq m_1 \leq l_2-2 < l_2 \leq m_2 \leq ... \leq l_s - 2 < l_s \leq m_s.$$

ლემა 2.4-ის გამოყენებით გვაქვს

$$
\begin{aligned}
\left|II_2\right| &\geq c\lambda_k\left|\left(n-M_{\alpha_k}\right)K_{n-M_{\alpha_k}}(x)\right| \\
&\geq c\lambda_k M_{l_i}^2, \qquad x\in I_{l_i+1}\left(e_{l_i-1}+e_{l_i}\right).
\end{aligned}
$$

მაშასადამე,

$$
\begin{aligned}
&\int_{G_m}\left|II_2\right|^{1/2}d\mu \\
\geq &\sum_{i=1}^{s-1}\int_{I_{l_i+1}\left(e_{l_i-1}+e_{l_i}\right)}\left|II_2\right|^{1/2}d\mu \\
\geq &\, c\sum_{i=1}^{s-1}\int_{I_{l_i+1}\left(e_{l_i-1}+e_{l_i}\right)}\lambda_k^{1/2}M_{l_i}d\mu \\
\geq &\, c\lambda_k^{1/2}(s-1) \\
\geq &\, c\lambda_k^{1/2}v\left(n-M_{\alpha_k}\right).
\end{aligned} \tag{2.4.7}
$$

(2.1.1)-ის, (2.1.11)-ის და (2.4.5)-ის გამოყენებით ვასკვნით

$$
\begin{aligned}
\|I\|^{1/2} &= \left\|\frac{M_{\alpha_k}}{n}\sigma_{M_{\alpha_k}}f\right\|_{1/2}^{1/2} \\
&\leq \left\|\sigma_{M_{\alpha_k}}f\right\|_{1/2}^{1/2} \leq c\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}
\end{aligned} \tag{2.4.8}
$$

და

$$
\begin{aligned}
\|II_1\|^{1/2} &= \left\|\frac{n-M_{\alpha_k}}{n}S_{M_{\alpha_k}}f\right\|_{1/2}^{1/2} \\
&\leq \left\|S_{M_{\alpha_k}}f\right\|_{1/2}^{1/2} \leq c\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}.
\end{aligned} \tag{2.4.9}
$$

(2.4.7)-ის, (2.4.8)-ის და (2.4.9)-ის კომბინაციით გვაქვს

$$
\begin{aligned}
\|\sigma_n f\|_{1/2}^{1/2} &\geq \|II_2\|_{1/2}^{1/2}-\|II_1\|_{1/2}^{1/2}-\|I\|_{1/2}^{1/2} \\
&\geq c\lambda_k^{1/2}v\left(n-M_{\alpha_k}\right)-c\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}.
\end{aligned}
$$

ზემოთ მოყვანილი შეფასებების გამოყენებით შეგვიძლია დავწეროთ

$$
\begin{aligned}
& \sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{1}{n\varphi_n}\sum_{k=1}^{n}\|\sigma_k f\|_{1/2}^{1/2} \qquad (2.4.10)\\
\geq\ & \frac{1}{M_{\alpha_k+1}\varphi_{2M_{\alpha_k}}}\sum_{\left\{M_{\alpha_k}\leq l\leq 2M_{\alpha_k}\right\}}\|\sigma_l f\|_{1/2}^{1/2}\\
\geq\ & \frac{c}{M_{\alpha_k+1}\varphi_{2M_{\alpha_k}}}\sum_{\left\{M_{\alpha_k}\leq l\leq 2M_{\alpha_k}\right\}}\left(\lambda_k^{1/2}v\left(l-M_{\alpha_k}\right)-c\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}\right)\\
\geq\ & \frac{c\lambda_k^{1/2}}{M_{\alpha_k}\varphi_{2M_{\alpha_k}}}\sum_{l=1}^{M_{\alpha_k}}v(l)\\
-\ & \frac{c\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}}{M_{\alpha_k}\varphi_{2M_{\alpha_k}}}\sum_{\left\{M_{\alpha_k}\leq l\leq 2M_{\alpha_k}\right\}}1\\
\geq\ & \frac{c\lambda_k^{1/2}}{M_{\alpha_k}\varphi_{2M_{\alpha_k}}}\sum_{l=1}^{M_{\alpha_k}-1}v(l)-c\\
\geq\ & c\frac{\log^{1/2}M_{\alpha_k}}{\varphi_{2M_{\alpha_k}}^{1/2}}\to\infty,\ \text{როცა}\ \ k\to\infty.
\end{aligned}
$$

ამით დამტკიცება დასრულებულია.

■

2.5 ვილენკინ-ფეიერის საშუალოების ქვემიმდევრობების ნორმით კრებადობა ჰარდის მარტინგალურ სივრცეში

შემდეგი თეორემა დამტკიცებულია პერსონის, ტეფნაძის და თუთბერიძის [101] მიერ:

თეორემა 2.14. *ა) ვთქვათ $0<p<1/2,\ f\in H_p$. მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ*

$$\|\sigma_{n_k}f\|_{H_p}\leq\frac{c_pM_{|n_k|}^{1/p-2}}{M_{\langle n_k\rangle}^{1/p-2}}\|f\|_{H_p}.$$

ბ) (სიზუსტე) ვთქვათ $0<p<1/2$ და Φ_n არის ნებისმიერი არაკლებადი მიმდევრობა ისეთი, რომ

$$\sup_{k\in\mathbb{N}}\rho(n_k)=\infty,\quad \overline{\lim_{k\to\infty}}\frac{M_{|n_k|}^{1/p-2}}{M_{\langle n_k\rangle}^{1/p-2}\Phi_{n_k}}=\infty. \qquad (2.5.1)$$

მაშინ არსებობს მარტინგალი $f\in H_p$ ისეთი, რომ

$$\sup_{k\in\mathbb{N}}\left\|\frac{\sigma_{n_k}f}{\Phi_{n_k}}\right\|_{weak-L_p}=\infty.$$

დამტკიცება. (1.2.10)-ის გამოყენებით მივიღებთ, რომ

$$\frac{M_{\langle n_k\rangle}^{1/p-2}\left|\sigma_{n_k}a(x)\right|}{M_{|n_k|}^{1/p-2}}$$

არის შემოსაზღვრული L_∞-დან L_∞-ში. ლემა 1.4-ის გამოყენებით, თეორემის დამტკიცებისთვის საკმარისია ვაჩვენოთ

$$\int_{I_N}\left|\frac{M_{\langle n_k\rangle}^{1/p-2}\sigma_{n_k}a(x)}{M_{|n_k|}^{1/p-2}}\right|^p<c<\infty,$$

ყოველი a-ს p-ატომისთვის, სუპორტით I და $\mu(I)=M_N^{-1}$. ზოგადობის შეუზღუდავად, შეგვიძლია დავუშვათ რომ $I=I_N$. ადვილი სანახავია, რომ $\sigma_{n_k}(a)=0$, როცა $n_k\leq M_N$. ამიტომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ $n_k>M_N$. რადგან $\|a\|_\infty\leq M_N^{1/p}$ მივიღებთ

$$\begin{aligned}
&\frac{M_{\langle n_k\rangle}^{1/p-2}\left|\sigma_{n_k}a(x)\right|}{M_{|n_k|}^{1/p-2}} \\
\leq\ & \frac{M_{\langle n_k\rangle}^{1/p-2}}{M_{|n_k|}^{1/p-2}}\int_{I_N}|a(t)|\left|K_{n_k}(x-t)\right|d\mu(t) \\
\leq\ & \frac{M_{\langle n_k\rangle}^{1/p-2}\|a\|_\infty}{M_{|n_k|}^{1/p-2}}\int_{I_N}\left|K_{n_k}(x-t)\right|d\mu(t) \\
\leq\ & \frac{M_{\langle n_k\rangle}^{1/p-2}M_N^{1/p}}{M_{|n_k|}^{1/p-2}}\int_{I_N}\left|K_{n_k}(x-t)\right|d\mu(t) \\
$$\begin{aligned} |F_n| &\leq \left(\frac{1}{Q_n}\left(\sum_{j=1}^{n-1} |q_j - q_{j+1}| + q_0\right)\right) \sum_{i=0}^{|n|} M_i \left|K_{M_i}\right| \\ &= \left(\frac{1}{Q_n}\left(\sum_{j=1}^{n-1} (q_j - q_{j+1}) + q_0\right)\right) \sum_{i=0}^{|n|} M_i \left|K_{M_i}\right| \\ &\leq \frac{q_{n-1}}{Q_n} \sum_{i=0}^{|n|} M_i \left|K_{M_i}\right| \leq \frac{c}{n} \sum_{i=0}^{|n|} M_i \left|K_{M_i}\right|. \end{aligned}$$

დამტკიცება დასრულებულია.

■

ლემა 3.9. *დავუშვათ* $x \in I_N^{k,l}, \;\; k = 0, \ldots, N-2, \;\; l = k+1, \ldots, N-1$ *და* $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ *არის არაკლებადი რიცხვების მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს (3.1.12) პირობას. მაშინ*

$$\int_{I_N} \left|F_n\left(x-t\right)\right| d\mu\left(t\right) \leq \frac{cM_l M_k}{nM_N}.$$

ვთქვათ $x \in I_N^{k,N}$, $\;k = 0, \ldots, N-1$. *მაშინ*

$$\int_{I_N} |F_n(x-t)|\, d\mu(t) \leq \frac{cM_k}{M_N}.$$

აქ c *არის აბსოლუტური მუდმივი.*

დამტკიცება. ამ ლემის დამტკიცება ლემა 3.6-ის დამტკიცების ანალოგიურია. ასე რომ, ჩვენ გამოვტოვებთ დეტალებს.

■

ლემა 3.10. *ვთქვათ* $n \geq M_N$, $\;x \in I_N^{k,l}$, $\;k = 0, \ldots, N-1$, $\;l = k+1, \ldots, N$ *და* $\{q_k : k \in \mathbb{N}\}$ *არის არაკლებადი მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს (3.1.12) პირობას. მაშინ*

$$\int_{I_N} |F_n(x-t)|\, d\mu(t) \leq \frac{cM_l M_k}{M_N^2},$$

სადაც c *არის აბსოლუტური მუდმივი.*

დამტკიცება. მას შემდეგ, რაც $n \geq M_N$, თუ გამოვიყენებთ ლემა 3.9-ს ჩვენ მივიღებთ ლემის დამტკიცებას.

■

3.3 ვილენკინის სისტემების მიმართ T საშუალოების მაქსიმალური ოპერატორები ჰარდის მარტინგალურ სივრცეებზე

პირველ რიგში დავამტკიცებთ T საშუალოების მაქსიმალური ოპერატორების შემოსაზღვრულობის საკითხებს ჰარდის მარტინგალურ სივრცეებზე და ასევე ვაჩვენებთ მიღებული შედეგების განუზოგადებლობას გარკვეული აზრით.

შემდეგი თეორემის დამტკიცება მოყვანილია თუთბერიძის შრომაში [162]:

თეორემა 3.11. *ა) არაზრდადი* $\{q_k : k \geq 0\}$ *მიმდევრობით წარმოქმნილი (1.4.3) შეჯამებადობის მეთოდის* T^* *მაქსიმალური ოპერატორი არის შემოსაზღვრული ჰარდის* $H_{1/2}$ *სივრციდან* $weak - L_{1/2}$ *სივრცეში.*

დებულება განუზოგადებელია შემდეგი გაგებით:

ბ) ვთქვათ $0 < p < 1/2$ *და* $\{q_k : k \geq 0\}$ *არის არაზრდადი მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს*

$$\frac{q_{n+1}}{Q_{n+2}} \geq \frac{c}{n}, \quad (c \geq 1). \tag{3.3.1}$$

პირობას. მაშინ არსებობს მარტინგალი $f \in H_p$ *ისეთი, რომ*

$$\sup_{n \in \mathbb{N}} \|T_n f\|_{weak-L_p} = \infty.$$

დამტკიცება. ა) ვთქვათ $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობა არის არაზრდადი. (3.2.1)-ის და (3.2.2)-ის კომბინაციით და აბელის გარდაქმნის გამოყენებით გვაქვს

$$
\begin{aligned}
|T_n f| &\le \left| \frac{1}{Q_n} \sum_{j=1}^{n-1} q_j S_j f \right| \\
&\le \frac{1}{Q_n} \left(\sum_{j=1}^{n-2} |q_j - q_{j+1}|\, j\, |\sigma_j f| + q_{n-1}(n-1)\, |\sigma_n f| \right)
\end{aligned}
$$

$$
\le \frac{1}{Q_n} \left(\sum_{j=1}^{n-2} (q_j - q_{j+1})\, j + q_{n-1}(n-1) \right) \sigma^* f \le \sigma^* f
$$

ასე რომ

$$
T^* f \le \sigma^* f. \tag{3.3.2}
$$

თუ გამოვიყენებთ (3.3.2)-ს, და ცნობილ თეორემას, რომ σ^* არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $weak - L_{1/2}$ სივრცეში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არაზრდადი $\{q_k : k \ge 0\}$ მიმდევრობით წარმოქმნილი T საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი T^* ასევე არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $weak - L_{1/2}$ სივრცეში. ამით თეორემის ა) ნაწილი დამტკიცებულია.

ვთქვათ $0 < p < 1/2$ და $\{\alpha_k : k \in \mathbb{N}\}$ არის დადებითი მთელი რიცხვების ზრდადი მიმდევრობა ისეთი, რომ:

$$
\sum_{k=0}^{\infty} 1/\alpha_k^p < \infty, \tag{3.3.3}
$$

$$
\lambda \sum_{\eta=0}^{k-1} \frac{M_{\alpha_\eta}^{1/p}}{\alpha_\eta} < \frac{M_{\alpha_k}^{1/p}}{\alpha_k}, \tag{3.3.4}
$$

$$
\frac{32\lambda M_{\alpha_{k-1}}^{1/p}}{\alpha_{k-1}} < \frac{M_{\alpha_k}^{1/p-2}}{\alpha_k}, \tag{3.3.5}
$$

სადაც $\lambda = \sup_{n \in \mathbf{N}} m_n$.

შევნიშნოთ, რომ ისეთი ზრდადი $\{\alpha_k : k \in \mathbb{N}\}$ მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს (3.3.3), (3.3.4) და (3.3.5) პირობებს შესაძლებელია აიგოს.

ვთქვათ

$$
f^{(n)} = \sum_{\{k;\, \lambda_k < n\}} \lambda_k a_k, \tag{3.3.6}
$$

სადაც

$$
\lambda_k = \frac{\lambda}{\alpha_k}, \qquad a_k = \frac{M_{\alpha_k}^{1/p-1}}{\lambda} \left(D_{M_{\alpha_k + 1}} - D_{M_{\alpha_k}} \right).
$$

ლემა 1.3-ის გამოყენებით ადვილი სანახავია, რომ მარტინგალი $f \in H_{1/2}$. უფრო მეტიც, ადვილი სანახავია, რომ

$$\widehat{f}(j)=\begin{cases}\frac{M_{\alpha_k}^{1/p-1}}{\alpha_k}, & \text{if } \ j\in\{M_{\alpha_k},...,M_{\alpha_k+1}-1\}\,,\ k=0,1,2...,\\ 0, & \text{if } \quad j\notin\bigcup\limits_{k=1}^{\infty}\{M_{\alpha_k},...,M_{\alpha_k+1}-1\}\,.\end{cases}\tag{3.3.7}$$

მეორეს მხრივ, შეგვიძლია დავწეროთ

$$T_{M_{\alpha_k}+2}f=\frac{1}{Q_{M_{\alpha_k}+2}}\sum_{j=0}^{M_{\alpha_k}}q_jS_jf+\frac{q_{M_{\alpha_k}+1}}{Q_{M_{\alpha_k}+2}}S_{M_{\alpha_k}+1}f:=I+II.\tag{3.3.8}$$

დავუშვათ $M_{\alpha_s}\leq j\leq M_{\alpha_s+1}$, სადაც $s=0,...,k-1$. მაშინ

$$\left|D_j-D_{M_{\alpha_s}}\right|\leq j-M_{\alpha_s}\leq\lambda M_{\alpha_s},\quad (s\in\mathbb{N})$$

ასე რომ, (1.2.1)-ის და (3.3.7)-ის გათვალისწინებით მივიღებთ

$$\begin{aligned}|S_jf|&=\left|\sum_{v=0}^{M_{\alpha_{s-1}+1}-1}\widehat{f}(v)\psi_v+\sum_{v=M_{\alpha_s}}^{j-1}\widehat{f}(v)\psi_v\right|\\ &\leq\left|\sum_{\eta=0}^{s-1}\sum_{v=M_{\alpha_\eta}}^{M_{\alpha_\eta+1}-1}\frac{M_{\alpha_\eta}^{1/p-1}}{\alpha_\eta}\psi_v\right|+\frac{M_{\alpha_s}^{1/p-1}}{\alpha_s}\left|\left(D_j-D_{M_{\alpha_s}}\right)\right|\\ &=\left|\sum_{\eta=0}^{s-1}\frac{M_{\alpha_\eta}^{1/p-1}}{\alpha_\eta}\left(D_{M_{\alpha_\eta+1}}-D_{M_{\alpha_\eta}}\right)\right|+\frac{M_{\alpha_s}^{1/p-1}}{\alpha_s}\left|\left(D_j-D_{M_{\alpha_s}}\right)\right|\\ &\leq\lambda\sum_{\eta=0}^{s-1}\frac{M_{\alpha_\eta}^{1/p}}{\alpha_\eta}+\frac{\lambda M_{\alpha_s}^{1/p}}{\alpha_s}\leq\frac{2\lambda M_{\alpha_{s-1}}^{1/p}}{\alpha_{s-1}}+\frac{\lambda M_{\alpha_s}^{1/p}}{\alpha_s}\leq\frac{4\lambda M_{\alpha_{k-1}}^{1/p}}{\alpha_{k-1}}.\end{aligned}\tag{3.3.9}$$

ვთქვათ $M_{\alpha_{s-1}+1}+1\leq j\leq M_{\alpha_s}$, სადაც $s=1,...,k$. (2.3.4)-ის მსგავსად შეგვიძლია დამტკიცდეს

$$\begin{aligned}|S_jf|&=\left|\sum_{v=0}^{M_{\alpha_{s-1}+1}-1}\widehat{f}(v)\psi_v\right|=\left|\sum_{\eta=0}^{s-1}\sum_{v=M_{\alpha_\eta}}^{M_{\alpha_\eta+1}-1}\frac{M_{\alpha_\eta}^{1/p-1}}{\alpha_\eta}\psi_v\right|\\ &=\left|\sum_{\eta=0}^{s-1}\frac{M_{\alpha_\eta}^{1/p-1}}{\alpha_\eta}\left(D_{M_{\alpha_\eta+1}}-D_{M_{\alpha_\eta}}\right)\right|\leq\frac{2\lambda M_{\alpha_{s-1}}^{1/p}}{\alpha_{s-1}}\leq\frac{4\lambda M_{\alpha_{k-1}}^{1/p}}{\alpha_{k-1}}.\end{aligned}$$

აქედან,

$$|I|\leq\frac{1}{Q_{M_{\alpha_k}+2}}\sum_{j=0}^{M_{\alpha_k}}q_j\left|S_jf\right|\leq\frac{4\lambda M_{\alpha_{k-1}}^{1/p}}{\alpha_{k-1}}\frac{1}{Q_{M_{\alpha_k}+2}}\sum_{j=0}^{M_{\alpha_k}}q_j\leq\frac{4\lambda M_{\alpha_{k-1}}^{1/p}}{\alpha_{k-1}}.\tag{3.3.10}$$

ახლა, თუ გამოვიყენებთ (3.3.7)-ს და (3.3.9)-ს მივიღებთ

$$|II|\quad=\quad\frac{q_{M_{\alpha_k}+1}}{Q_{M_{\alpha_k}+2}}\left|\frac{M_{\alpha_k}^{1/p-1}}{\alpha_k}\psi_{M_{\alpha_k}}+S_{M_{\alpha_k}}f\right|\tag{3.3.11}$$

$$
\begin{aligned}
&= \frac{q_{M_{\alpha_k}+1}}{Q_{M_{\alpha_k}+2}}\left|\frac{M_{\alpha_k}^{1/p-1}}{\alpha_k}\psi_{M_{\alpha_k}}+S_{M_{\alpha_{k-1}+1}}f\right| \\
&\geq \frac{q_{M_{\alpha_k}+1}}{Q_{M_{\alpha_k}+2}}\left(\left|\frac{M_{\alpha_k}^{1/p-1}}{\alpha_k}\psi_{M_{\alpha_k}}\right|-\left|S_{M_{\alpha_{k-1}+2}}f\right|\right) \\
&\geq \frac{q_{M_{\alpha_k}+1}}{Q_{M_{\alpha_k}+2}}\left(\frac{M_{\alpha_k}^{1/p-1}}{\alpha_k}-\frac{4\lambda M_{\alpha_{k-1}}^{1/p}}{\alpha_{k-1}}\right) \\
&\geq \frac{q_{M_{\alpha_k}+1}}{Q_{M_{\alpha_k}+2}}\frac{M_{\alpha_k}^{1/p-1}}{4\alpha_k}.
\end{aligned}
$$

ზოგადობის შეუზღუდავად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ (3.3.1)-ში $c = 1$. (3.3.10)-ის და (3.3.11)-ის კომბინაციით გვაქვს

$$
\begin{aligned}
\left|T_{M_{\alpha_k}+2}f\right| &\geq |II|-|I| \geq \frac{q_{M_{\alpha_k}+1}}{Q_{M_{\alpha_k}+2}}\frac{M_{\alpha_k}^{1/p-1}}{4\alpha_k}-\frac{4\lambda M_{\alpha_{k-1}}^{1/p}}{\alpha_{k-1}} \\
&\geq \frac{M_{\alpha_k}^{1/p-2}}{4\alpha_k}-\frac{4\lambda M_{\alpha_{k-1}}^{1/p}}{\alpha_{k-1}} \geq \frac{M_{\alpha_k}^{1/p-2}}{16\alpha_k}.
\end{aligned} \tag{3.3.12}
$$

მეორეს მხრივ,

$$
\mu\left\{x\in G_m : \left|T_{M_{\alpha_k}+2}f(x)\right| \geq \frac{M_{\alpha_k}^{1/p-2}}{16\alpha_k}\right\} = \mu(G_m) = 1. \tag{3.3.13}
$$

დავუშვათ $0 < p < 1/2$. მაშინ

$$
\begin{aligned}
&\frac{M_{\alpha_k}^{1/p-2}}{16\alpha_k}\cdot\left(\mu\left\{x\in G_m : \left|T_{M_{\alpha_k}+2}f(x)\right| \geq \frac{M_{\alpha_k}^{1/p-2}}{16\alpha_k}\right\}\right)^{1/p} \\
= &\frac{M_{\alpha_k}^{1/p-2}}{16\alpha_k} \to \infty, \quad \text{როცა } k\to\infty.
\end{aligned} \tag{3.3.14}
$$

დამტკიცება დასრულებულია. ■

კერძო შემთხვევებში, ჩვენი თეორემები განსაკუთრებით საინტერესოა და იძლევა როგორც კარგად ცნობილ, ასევე ახალ შედეგებს. ჩვენ აქ მოვიყვანთ ისეთი T საშუალოების მაგალითებს, რომლებიც წარმოქმნილია არაზრდადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობებით. აღნიშნული შედეგები (იხ. შედეგები 3.12, 3.13, 3.14) მოყვანილია თუთბერიძის ნაშრომში [162]:

შედეგი 3.12. *მაქსიმალური ოპერატორები $U^{\alpha,*}$, $V^{\alpha,*}$ და R^* არიან შემოსაზღვრულნი ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $weak-L_{1/2}$ სივრცეში, მაგრამ არ არიან შემოსაზღვრულნი H_p-დან $weak-L_p$-ში როცა $0<p<1/2$.*

დამტკიცება. რადგან R_n, U_n^{α} და V_n^{α} არიან T საშუალოები არაზრდადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით, მაშინ ამ დასკვნის დამტკიცება არის თეორემის პირდაპირი შედეგი 3.11.

■

შედეგი 3.13. *ვთქვათ $f \in L_1$ და T_n არის არაზრდადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით წარმოქმნილი T საშუალოები. მაშინ $T_n f \to f$, თ.ყ., როცა $n \to \infty$.*

დამტკიცება. თუ გამოვიყენებთ თეორემა 3.11-ის ა) ნაწილს და ლემა 1.5-ს ჩვენ ასევე მივიღებთ რომ T^* მაქსიმალურ ოპერატორს აქვს სუსტი $(1,1)$ ტიპი. მეორეს მხრივ, თუ მიმვმართავთ მარჩინკევიჩისა და ზიგმუნდის [186] (იხ. ლემა 1.1) თეორემას დავადგენთ $T_n f \to f$, თ.ყ., ყოველი $f \in L_1$-სთვის, საიდანაც გამომდინარეობს შედეგი 3.13-ის დამტკიცება.

■

შედეგი 3.14. *დავუშვათ $f \in L_1$. მაშინ*

$$\begin{aligned} R_n f &\to f, \quad \text{თ.ყ.,} \quad \text{როცა } n \to \infty, \\ U_n^\alpha f &\to f, \quad \text{თ.ყ.,} \quad \text{როცა } n \to \infty, \\ V_n^\alpha f &\to f, \quad \text{თ.ყ.,} \quad \text{როცა } n \to \infty, \end{aligned}$$

დამტკიცება. რადგან R_n, U_n^α და V_n^α არიან T საშუალოები არაზრდადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით, მაშინ ამ შედეგის დამტკიცება პირდაპირ გამომდინარეობს შედეგი 3.13-დან.

■

შემდეგი თეორემის დამტკიცება მოყვანილია თუთბერიძის [162] შრომაში:

თეორემა 3.15. *ა) არაკლებადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით წარმოქნილი T საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი T^*, რომელიც აკმაყოფილებს პირობას (3.1.12). მაშინ შემოსაზღვრულია ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $weak - L_{1/2}$ სივრცეში.*

ბ) ვთქვათ $0 < p < 1/2$. ნებისმიერი არაკლებად $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით წარმოქნილი T საშუალოსთვის, არსებობს მარტინგალი $f \in H_p$ ისეთი, რომ

$$\sup_{n \in \mathbb{N}} \|T_n f\|_{weak-L_p} = \infty.$$

დამტკიცება. ვთქვათ $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობა არის არაკლებადი. ლემა 3.1-ის (3.2.1) და (3.2.2) ტოლობების და აბელის გარდაქმნის გამოყენებით მივიღებთ

$$\begin{aligned} |T_n f| &\leq \left| \frac{1}{Q_n} \sum_{j=1}^{n-1} q_j S_j f \right| \\ &\leq \frac{1}{Q_n} \left(\sum_{j=1}^{n-2} |q_j - q_{j+1}| \, j \, |\sigma_j f| + q_{n-1}(n-1) \, |\sigma_n f| \right) \\ &\leq \frac{1}{Q_n} \left(\sum_{j=1}^{n-2} - (q_j - q_{j+1}) \, j - q_{n-1}(n-1) + 2q_{n-1}(n-1) \right) \sigma^* f \\ &\leq \frac{1}{Q_n} \left(2q_{n-1}(n-1) - Q_n \right) \sigma^* f \leq c\sigma^* f \end{aligned}$$

ასე რომ

$$T^*f \leq c\sigma^*f. \tag{3.3.15}$$

თუ გამოვიყენებთ (3.3.15)-ს, იმის გათვალისწინებით, რომ σ^* არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $weak - L_{1/2}$ სივრცეში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არაკლებადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით წარმოქმნილი T საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი T^*, რომლებიც აკმაყოფილებს (3.1.12) პირობას არიან შემოსაზღვრული ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $weak - L_{1/2}$ სივრცეში. ამით თეორემა 3.15-ის ა) ნაწილი დამტკიცებულია.

თეორემა 3.15-ის ბ) ნაწილის დასამტკიცებლად ჩვენ გამოვიყენებთ მარტინგალს, რომელიც განსაზღვრულია (3.3.6)-ით, სადაც α_k მიმდევრობა აკმაყოფილებს (3.3.3), (3.3.4) და (3.3.5) პირობებს. ადვილი სანახავია, რომ ნებისმიერი არაზრდადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობისთვის ავტომატურად სამართლიანია უტოლობა

$$q_{M_{\alpha_k+1}}/Q_{M_{\alpha_k+2}} \geq c/M_{\alpha_k}.$$

(3.3.12)-ის, (3.3.13)-ის და (3.3.14)-ის მიხედვით ვასკვნით, რომ

$$\left|T_{M_{\alpha_k}+2}f\right| \geq |II| - |I| \geq \frac{M_{\alpha_k}^{1/p-2}}{8\alpha_k}.$$

(3.3.13)-ის ანალოგიურად მივიღებთ

$$\sup_{k\in\mathbb{N}}\left\|T_{M_{\alpha_k}+2}f\right\|_{weak-L_p} = \infty.$$

თეორემა დამტკიცებულია.

■

კერძო შემთხვევებში, ჩვენი შედეგები განსაკუთრებით საინტერესოა და იძლევა როგორც კარგად ცნობილ, ასევე ახალ ინფორმაციას. ჩვენ აქ მოვიყვანთ ისეთი T საშუალოების მაგალითებს, რომლებიც წარმოქმნილია არაკლებადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობებით. აღნიშნული შედეგები (იხ. შედეგები 3.16, 3.17, 3.18) მოყვანილია თუთბერიძის ნაშრომში [162]:

შედეგი 3.16. *მაქსიმალური ოპერატორი $B^{\alpha,\beta,*}$ არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $weak - L_{1/2}$ სივრცეში მაგრამ არ არის შემოსაზღვრული H_p-დან $weak - L_p$-ში, როცა $0 < p < 1/2$.*

დამტკიცება. მას შემდეგ, რაც $B^{\alpha,\beta,*}$ არის T საშუალო, წარმოქმნილი არაკლებადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით, მაშინ ამ შედეგის დამტკიცება პირდაპირ გამომდინარეობს თეორემა 3.15-დან.

■

შედეგი 3.17. *დავუშვათ $f \in L_1$ და T_n არის T საშუალოები არაკლებადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით, რომლებიც აკმაყოფილებენ (3.1.12) პირობას. მაშინ*

$$T_nf \to f, \quad \text{თ.ყ.,} \quad \text{როცა} \;\; n \to \infty.$$

დამტკიცება. თეორემა 3.15-ის და ლემა 1.5-ის თანახმად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ T^* აქვს სუსტი–

$(1,1)$ ტიპი. თუ გამოვიყენებთ მარჩინკევიჩისა და ზიგმუნდის [186] (იხ. ლემა 1.1) ცნობილ თეორემას მივიღებთ, რომ $T_n f \to f$, თ.ყ., საიდანაც გამომდინარეობს შედეგი 3.17-ის დამტკიცება.

■

შედეგი 3.18. *დავუშვათ* $f \in L_1$. *მაშინ* $B_n^{\alpha,\beta} f \to f$, *თ.ყ., როცა* $n \to \infty$.

დამტკიცება. მას შემდეგ, რაც $B^{\alpha,\beta,*}$ არიან T საშუალოები, რომლებიც წარმოქმნილნი არიან არაკლებადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით, მაშინ შედეგი 3.18-ის დამტკიცება არის შედეგი 3.17-ის პირდაპირი შედეგი.

■

შემდეგი თეორემა დამტკიცებულია თუთბერიძის [163] შრომაში:

თეორემა 3.19. *ვთქვათ* $0 < p \leq 1/2$, $f \in H_p$ *და* $\{q_k : k \geq 0\}$ *არის არაზრდადი რიცხვების მიმდევრობა. მაშინ მაქსიმალური ოპერატორი*

$$\widetilde{T}_p^* f := \sup_{n \in \mathbb{N}_+} \frac{|T_n f|}{(n+1)^{1/p-2} \log^{2[1/2+p]}(n+1)}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p *სივრციდან ლებეგის* L_p *სივრცეში.*

დამტკიცება. დავუშვათ $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობა არის არაზრდადი. (3.2.1)-ის და (3.2.3)-ის ტოლობების კომბინაციით გვაქვს

$$\begin{aligned}
\widetilde{T}_p^* f &:= \frac{|T_n f|}{(n+1)^{1/p-2} \log^{2[1/2+p]}(n+1)} \\
&\leq \frac{1}{(n+1)^{1/p-2} \log^{2[1/2+p]}(n+1)} \left| \frac{1}{Q_n} \sum_{j=1}^{n-1} q_j S_j f \right| \\
&\leq \frac{1}{(n+1)^{1/p-2} \log^{2[1/2+p]}(n+1)} \frac{1}{Q_n} \left(\sum_{j=1}^{n-2} |q_j - q_{j+1}| \, j \, |\sigma_j f| + q_{n-1}(n-1) |\sigma_n f| \right) \\
&\leq \frac{1}{Q_n} \left(\sum_{j=1}^{n-2} \frac{|q_j - q_{j+1}| \, j \, |\sigma_j f|}{(j+1)^{1/p-2} \log^{2[1/2+p]}(j+1)} + \frac{q_{n-1}(n-1) |\sigma_n f|}{(n+1)^{1/p-2} \log^{2[1/2+p]}(n+1)} \right) \\
&\leq \frac{1}{Q_n} \left(\sum_{j=1}^{n-2} (q_j - q_{j+1}) \, j + q_{n-1}(n-1) \right) \sup_{n \in \mathbb{N}_+} \frac{|\sigma_n f|}{(n+1)^{1/p-2} \log^{2[1/2+p]}(n+1)} \\
&\leq \sup_{n \in \mathbb{N}_+} \frac{|\sigma_n f|}{(n+1)^{1/p-2} \log^{2[1/2+p]}(n+1)} := \widetilde{\sigma}_p^* f,
\end{aligned}$$

ასე რომ

$$\widetilde{T}_p^* f \leq \widetilde{\sigma}_p^* f. \tag{3.3.16}$$

თუ გამოვიყენებთ (3.3.16)-ს, (იხ. ტეფნაძე [138, 139]) იმის გათვალისწინებით, რომ $\widetilde{\sigma}_p^* f$ არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში, როცა $0 < p \leq 1/2$, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არაზრდადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით წარმოქმნილი T საშუალოების წონიანი მაქსიმა-

ლური ოპერატორები $\widetilde{T}_p^*$ არაინ შემოსაზღვრულნი ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში, როცა $0<p\leq 1/2$. თეორემის დამტკიცება დასრულებულია. ■

კერძო შემთხვევებში, ჩვენი თეორემები განსაკუთრებით საინტერესოა და იძლევა როგორც კარგად ცნობილ, ასევე ახალ შედეგებს. ჩვენ აქ მოვიყვანთ ისეთი T საშუალოების მაგალითებს, რომლებიც წარმოქმნილია არაზრდადი $\{q_k : k\geq 0\}$ მიმდევრობებით. აღნიშნული შედეგები (იხ. შედეგები 3.20, 3.21, 3.22) ამ თეზისში პირველადაა დამტკიცებული, მაგრამ ის ასევე მოყვანილია დასაბეჭდად გაგზავნილ სტატიაში (დეტალებისთვის იხ. თუთბერიძე [163]):

შედეგი 3.20. *დავუშვათ $0<p\leq 1/2$ და $f\in H_p$. მაშინ მაქსიმალური ოპერატორი*

$$\widetilde{R}_p^* f:=\sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{|R_n f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში.

შედეგი 3.21. *დავუშვათ $0<p\leq 1/2$ და $f\in H_p$. მაშინ მაქსიმალური ოპერატორი*

$$\widetilde{U}_p^{\alpha,*} f:=\sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{|U_n^{\alpha} f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში.

შედეგი 3.22. *ვთქვათ $0<p\leq 1/2$ და $f\in H_p$. მაშინ მაქსიმალური ოპერატორი*

$$\widetilde{V}_p^{\alpha,*} f:=\sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{|V_n^{\alpha} f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში.

შემდეგი თეორემა დამტკიცებულია თუთბერიძის [163] შრომაში:

თეორემა 3.23. *დავუშვათ $0<p\leq 1/2$, $f\in H_p$ და $\{q_k : k\geq 0\}$ არის არაკლებადი რიცხვების მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს* (3.1.12) *პირობას, მაშინ მაქსიმალური ოპერატორი*

$$\widetilde{T}_p^* f:=\sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{|T_n f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში.

დამტკიცება. ვთქვათ $\{q_k : k\geq 0\}$ მიმდევრობა არის არაკლებადი, რომელიც აკმაყოფილებს (3.1.12) პირობას. (3.2.1) და (3.2.3) ტოლობების კომბინაციით მივიღებთ

$$
\begin{aligned}
& \frac{|T_n f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)} \\
\leq\ & \frac{1}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)}\left|\frac{1}{Q_n}\sum_{j=1}^{n-1} q_j S_j f\right| \\
\leq\ & \frac{1}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)}\frac{1}{Q_n}\left(\sum_{j=1}^{n-2}|q_j-q_{j+1}|\, j\,|\sigma_j f| + q_{n-1}(n-1)\,|\sigma_n f|\right) \\
\leq\ & \frac{1}{Q_n}\left(\sum_{j=1}^{n-2}\frac{|q_j-q_{j+1}|\, j\,|\sigma_j f|}{(j+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(j+1)} + \frac{q_{n-1}(n-1)\,|\sigma_n f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)}\right) \\
\leq\ & \frac{1}{Q_n}\left(\sum_{j=1}^{n-2}(q_{j+1}-q_j)\, j + q_{n-1}(n-1)\right)\sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{|\sigma_n f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)} \\
\leq\ & \frac{2q_{n-1}(n-1)-Q_n}{Q_n}\sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{|\sigma_n f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)} \\
\leq\ & \sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{|\sigma_n f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)}
\end{aligned}
$$

ასე რომ

$$
\sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{|T_n f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)} \leq \sup_{n\in\mathbb{N}_+}\frac{|\sigma_n f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)}. \tag{3.3.17}
$$

თუ გამოვიყენებთ (3.3.17)-ს, და იმ ფაქტს, რომ (იხ. [138, 139]) $\widetilde{\sigma}_p^* f$ შემოსაზღვრულია ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში, როცა $0 < p \leq 1/2$, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არაკლებადი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობით განსაზღვრული T საშუალოების წონიანი მაქსიმალური ოპერატორები $\widetilde{T}_p^*$ არიან შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში.

■

შედეგი 3.16 და შენიშვნა 3.25 მოყვანილია თუთბერიძის ნაშრომში [163]:

შედეგი 3.24. *დავუშვათ* $0 < p \leq 1/2$, $f \in H_p$ *და* $\{q_k : k \geq 0\}$ *არის არაკლებადი რიცხვების მიმდევრობა ისეთი, რომ*

$$
\sup_{n\in\mathbb{N}} q_n < c < \infty. \tag{3.3.18}
$$

მაშინ ყველა ასეთი T *საშუელოები არიან შემოსაზღვრული ჰარდის* H_p *სივრციდან ლებეგის* L_p *სივრცე-ში.*

დამტკიცება. (3.3.18)-ის გამოყენებით გვაქვს, რომ

$$
\frac{q_{n-1}}{Q_n} \leq \frac{c}{Q_n} \leq \frac{c}{q_0 n} = \frac{c_1}{n} = O\left(\frac{1}{n}\right), \text{ as } n \to 0,
$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ პირობა (3.1.12) არის დაკმაყოფილებული და ყველა ასეთი T საშუე-ლო შემოსაზღვრულია ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში.

■

შენიშვნა 3.25. *მას შემდეგ, რაც (იხ. ტეფნაძე [138,139]) მაქსიმალური ოპერატორი*

$$\widetilde{\sigma}_p^* f := \sup_{n\in\mathbb{N}_+} \frac{|\sigma_n f|}{(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}(n+1)}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში და $(n+1)^{1/p-2}\log^{2[1/2+p]}$ მნიშვნელის რიგი არის ზუსტი, ამ მიმდევრობის რიგი ასევე ზუსტი იქნება 3.19 და 3.23 თეორემებში, რადგან ფეიერის საშუალო არიან როგორც არაზრდადი, ისე არაკლებადი მიმდევრობებით განსაზღვრული T საშუალოების მაგალითი.

3.4 ჰარდის ტიპის უტოლობები ვილენკინ-ფურიეს მწკრივების T საშუალოების H_p ნორმებისათვის

ამ თავში მოყვანილი ყველა თეორემა პირველადაა დამტკიცებული ამ თეზისში მაგრამ მისი ნახვა ასევე შესაძლებელია დასაბეჭდად გაგზავნილ შრომაში (დეტალებისთვის იხ. [163]):

თეორემა 3.26. *ა) დავუშვათ $0<p<1/2$, $f\in H_p$ და $\{q_k : k\geq 0\}$ არის არაზრდადი რიცხვების მიმდევრობა. მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ უტოლობა*

$$\sum_{k=1}^{\infty}\frac{\|T_k f\|_p^p}{k^{2-2p}} \leq c_p \|f\|_{H_p}^p$$

არის სამართლიანი.

ბ) დავუშვათ $f\in H_{1/2}$ და $\{q_k : k\geq 0\}$ არის არაზრდადი რიცხვების მიმდევრობა რომელიც აკმაყოფილებს პირობას (3.1.13). *მაშინ არსებობს აბსოლუტური მუდმივი c ისეთი, რომ სამართლიანია უტოლობა*

$$\frac{1}{\log n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|T_k f\|_{1/2}^{1/2}}{k} \leq c\|f\|_{H_{1/2}}^{1/2}. \tag{3.4.1}$$

დამტკიცება. დავუშვათ $0<p\leq 1/2$ და $\{q_k : k\geq 0\}$ მიმდევრობა არის არაზრდადი. ლემა 1.3-ის (იხ.ასევე (1.4)) გამოყენებით თეორემის ა) ნაწილის დამტკიცებისთვის საკმარისი იქნება ვაჩვენოთ

$$\sum_{m=1}^{\infty}\frac{\|T_m a\|_{H_p}^p}{m^{2-2p}} \leq c_p$$

თითოეული p-ატომისთვის a, სუპორტით I, $\mu(I)=M_N^{-1}$. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ $I=I_N$. ადვილი სანახავია რომ $S_n(a)=T_n(a)=0$, როცა $n\leq M_N$. ამიტომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ $n>M_N$.

დავუშვათ $x\in I_N$. რადგან T_n არის შემოსაზღვრული L_∞-დან L_∞-ში (შემოსაზღვრულობა გამომდინარეობს ლემა 3.2-სგან) და $\|a\|_\infty\leq M_N^{1/p}$ მივიღებთ, რომ

$$\int_{I_N}|T_m a|^p d\mu \leq \frac{\|a\|_\infty^p}{M_N}\leq c<\infty.$$

აქედან გამომდინარე,

$$\sum_{m=1}^{\infty}\frac{\int_{I_N}|T_m a|^p\,d\mu}{m^{2-2p}}\leq\sum_{k=1}^{\infty}\frac{1}{m^{2-2p}}\leq c<\infty\quad 0<p<1/2.. \tag{3.4.2}$$

ადვილი სანახავია

$$\begin{aligned}|T_m a(x)| &= \left|\int_{I_N}a(t)\,F_n(x-t)\,d\mu(t)\right| \qquad (3.4.3)\\ &= \left|\int_{I_N}a(t)\,\frac{1}{Q_n}\sum_{j=M_N}^{n}q_jD_j(x-t)\,d\mu(t)\right|\\ &\leq \|a\|_\infty\int_{I_N}\left|\frac{1}{Q_n}\sum_{j=M_N}^{n}q_jD_j(x-t)\right|d\mu(t)\\ &\leq M_N^{1/p}\int_{I_N}\left|\frac{1}{Q_n}\sum_{j=M_N}^{n}q_jD_j(x-t)\right|d\mu(t)\end{aligned}$$

ვთქვათ T_n არის T საშუალოები, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_k:k\geq 0\}$ და $x\in I_N^{k,l}$, $0\leq k<l\leq N$. ლემა 2.5-ის გამოყენებით გვაქვს

$$|T_m a(x)|\leq cM_lM_kM_N^{1/p-2},\ \text{როცა}\ 0<p<1/2. \tag{3.4.4}$$

ვთქვათ $0<p<1/2$. (1.1.1)-ის, (3.4.3)-ის და (3.4.4)-ის გამოყენებით მივიღებთ

$$\begin{aligned}\int_{\overline{I_N}}|T_m a|^p\,d\mu &= \sum_{k=0}^{N-2}\sum_{l=k+1}^{N-1}\sum_{x_j=0,\ j\in\{l+1,\dots,N-1\}}^{m_{j-1}}\int_{I_N^{k,l}}|T_m a|^p\,d\mu \qquad (3.4.5)\\ &+ \sum_{k=0}^{N-1}\int_{I_N^{k,N}}|T_m a|^p\,d\mu\\ &\leq c\sum_{k=0}^{N-2}\sum_{l=k+1}^{N-1}\frac{m_{l+1}\cdots m_{N-1}}{M_N}(M_lM_k)^p\,M_N^{1-2p}\\ &+ \sum_{k=0}^{N-1}\frac{1}{M_N}M_k^pM_N^{1-p}\\ &\leq cM_N^{1-2p}\sum_{k=0}^{N-2}\sum_{l=k+1}^{N-1}\frac{(M_lM_k)^p}{M_l}\\ &+ \sum_{k=0}^{N-1}\frac{M_k^p}{M_N^p}\leq cM_N^{1-2p}.\end{aligned}$$

უფრო მეტიც, (3.4.5)-ის დახმარებით შეგვიძლია დავწეროთ

$$\sum_{m=M_N+1}^{\infty}\frac{\int_{\overline{I_N}}|T_m a|^p\,d\mu}{m^{2-2p}}\leq\sum_{m=M_N+1}^{\infty}\frac{cM_N^{1-2p}}{m^{2-2p}}<c<\infty,\quad(0<p<1/2). \tag{3.4.6}$$

(3.4.2)-ის და (3.4.6)-ის გაერთიანებით მივიღებთ თეორემის ა) ნაწილის დამტკიცებას.

დავუშვათ, რომ $p=1/2$ და T_n არის T საშუალო, არაზრდადი $\{q_k:k\geq 0\}$ კოეფიციენტებით,

რომელიც აკმაყოფილებს (3.1.13) პირობას. ლემა 1.3-ის გამოყენებით ბ) ნაწილის დამტკიცებისთვის საკმარისი იქნება ვაჩვენოთ

$$\frac{1}{\log n}\sum_{m=1}^{n}\frac{\|T_m a\|_{H_{1/2}}^{1/2}}{m}\le c,$$

ყოველი $1/2$-ატომისთვის a, სუპორტით I, $\mu(I)=M_N^{-1}$.

ზოგადობის შეუზღუდავად შეგვიძლია დავუშვათ, რომ $I=I_N$. ადვილი სანახავია, რომ $S_n(a)=T_n(a)=0$, როცა $n\le M_N$. ამიტომ, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ $n>M_N$.

დავუშვათ $x\in I_N$. რადგან T_n არის შემოსაზღვრული L_∞-დან L_∞-ში (შემოსაზღვრულობა გამომდინარეობს ლემა 3.2-დან) და $\|a\|_\infty\le M_N^2$ მივიღებთ

$$\int_{I_N}|T_m a|^{1/2}\,d\mu\le\frac{\|a\|_\infty^{1/2}}{M_N}\le c<\infty.$$

აქედან გამომდინარე,

$$\frac{1}{\log n}\sum_{m=1}^{n}\frac{\int_{I_N}|T_m a|^{1/2}\,d\mu}{m}\le\frac{1}{\log n}\sum_{k=1}^{n}\frac{1}{m}\le c<\infty. \tag{3.4.7}$$

ადვილი სანახავია

$$\begin{aligned}|T_m a(x)| &= \left|\int_{I_N}a(t)\frac{1}{Q_n}\sum_{j=M_N}^{n}q_jD_j(x-t)\,d\mu(t)\right| \\ &\le \|a\|_\infty\int_{I_N}|F_m(x-t)|\,d\mu(t) \\ &\le M_N^2\int_{I_N}|F_m(x-t)|\,d\mu(t).\end{aligned} \tag{3.4.8}$$

დავუშვათ $x\in I_N^{k,l}$, $0\le k<l<N$. მაშინ ლემა 3.6-ის გათვალისწინებით მივიღებთ

$$|T_m a(x)|\le\frac{cM_lM_kM_N}{m}. \tag{3.4.9}$$

დავუშვათ $x\in I_N^{k,N}$. მაშნ, ლემა 3.6-ის თანახმად გვექნება

$$|T_m a(x)|\le cM_kM_N. \tag{3.4.10}$$

(1.1.1)-ის, (3.4.8)-ის, (3.4.9)-ის და (3.4.10)-ის კომბინაციებით გვაქვს

$$\begin{aligned}&\int_{\overline{I_N}}|T_m a(x)|^{1/2}\,d\mu(x)\\ \le\ & c\sum_{k=0}^{N-2}\sum_{l=k+1}^{N-1}\frac{m_{l+1}\cdots m_{N-1}}{M_N}\frac{(M_lM_k)^{1/2}M_N^{1/2}}{m^{1/2}}\\ +\ &\sum_{k=0}^{N-1}\frac{1}{M_N}M_k^{1/2}M_N^{1/2}\\ \le\ & M_N^{1/2}\sum_{k=0}^{N-2}\sum_{l=k+1}^{N-1}\frac{(M_lM_k)^{1/2}}{m^{1/2}M_l}+\sum_{k=0}^{N-1}\frac{M_k^{1/2}}{M_N^{1/2}}\le\frac{cM_N^{1/2}N}{m^{1/2}}+c.\end{aligned}$$

საიდანაც,

$$\frac{1}{\log n}\sum_{m=M_N+1}^{n}\frac{\int_{\overline{I_N}}|T_m a(x)|^{1/2}\,d\mu(x)}{m} \tag{3.4.11}$$
$$\leq \frac{1}{\log n}\sum_{m=M_N+1}^{n}\left(\frac{cM_N^{1/2}N}{m^{3/2}}+\frac{c}{m}\right)<c<\infty.$$

(3.4.7)-ის და (3.4.12)-ის კომბინაციით ჩვენ ასევე მივიღებთ ბ) ნაწილის სამართლიანობას.

თეორემა დამტკიცებულია.

■

შედეგი 3.27. *ვთქვათ $0<p\leq 1/2$ და $f\in H_p$. მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ სამართლიანია უტოლობა:*

$$\frac{1}{\log^{[1/2+p]}n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|\sigma_k f\|_p^p}{k^{2-2p}}\leq c_p\|f\|_{H_p}^p.$$

შედეგი 3.28. *ვთქვათ $0<p\leq 1/2$ და $f\in H_p$. მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ სამართლიანია უტოლობა:*

$$\frac{1}{\log^{[1/2+p]}n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|U_k^\alpha f\|_p^p}{k^{2-2p}}\leq c_p\|f\|_{H_p}^p.$$

შედეგი 3.29. *ვთქვათ $0<p\leq 1/2$ და $f\in H_p$. მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ სამართლიანია უტოლობა:*

$$\frac{1}{\log^{[1/2+p]}n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|V_k^\alpha f\|_p^p}{k^{2-2p}}\leq c_p\|f\|_{H_p}^p.$$

შედეგი 3.30. *ვთქვათ $0<p<1/2$ და $f\in H_p$. მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთ, რომ სამართლიანია უტოლობა:*

$$\sum_{k=1}^{\infty}\frac{\|R_k f\|_p^p}{k^{2-2p}}\leq c_p\|f\|_{H_p}^p.$$

თეორემა 3.31. *ა) ვთქვათ $0<p<1/2$, $f\in H_p$ და $\{q_k:k\geq 0\}$ არის არაკლებადი რიცხვების მიმდევრობა. მაშინ არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ სამართლიანია უტოლობა:*

$$\sum_{k=1}^{\infty}\frac{\|T_k f\|_p^p}{k^{2-2p}}\leq c_p\|f\|_{H_p}^p.$$

ბ) ვთქვათ $f\in H_{1/2}$ და $\{q_k:k\geq 0\}$ არის არაკლებადი რიცხვების მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს (3.1.12) *პირობას. მაშინ არსებობს აბსოლუტური მუდმივი c ისეთი, რომ სამართლიანია უტოლობა:*

$$\frac{1}{\log n}\sum_{k=1}^{n}\frac{\|T_k f\|_{1/2}^{1/2}}{k}\leq c\|f\|_{H_{1/2}}^{1/2} \tag{3.4.12}$$

დამტკიცება. თუ გამოვიყენებთ 3.9 და 3.10 ლემებს და თუ მივყვებით თეორემა 3.26-ის დამტკიცების ანალოგიურ საფეხურებს, ჩვენ მივიღებთ თეორემის დამტკიცებას. ამიტომ ჩვენ გამოვტოვებთ დეტალებს.

■

შედეგი 3.32. *დავუშვათ* $0 < p \leq 1/2$, $f \in H_p$ *და* $\{q_k : k \geq 0\}$ *არის არაკლებადი რიცხვების მიმდევრობა ისეთი, რომ*

$$\sup_{n\in\mathbb{N}} q_n < c < \infty.$$

მაშინ პირობა (3.1.12) არის სამართლიანი და ასეთი T *საშუალოებისთვის არსებობს აბსოლუტური მუდმივი* c, *ისეთი რომ სამართლიანია (3.4.12) უტოლობა.*

ჩვენ აქამდე განვიხილეთ ის შემთხვები, როცა $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობა არის შემოსაზღვრული. ახლა, განვიხილოთ T საშუალოები, რომელიც არის წარმოქმნილი შემოუსაზღვრელი $\{q_k : k \geq 0\}$ მიმდევრობებით.

შედეგი 3.33. *დავუშვათ* $0 < p \leq 1/2$ *და* $f \in H_p$. *მაშინ არსებობს* p*-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი* c_p *ისეთი, რომ სამართლიანია უტოლობა*

$$\frac{1}{\log^{[1/2+p]} n}\sum_{k=1}^{n}\frac{\left\|B_k^{\alpha,\beta} f\right\|_p^p}{k^{2-2p}} \leq c_p \left\|f\right\|_{H_p}^p.$$

4 რისისა და ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოები ჰარდის მარტინგალურ H_p სივრცეებში

4.1 რისის და ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოების ზოგიერთი კლასიკური შედეგები ვილენკინ-ფურიეს მწკრივებისთვის

ტრიგონომეტრიული სისტემების მიმართ რისის ლოგარითმული საშუალოები შესწავლილია უამრავი ავტორის მიერ. მაგალითად, ჩვენ გავიხსენოთ საზის [133] და იაბუტას [179] შრომები. ეს საშუალოები უოლშის და ვილენკინის სისტემებისთვის შეისწავლა შიმონმა [117] და გატმა [38]. ბლაჰოტამ და გატმა [22] განიხილეს ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოების ნორმით შეჯამებადობა და აჩვენეს, რომ რისის ლოგარითმულ საშუელოებს R_n აქვთ უკეთესი აპროქსიმაციული თვისებები ზოგიერთ შემოუსაზღვრელ ვილენკინის ჯგუფებში ვიდრე ფეიერის საშუალოებს. უფრო მეტიც, [146]-ში დამტკიცებულია, რომ რისის საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში, როცა $p > 1/2$, მაგრამ არაა შემოსაზღვრული, როცა $0 < p \leq 1/2$. რისის ლოგარითმული საშუალოების H_p ნორმებისთვის ახალი ჰარდის ტიპის უტოლობები და წონიანი მაქსიმალური ოპერატორების შემოსაზღვრულობა განხილულია ლუკასენის, პერსონის, ტეფნაძის და თუთბერიძის მიერ [77]-ში და ტეფნაძის მიერ [146]-ში.

[147]-ში ტეფნაძემ დაამტკიცა, რომ რისის ლოგარითმული საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი R^* არის შემოსაზღვრულნი ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $weak - L_{1/2}$ სივრცეში. უფრო მეტიც, არსებობს მარტინგალი $f \in H_p$, სადაც $0 < p \leq 1/2$, ისეთი, რომ

$$\|R^* f\|_p = +\infty.$$

[146]-ში ტეფნაძემ დაამტკიცა, რომ ნებისმიერი $0 < p < 1/2$-სთვის მაქსიმალური ოპერატორი

$$\widetilde{R}_p^* := \sup_{n \in \mathbb{N}} \frac{\log n \, |R_n f|}{(n+1)^{1/p-2}}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან ლებეგის L_p სივრცეში.

უფრო მეტიც, $0 < p < 1/2$-სთვის და არაკლებადი $\varphi : \mathbb{N}_+ \to [1, \infty)$ ფუნქციისათვის რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\frac{(n+1)^{1/p-2}}{\log(n+1)\,\varphi(n)} = \infty, \tag{4.1.1}$$

მაქსიმალური ოპერატორი

$$\sup_{n \in \mathbb{N}} \frac{|R_n f|}{\varphi(n)}$$

არ არის შემოსაზღვრული ჰარდის H_p სივრციდან $weak - L_p$ სივრცეში.

იმ შემთხვევაში, როცა $p = 1/2$ მან ასევე აჩვენა, რომ მაქსიმალური ოპერატორი

$$\widetilde{R}^* f := \sup_{n \in \mathbb{N}} \frac{|R_n f|}{\log(n+1)}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $L_{1/2}$ სივრცეში.

უფრო მეტიც, ნებისმირი არაკლებადი $\varphi : \mathbb{N}_+ \to [1, \infty)$ ფუნქციისათვის, რომლისთვისაც სამართლიანია პირობა

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{\log(n+1)}{\varphi(n)} = +\infty,$$

მაქსიმალური ოპერატორი

$$\sup_{n\in\mathbb{N}} \frac{|R_n f|}{\varphi(n)}$$

არ არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_{1/2}$ სივრციდან $L_{1/2}$ სივრცეში.

ამ თეზისში (იხ. [77]) ჩვენ დავამტკიცებთ, რომ თუ $0 < p < 1/2$ და $f \in H_p(G_m)$, არსებობს p-ზე დამოკიდებული აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ სამართლიანია შემდეგი უტოლობა

$$\sum_{n=1}^{\infty} \frac{\log^p n \left\|R_n f\right\|_{H_p}^p}{n^{2-2p}} \leq c_p \left\|f\right\|_{H_p}^p,$$

სადაც $R_n f$ აღნიშნავს f ფუნქციის ვილენკინ-ფურიეს მწკრივების n-ურ რისის ლოგარითმულ საშუალოს.

მორისიმ და სიდიკიმ [81] შეისწავლეს L_p ფუნქციების უოლშ-ფურიეს მწკრივების ნორლუნდის საშუალოების აპროქსიმაციის თვისებები. ის შემთხვევა, როცა $\{q_k = 1/k : k \in \mathbb{N}\}$ განხილული არ იყო, რადგან მორიჩისა და სიდიკის მეთოდები არ გამოიყენება ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოებისთვის. ფრიდლიმ, მანჩანდამ და სიდიკიმ [35]-ში განაზოგადეს მორიჩის და სიდიკის [81] შედეგი ორობით ჰომოგენურ ბანახის სივრცეებში და ჰარდის მარტინგალურ სივრცეებში. [39]-ში გატმა და გოგინავამ განიხილეს ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოების ზოგიერთი კრებადობის და განშლადობის საკითხები უწყვეტ ფუნქციათა და ლებეგის L_1 სივრცეებში. კერძოდ, მათ გასცეს უარყოფითი პასუხი მორისის და სიდიკის [81] კითხვას. გატმა და გოგინავამ [40] დაამტკიცეს, რომ ნებისმიერი ზომადი ფუნქცია აკმაყოფილებს $\phi(u) = o\left(u \log^{1/2} u\right), \quad u \to \infty$, არსებობს ინტეგრირებადი f ფუნქცია ისეთი, რომ

$$\int_{G_m} \phi(|f(x)|)\, d\mu\,(x) < \infty$$

და დადებითი ზომის სიმრავლე ისეთი, რომ f ფუნქციის უოლშ-ფურიეს მწკრივის ლოგარითმული საშუალებები არაა კრებადი ამ დადებითი ზომის სიმრავლეზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოების მაქსიმალური ოპერატორს

$$L^* f \quad := \quad \sup_{n\in\mathbb{N}} |L_n f|$$

არ აქვს სუსტი $(1, 1)$ ტიპი.

მეორეს მხრივ, არსებობს აბსოლუტური მუდმივი c_p ისეთი, რომ

$$\left\|L^* f\right\|_p \leq c_p \left\|f\right\|_p, \quad \text{როცა} \quad f \in L_p, \quad p > 1.$$

თუ განვიხილავთ შემდეგ შეზღუდულ მაქსიმალურ ოპერატორს

$$\widetilde{L}^*_{\#} f \quad := \quad \sup_{n\in\mathbb{N}} |L_{M_n} f|, \quad (M_k := m_0 ... m_{k-1}, \quad k = 0, 1...)$$

მაშინ

$$\lambda\mu\left\{\widetilde{L}_{\#}^{*}f>\lambda\right\}\leq c\left\Vert f\right\Vert _{1},\quad f\in L_{1}(G_{m}),\ \ \lambda>0.$$

აქედან გამომდინარე, თუ $f\in L_{1}(G_{m})$, მაშინ

$$L_{M_{n}}f\rightarrow f,\ \ \text{თ.ყ.}\ \ \ G_{m}-\text{ზე}.$$

ამ თეზისში ჩვენ დავამტკიცებთ, რომ თუ $f\in L_{1}(G_{m})$, მაშინ $L_{M_{n}}f(x)\rightarrow f(x)$ ყოველი ლებეგის წერტილისთვის.

[140]-ში დამტკიცებულია, რომ არსებობს მარტინგალი $f\in H_{p}$, $(0<p\leq 1)$ ისეთი, რომ ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი L^{*} არ არის შემოსაზღვრული ლებეგის L_{p} სივრცეში. კერძოდ, არსებობს მარტინგალი $f\in H_{p}$ ისეთი, რომ

$$\left\Vert L^{*}f\right\Vert _{p}=+\infty.$$

ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოების წონიანი მაქსიმალური ოპერატორის შემოსაზღვრულობა განხილულია [105]-ში პერსონის, ტეფნაძის და ვალის მიერ. კერძოდ, მაქსიმალური ოპერატორი

$$\tilde{L}^{*}f:=\sup_{n\in\mathbb{N}}\frac{\left\vert L_{n}f\right\vert }{\log\left(n+1\right)}$$

შემოსაზღვრულია ჰარდის $H_{1}\left(G_{m}\right)$ სივრციდან ლებეგის $L_{1}\left(G_{m}\right)$ სივრცეში.

უფრო მეტიც, თუ $\varphi:\mathbb{N}_{+}\rightarrow[1,\infty)$ არის არაკლებადი ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს

$$\overline{\lim_{n\rightarrow\infty}}\frac{\log\left(n+1\right)}{\varphi\left(n\right)}=+\infty, \tag{4.1.2}$$

პირობას, მაშინ არსებობს მარტინგალი $f\in H_{1}\left(G_{m}\right)$ ისეთი, რომ მაქსიმალური ოპერატორი

$$\sup_{n\in\mathbb{N}}\frac{\left\vert L_{n}f\right\vert }{\varphi\left(n\right)}$$

არ არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_{1}\left(G_{m}\right)$ სივრციდან ლებეგის $L_{1}\left(G_{m}\right)$ სივრცეში.

ტეფნაძემ და თუთბერიძემ [164]-ში დაამტკიცეს, რომ მაქსიმალური ოპერატორი

$$\tilde{L}_{p}^{*}f:=\sup_{n\in\mathbb{N}}\frac{\left\vert L_{n}f\right\vert }{\left(n+1\right)^{1/p-1}}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_{p}\left(G_{m}\right)$ სივრციდან ლებეგის $L_{p}\left(G_{m}\right)$ სივრცეში.

ასევე დავამტკიცდა, რომ $0<p<1$-სთვის და არაკლებადი $\varphi:\mathbb{N}_{+}\rightarrow[1,\infty)$ ფუნქციისათვის, რომლისთვისაც სამართლიანია პირობა

$$\overline{\lim_{n\rightarrow\infty}}\frac{n^{1/p-1}}{\log n\varphi\left(n\right)}=+\infty,$$

მაშინ არსებობს მარტინგალი $f \in H_p(G_m)$ ისეთი, რომ მაქსიმალური ოპერატორი

$$\sup_{n\in\mathbb{N}} \frac{|L_n f|}{\varphi(n+1)}$$

არ არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_p(G_m)$ სივრციდან ლებეგის $L_p(G_m)$ სივრცეში. ამ ნაშრომში ასევე აღნიშნული იყო შემდეგი ღია პრობლემა:

ღია პრობლემა: ნებისმიერი $0 < p < 1$-სთვის ვიპოვოთ არაკლებადი ფუნქცია $\Theta : \mathbb{N}_+ \to [1, \infty)$ ისეთი, რომ შემდეგი მაქსიმალური ოპერატორი

$$\widetilde{L}_p^* f := \sup_{n\in\mathbb{N}} \frac{|L_n f|}{\Theta(n+1)}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_p(G_m)$ სივრციდან ლებეგის $L_p(G_m)$ სივრცეში და $\Theta : \mathbb{N}_+ \to [1, \infty)$-ს სიჩქარე არის ზუსტი, რაც იმაში მდგომარეობს რომ ნებისმიერი არაკლებადი $\varphi : \mathbb{N}_+ \to [1, \infty)$ ფუნქციისათვის, რომლისთვისაც სამართლიანია პირობა

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{\Theta(n)}{\varphi(n)} = +\infty,$$

არსებობს მარტინგალი $f \in H_p(G_m)$ ისეთი, რომ მაქსიმალური ოპერატორი

$$\sup_{n\in\mathbb{N}} \frac{|L_n f|}{\varphi(n+1)}$$

არ არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_p(G_m)$ სივრციდან ლებეგის $L_p(G_m)$ სივრცეში.

ზემოთ მოცემული თეორემების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს აბსოლუტური მუდმივები C_1 და C_2 ისეთები, რომ

$$\frac{C_1 n^{1/p-1}}{\log(n+1)} \leq \Theta(n) \leq C_2 n^{1/p-1}.$$

მოგვიანებით, მემიჩმა განაზოგადა ტეფნაძის და თუთბერიძის [164] შედეგი და აჩვენა, რომ მაქსიმალური ოპერატორი

$$\sup_{n\in\mathbb{N}} \frac{\log n \, |L_n f|}{(n+1)^{1/p-1}}$$

არის შემოსაზღვრული ჰარდის $H_p(G_m)$ სივრციდან ლებეგის $L_p(G_m)$ სივრცეში.

ამ შედეგის სიზუსტე დაუყოვნებლივ მოყვება ტეფნაძის და თუთბერიძის [164] უარყოფით შედეგს, რაც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი.

4.2 დამხმარე ლემები

ჩვენ გვჭირდება შემდეგი ლემა, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი ინტერესიც. ლემაში მიღებული ტოლობა ასევე დამტკიცებულია ტეფნაძის მიერაც [146]:

ლემა 4.1. *დავუშვათ $n \in \mathbb{N}$. მაშინ*

$$Y_n = \frac{1}{l_n} \sum_{j=1}^{n-1} \frac{K_j}{j+1} + \frac{K_n}{l_n}. \tag{4.2.1}$$

უფრო მეტიც,

$$\|Y_n\|_1 < c < \infty. \tag{4.2.2}$$

დამტკიცება. იმისთვის, რომ მივიღოთ რისის ლოგარითმული საშუალოების გულებისთვის ტოლობა (4.2.1), ჩვენ მხოლოდ დაგვჭირდება აბელის გარდაქმნის გამოყენება. მეორეს მხრივ, (4.2.2) უტოლობა დაუყოვნებლივ მოჰყვება (1.2.10) უტოლობას და (4.2.1) ტოლობას. ■

ჩვენი ძირითადი შედეგების დასამტკიცებლად საჭიროა შემდეგი ლემა, რომელიც დამტკიცებულია [146]-ში ტეფნაძის მიერ. ჩვენ აქ მოვიყვანთ მოკლე დამტკიცებას:

ლემა 4.2. *ვთქვათ* $x \in I_N(x_k e_k + x_l e_l)$, $1 \leq x_k \leq m_k - 1$, $1 \leq x_l \leq m_l - 1$, $k = 0, ..., N-2$, $l = k+1, ..., N-1$. *მაშინ*

$$\int_{I_N} \sum_{j=M_N+1}^{n} \frac{|K_j(x-t)|}{j+1} d\mu(t) \leq \frac{cM_k M_l}{M_N^2}.$$

თუ $x \in I_N(x_k e_k)$, $1 \leq x_k \leq m_k - 1$, $k = 0, ..., N-1$, *მაშინ*

$$\int_{I_N} \sum_{j=M_N+1}^{n} \frac{|K_j(x-t)|}{j+1} d\mu(t) \leq \frac{cM_k}{M_N} l_n.$$

დამტკიცება. დავუშვათ $x \in I_N(x_k e_k + x_l e_l)$, $1 \leq x_k \leq m_k - 1$, $1 \leq x_l \leq m_l - 1$, $k = 0, ..., N-2$, $l = k+1, ..., N-1$. ლემა 2.4-ის გამოყენებით გვაქვს, რომ

$$\begin{aligned} &\int_{I_N} \sum_{j=M_N+1}^{n} \frac{|K_j(x-t)|}{j+1} d\mu(t) \\ \leq\ & \sum_{j=M_N+1}^{n} \frac{cM_k M_l}{(j+1) j M_N} \\ \leq\ & \frac{cM_k M_l}{M_N} \sum_{j=M_N+1}^{\infty} \left(\frac{1}{j} - \frac{1}{j+1}\right) \\ \leq\ & \frac{cM_k M_l}{M_N^2}. \end{aligned} \tag{4.2.3}$$

დავუშვათ $x \in I_N(x_k e_k)$, $1 \leq x_k \leq m_k - 1$, $k = 0, ..., N-1$. მაშინ

$$\begin{aligned} &\int_{I_N} \sum_{j=M_N+1}^{n} \frac{|K_j(x-t)|}{j+1} d\mu(t) \\ \leq\ & \sum_{j=M_N+1}^{n} \frac{cM_k}{(j+1) M_N} \\ \leq\ & \frac{cM_k}{M_N} l_n. \end{aligned} \tag{4.2.4}$$

(4.2.3)-ის და (4.2.4)-ის გათვალისწინებით ჩვენ მივიღებთ ლემის დამტკიცებას. ■

ახლა დავამტკიცოთ ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოების გულებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი. შემდეგ ლემაში მიღებული ტოლობა ასე დამტკიცებულია [39, 40]-შიც, მაგრამ ჩვენ აქ მოვიყვანთ მოკლე დამტკიცებასაც:

ლემა 4.3. *დავუშვათ* $n \in \mathbb{N}$. *მაშინ*

$$P_{M_n}(x) = D_{M_n}(x) - \psi_{M_n-1}(x)\overline{Y}_{M_n}(x) \tag{4.2.5}$$

უფრო მეტიც,

$$\|P_{M_n}(x)\|_1 < c < \infty. \tag{4.2.6}$$

დამტკიცება. (1.2.2)-ის გამოყენებით გვაქვს

$$\begin{aligned} P_{M_n}(x) &= \frac{1}{Q_{M_n}}\sum_{k=1}^{M_n}\frac{D_k(x)}{M_n-k} = \frac{1}{Q_{M_n}}\sum_{k=0}^{M_n-1}\frac{D_{M_n-k}(x)}{k} \\ &= \frac{1}{Q_{M_n}}\sum_{k=0}^{M_n-1}\frac{1}{k}\left(D_{M_n}(x) - \psi_{M_n-1}(x)\overline{D}_k(x)\right) \\ &= D_{M_n}(x) - \psi_{M_n-1}(x)\overline{Y}_{M_n}(x). \end{aligned}$$

რომელიც ადასტურებს (4.2.5)-ის სამართლიანობას.

მეორეს მხრივ, თუ გავაერთიანებთ (1.2.6)-ს და ლემა 4.1-ის (4.2.2)-ს ასევე მივიღებთ (4.2.6)-ის დამტკიცებას. დამტკიცება დასრულებულია.

■

შემდეგი ლემის ანალოგი დირიხლეს გულისთვის დამტკიცებულია ტეფნაძის მიერ [142, 143]-ში:

ლემა 4.4. *ვთქვათ* $x \in I_s \backslash I_{s+1}, \quad s = 0, ..., N-1$. *მაშინ*

$$\int_{I_N} |P_n(x-t)|\, d\mu(t) \le \frac{cM_s}{M_N},$$

სადაც c *არის აბსოლუტური მუდმივი.*

დამტკიცება. დამტკიცება არის ლემა 2.1-ის პირდაპირი შედეგი. ასე რომ, ჩვენ დამტკიცების დეტალებს გამოვტოვებთ.

■

4.3 ჰარდის ტიპის უტოლობები ვილენკინ-ფურიეს მწკრივების რისის ლოგარითმული საშუალოების H_p ნორმებისათვის

შემდეგი თეორემა დამტკიცებულია ლუკასენის, პერსონის, ტეფნაძის და თუთბერიძის [77] მიერ:

თეორემა 4.5. *დავუშვათ* $0 < p < 1/2$ *და* $f \in H_p(G_m)$. *მაშინ არსებობს აბსოლუტური მუდმივი* c_p, *რომელიც დამოკიდებული მხოლოდ* p*-ზე ისეთი, რომ*

$$\sum_{n=1}^{\infty}\frac{\log^p n\,\|R_n f\|_{H_p(G_m)}^p}{n^{2-2p}} \le c_p\,\|f\|_{H_p(G_m)}^p \tag{4.3.1}$$

სადაც $R_n f$ *აღნიშნავს* f*-ის ვილენკინ-ფურიეს მწკრივების* n*-ურ რისის ლოგარითმულ საშუალოს.*

დამტკიცება. ლემა 4.1-ის (4.2.2) უტოლობის თანახმად მივიღებთ, რომ

$$\sup_{n\in\mathbb{N}}\int_{G_m}|Y_n a|\,d\mu\leq c<\infty.$$

და აქედან გამომდინარეობს, რომ R_n არის შემოსაზღვრული L_∞-დან L_∞-ში. ლემა 1.4-ის გათვალისწინებით, თეორემის დამტკიცებისთვის საკმარისი იქნება ვაჩვენებთ, რომ

$$\sum_{n=1}^{\infty}\frac{\log^p n\int_I|R_n a|^p\,d\mu}{n^{2-2p}}\leq c_p<\infty,\quad\text{for }\ 0<p<1/2, \tag{4.3.2}$$

ყოველი p-ატომისთვის a, სადაც I აღნიშნავს ატომის სუპორტს.

დავუშვათ a იყოს ნებისმიერი p-ატომი სუპორტით I, სადაც $\mu(I)=M_N^{-1}$. ზოგადობის შეუზღუდავად შეიძლება დავუშვათ, რომ $I=I_N$. ადვილი სანახავია, რომ $R_n a=\sigma_n a=0$, როცა $n\leq M_N$. ამიტომ შეგვიძლია დავუშვათ, რომ $n>M_N$.

p-ატომის განმარტების საფუძველზე გამომდინარეობს, რომ $\|a\|_\infty\leq cM_N^{1/p}$. თუ გამოვიყენებთ (4.2.1) შეფასებას ლემა 4.1-ში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

$$\begin{aligned}
&|R_n a(x)| &(4.3.3)\\
=\ &\int_{I_N}|a(t)|\,|Y_n(x-t)|\,d\mu(t)\\
\leq\ &\|a\|_\infty\int_{I_N}|Y_n(x-t)|\,d\mu(t)\\
\leq\ &\frac{cM_N^{1/p}}{l_n}\int_{I_N}\sum_{j=M_N+1}^{n-1}\frac{|K_j(x-t)|}{j+1}d\mu(t)\\
+\ &\frac{cM_N^{1/p}}{l_n}\int_{I_N}|K_n(x-t)|\,d\mu(t).
\end{aligned}$$

ახლა დავუშვათ, რომ $x\in I_N(x_ke_k+x_le_l)$, $1\leq x_k\leq m_k-1$, $1\leq x_l\leq m_l-1$, $k=0,...,N-2$, $l=k+1,...,N-1$. ლემა 4.2-დან გამომდინარეობს, რომ

$$|R_n a(x)|\leq\frac{cM_lM_kM_N^{1/p-2}}{\log(n+1)}. \tag{4.3.4}$$

დავუშვათ $x\in I_N(x_ke_k)$, $1\leq x_k\leq m_k-1$, $k=0,...,N-1$. ლემა 4.2-ის გამოყენებით დავასკვნით, რომ

$$|R_n a(x)|\leq M_N^{1/p-1}M_k. \tag{4.3.5}$$

(1.1.1)-ისა და (4.3.3-4.3.5) შეფასებების კომბინაციით მივიღებთ

$$\begin{aligned}
&\int_{\overline{I_N}}|R_n a(x)|^p\,d\mu(x) &(4.3.6)\\
=\ &\sum_{k=0}^{N-2}\sum_{l=k+1}^{N-1}\sum_{x_j=0,j\in\{l+1,...,N-1}^{m_{j-1}}\int_{I_N^{k,l}}|R_n a|^p\,d\mu\\
+\ &\sum_{k=0}^{N-1}\int_{I_N^{k,N}}|R_n a|^p\,d\mu
\end{aligned}$$

$$\begin{aligned}
&\leq c\sum_{k=0}^{N-2}\sum_{l=k+1}^{N-1}\frac{m_{l+1}\ldots m_{N-1}}{M_N}\frac{(M_lM_k)^p\,M_N^{1-2p}}{\log^p(n+1)}\\
&+\sum_{k=0}^{N-1}\frac{1}{M_N}M_k^pM_N^{1-p}\\
&\leq \frac{cM_N^{1-2p}}{\log^p(n+1)}\sum_{k=0}^{N-2}\sum_{l=k+1}^{N-1}\frac{(M_lM_k)^p}{M_l}+\sum_{k=0}^{N-1}\frac{M_k^p}{M_N^p}\\
&= \frac{cM_N^{1-2p}}{\log^p(n+1)}\sum_{k=0}^{N-2}\frac{1}{M_k^{1-2p}}\sum_{l=k+1}^{N-1}\frac{M_k^{1-p}}{M_l^{1-p}}+\sum_{k=0}^{N-1}\frac{M_k^p}{M_N^p}\\
&\leq \frac{cM_N^{1-2p}}{\log^p(n+1)}+c_p.
\end{aligned}$$

ადვილი სანახავია, რომ

$$\sum_{n=M_N+1}^{\infty}\frac{1}{n^{2-2p}}\leq\frac{c}{M_N^{1-2p}},\quad \text{for}\quad 0<p<1/2. \tag{4.3.7}$$

(4.3.6)-ის და (4.3.7)-ის კომბინციით გვაქვს

$$\begin{aligned}
&\sum_{n=M_N+1}^{\infty}\frac{\log^p n\int_{\overline{I_N}}|R_na|^p\,d\mu}{n^{2-2p}}\\
&\leq \sum_{n=M_N+1}^{\infty}\left(\frac{c_pM_N^{1-2p}}{n^{2-p}}+\frac{c_p}{n^{2-p}}\right)+c_p\\
&\leq c_pM_N^{1-2p}\sum_{n=M_N+1}^{\infty}\frac{1}{n^{2-2p}}\\
&+\sum_{n=M_N+1}^{\infty}\frac{1}{n^{2-p}}+c_p\leq C_p<\infty.
\end{aligned}$$

ეს ნიშნავს, რომ (4.3.2) სამართლიანია და დამტკიცებაც დასრულებულია.

■

ჩვენი შემდეგი თეორემა, რომელიც ასევე დამტკიცებულია ლუკასენის, პერსონის, ტეფნაძის და თუთბერიძის [77] მიერ გვიჩვენებს, რომ თეორემა 4.5-ში არსებული უტოლობა განუზოგადებელია, სულ მცირე, უოლშ-ფურიეს მწკრივების შემთხვევაში.

თეორემა 4.6. *დავუშვათ $0<p<1/2$ და $\Phi:\mathbb{N}\to[1,\infty)$ არის ნებისმიერი არაკლებადი ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს პირობას*

$$\lim_{n\to\infty}\Phi(n)=+\infty. \tag{4.3.8}$$

მაშინ არსებობს მარტინგალი $f\in H_p(G_2)$ ისეთი, რომ

$$\sum_{n=1}^{\infty}\frac{\log^p n\,\|R_n^wf\|_p^p\,\Phi(n)}{n^{2-2p}}=\infty, \tag{4.3.9}$$

სადაც R_n^wf აღნიშნავს f ფუნქციის უოლშ-ფურიეს მწკრივის n-ურ რისის ლოგარითმულ საშუალოებს.

დამტკიცება. ცხადია, თუ ვივარაუდებთ, რომ $\Phi\left(n\right)\geq cn$, სადაც c არის დადებითი მუდმივი, მაშინ

$$\frac{\log^{p}n\Phi\left(n\right)}{n^{2-2p}}\geq n^{1-2p}\log^{p}n\rightarrow\infty,\ \ \text{როცა}\ \ n\rightarrow\infty,$$

და ასევე (4.3.9) სამართლიანია. ამგვარად, ზოგადობის შეუზღუდავად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს დადებითი მთელი რიცხვების ზრდადი მიმდევრობა $\{\alpha_k^{\prime}:k\in\mathbb{N}\}$ ისეთი, რომ

$$\Phi\left(\alpha_k^{\prime}\right)=o(\alpha_k^{\prime}),\quad \text{როცა}\ k\rightarrow\infty. \tag{4.3.10}$$

ახლა ვთქვათ $\{\alpha_k:k\in\mathbb{N}\}\subseteq\{\alpha_k^{\prime}:k\in\mathbb{N}\}$ იყოს დადებითი რიცხვების ზრდადი მიმდევრობა ისეთი, რომ $\alpha_0\geq 2$ და

$$\sum_{k=0}^{\infty}\frac{1}{\Phi^{1/2}(2^{2\alpha_k})}<\infty, \tag{4.3.11}$$

$$\sum_{\eta=0}^{k-1}\frac{2^{2\alpha_\eta/p}}{\Phi^{1/2p}(2^{2\alpha_\eta})}\leq\frac{2^{2\alpha_{k-1}/p+1}}{\Phi^{1/2p}(2^{2\alpha_{k-1}})}, \tag{4.3.12}$$

$$\frac{2^{2\alpha_{k-1}/p+1}}{\Phi^{1/2p}(2^{2\alpha_{k-1}})}\leq\frac{1}{128\alpha_k}\frac{2^{2\alpha_k(1/p-2)}}{\Phi^{1/2p}(2^{2\alpha_k})}. \tag{4.3.13}$$

შევნიშნოთ, რომ (4.3.10) პირობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

$$\frac{2^{2\alpha_\eta/p}}{\Phi^{1/2p}(2^{2\alpha_\eta})}\geq\left(\frac{2^{2\alpha_\eta}}{\Phi(2^{2\alpha_\eta})}\right)^{1/2p}\rightarrow\infty,\ \text{როცა}\ \eta\rightarrow\infty$$

და აქედან ავტომატურად გამომდინარეობს, რომ შეიძლება აიგოს ისეთი ზრდადი მიმდევრობა $\{\alpha_k:k\in\mathbb{N}\}$, რომელიც აკმაყოფილებს (4.3.11)-(4.3.13) პირობებს.

ვთქვათ

$$f^{(n)}\left(x\right):=\sum_{\{k;\ 2\alpha_k<n\}}\lambda_k a_k,$$

სადაც

$$\lambda_k=\frac{1}{\Phi^{1/2p}(2^{2\alpha_k})}$$

და

$$a_k=2^{2\alpha_k(1/p-1)}\left(D_{2^{2\alpha_k+1}}-D_{2^{2\alpha_k}}\right).$$

(4.3.11)-დან და ლემა 1.3-დან შეიძლება დავასკვნათ, რომ $f=\left(f^{(n)},n\in\mathbb{N}\right)\in H_p(G_2)$.

ადვილი სანახავია, რომ

$$\widehat{f}^w(j)=\begin{cases}\frac{2^{2\alpha_k(1/p-1)}}{\Phi^{1/2p}(2^{2\alpha_k})},\ \text{if}\ \ j\in\left\{2^{2\alpha_k},...,\ \ 2^{2\alpha_k+1}-1\right\},\ k\in\mathbb{N},\\ 0,\ \ \text{if}\ \ j\notin\bigcup\limits_{k=1}^{\infty}\left\{2^{2\alpha_k},...,\ \ 2^{2\alpha_k+1}-1\right\}.\end{cases} \tag{4.3.14}$$

ნატურალური რიცხვებისთვის $n=\sum\limits_{i=1}^{s}2^{n_i}$, სადაც $n_1<n_2<...<n_s$ ავღნიშნოთ

$$\mathbb{A}_{0,2}:=\left\{n\in\mathbb{N}:\ n=2^0+2^2+\sum_{i=3}^{s_n}2^{n_i}\right\}.$$

დავუშვათ $2^{2\alpha_k}\leq j\leq 2^{2\alpha_k+1}-1$ და $j\in\mathbb{A}_{0,2}$. მაშინ

$$R_j^wf \quad = \quad \frac{1}{l_j}\sum_{n=1}^{2^{2\alpha_k}-1}\frac{S_nf}{n}+\frac{1}{l_j}\sum_{n=2^{2\alpha_k}}^{j}\frac{S_nf}{n}:=I+II. \tag{4.3.15}$$

დავუშვათ $n<2^{2\alpha_k}$. მაშინ (4.3.12)-(4.3.14)-დან გვაქვს

